ახალი უნივერსიტეტი

20 სექტემბერი, ორშაბათი, 2010 წ. №10 (2106)

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი გამოდის 1927 წლიდან

როგორ პასუხობს საზოგადოების მოლოდინს ახალი რექტორი

ინტერვიუ თსუ-ის რექტორის მოვალეობის შემსრულებელთან ალექსანდრე კვიტაშვილთან

— საუნივერსიტეტო საზოგადოებამ საკმაოდ ოპტიმისტურად მიიღო თქვენი დანიშვნა რექტორის მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობაზე. უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ თქვენი რექტორად არჩევის შემდეგ ჟურნალისტებთან საუბრისას თქვენ განაცხადეთ, რომ პირველი ქართული უნივერსიტეტი უნდა გახდეს საუკეთესო არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ მსოფლიოში — როგორ აპირებთ ამ მისიის შესრულებას და რა ნაბიჯებით განამტკიცებთ საზოგადოების მოლოდინს?

— ჩემთვის პატივია უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შესრულება, რაც დიდ პასუხისმგებლობას მაკისრებს. ეს საკმაოდ სერიოზული და მძიმე სამუშაოა... სულ 10-12 დღეა, რაც აქ ვარ. ვცდილობ მაქსიმალურად გავერკვე სიტუაციაში, რათა გადაწყვეტილების მიღება ამა თუ იმ საკითხზე უფრო გამიადვილდეს. რაც შეეხება იმას, თუ როგორ უნდა გახდეს უნივერსიტეტი ფლაგმანი მთელ მსოფლიოში, მე ასე ვიტყოდი, რომ უნივერსიტეტში უზარმაზარი პოტენციალია. მინდა ხაზი გავუსვა იმ გარემოებას, რომ გარედან დანახული თვალით, ისეთი შეგრძნებაა, რომ უნივერსიტეტში ცხოვრება, პრაქტიკულად, არ ჩქეფს. ეს ასე ნამდვილად არ გახლავთ. რაც ჩემი აქ მოსვლიდან დღემდე საკუთარი თვალით ვნახე, დავრწმუნდი იმაში, რომ სწავლის პროცესი ძალიან მაღალ დონეზე მიმდინარეობს, აწყობილია სტუდენტური ცხოვრება და, რაც მთავარია, მეცნიერება, რომელიც წამყვან პოზიციაზე აყენებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს. ამ მხრივ აღსანიშნავია, რომ თსუ-ს ყველაზე მეტი სამეცნიერო გრანტი აქვს მოპოვებული, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარედან, თუ გავითვალისწინებთ მოზიდული უცხოური გრანტების რაოდენობასაც. ამდენად, მეტად მნიშვნელოვანია, რომ წარმოვაჩინოთ ის წარმატებები, რომელიც აქვს უნივერსიტეტს როგორც მეცნიერებაში, ისე სწავლების კუთხით, ასევე სპორტში და სხვა ნებისმიერ სფეროში — ეს არ უნდა გაკეთდეს მხოლოდ შიდა საინფორმაციო მოხმარების მიზნით, მისი ყოველი წარმატება უნდა მიეწოდოს ქართულ საზოგადოებას, რომელიც დაინტერესებულია აქ მიმდინარე პროცესებით. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ხომ მხოლოდ აკადემიური დანესებულება არ გახლავთ, ის არის საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე დიდი სიმბოლო ქვეყნის დამოუკიდებლობის, განვითარებისა და განათლების. ამიტომ საზოგადოებას უნდა მივაწოდოთ ინფორმაცია უნივერსიტეტის წიაღში არსებული მოვლენების თაობაზე.

მე-2 გვერდზე

თსუ-ს ადმინისტრაციას ახალი ხელმძღვანელი ჰყავს
მე-3 გვერდზე

რისკით მონაპოვარი
მე-3–4 გვ

თსუ სამეცნიერო გრანტების რაოდენობით ლიდერობს
მე-7 გვერდზე

არაქართულენოვან სტუდენტთა ქართული ენის შესწავლის პროგრამა ამოქმედდა
მე-8 გვერდზე

როგორ ამოვხსნათ პირველკურსელთა თავსატეხი
მე-10 გვერდზე

ახალი აკადემიური საბჭოს ასარჩევად კანდიდატთა რეგისტრაცია დასრულდა
მე-10 გვერდზე

ქიმიაში სამუშაო არის, ქიმიკოსები კი აღარ გვყავს!
მე-12 გვერდზე

შეხვედრა თსუ-ის კურსდამთავრებულებთან
მე-13 გვერდზე

ბრძანებები
მე-14–15 გვ

მინისტრის მილოცვა

მოგესალმებით, ყველა სტუდენტს ვულოცავ ახალ სასწავლო წელს! თითოეული თქვენთაგანისთვის ნაყოფიერი და წარმატებული წელი იყოს, რათა თქვენი ცოდნით უნივერსიტეტმა და ქვეყანამ იამაყოს. ამიტომ, სტუდენტობის საუკეთესო წლები მხოლოდ წიგნიერებას, ძიებასა და თვითგანათლებას დაუთმეთ, რადგან თქვენი წარმატება, ეს ჩვენი ქვეყნის გამარჯვებაა.

ახალ სასწავლო წელს ვულოცავ ჩვენს ღირსეულ პროფესორ-მასწავლებლებს, რომლებმაც წლების განმავლობაში ქვეყნის საამაყო თაობები აღზარდეს და მუდამ მზად არიან საკუთარი ცოდნა და პროფესიული გამოცდილება თაობებს გადასცენ. თქვენს მიერ გაწეული ამაგი ქვეყნის წინაშე განუსაზღვრელი და ფასდაუდებელია.

ყველას, მათ შორის საზღვარგარეთ მყოფ ჩვენს სტუდენტებს, ყველა უმაღლესი სასწავლებლის პროფესორ-მასწავლებლებს კიდევ ერთხელ გილოცავთ ახალ სასწავლო წელს! მჯერა, რომ ჩვენი მუშაობა ნაყოფს გამოიღებს და გაწეულ ამაგს თაობები სათანადოდ დააფასებენ.

დიმიტრი შაშკინი
განათლებისა და მეცნიერების მინისტრი

გილოცავთ სწავლის დაწყებას!

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ახალი სასწავლო წელი 20 სექტემბერს დაიწყება. ამ დღესთან დაკავშირებით უნივერსიტეტის მეორე კორპუსის წინ საზეიმო ღონისძიებები გაიმართება, სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს სწავლის დაწყებას მიულოცავენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი ალექსანდრე კვიტაშვილი, ასევე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები. საღამოს 20 საათზე კი „ვარდების მოედანზე“ სტუდენტებისთვის გამართულ კონცერტში ჯგუფ „მგზავრებთან“ ერთად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვაჟთა ვოკალური ანსამბლი, გოგონათა ხალხურ საკრავთა ანსამბლი „თსუ გორდელა“ და უნივერსიტეტის მოცეკვავეთა ანსამბლი „უნივერსიტეტიც“ მიიღებენ მონაწილეობას.

როგორ პასუხობს საზოგადოების მოლოდინს ახალი რექტორი

ინტერვიუ თსუ-ის რექტორის მოვალეობის შემსრულებელთან ალექსანდრე კვიტაშვილთან

პირველი გვერდიდან

დიდი სურვილი მაქვს, რომ შეიქმნას კურსდამთავრებულთა ასოციაცია და გავაძლიეროთ ის კავშირი, რომელიც უნივერსიტეტს თავის კურსდამთავრებულებთან აქვს, რათა ისინი საუნივერსიტეტო ცხოვრებაში ჩაერთონ. გასაკეთებელი ბევრია, მაგრამ ამის პოტენციალი ნამდვილად არსებობს.

შევხვდი თანამშრომლებს, როგორც სამეცნიერო-აკადემიური წრეებიდან, ისე ადმინისტრაციის წარმომადგენლებსაც. მიმაჩნია, რომ ყველაფერი უნდა გაკეთდეს უნივერსიტეტში სტუდენტთა ინტერესებისა და სურვილების მოსარგებად, რათა მათ ჰქონდეთ ძალიან კომფორტული გარემო სწავლისთვის, შემოქმედებითი პოტენციალის წარმოჩენისთვის, გართობისა და დასვენებისთვის, რაც დადებით ემოციად უნდა გაჰყვეთ მთელი ცხოვრება. ამიტომ ბევრია გასაკეთებელი ამ კუთხითაც.

— მიიღებთ თუ არა რექტორის არჩევნებში მონაწილეობას და რა კონცეფციით წარსდგებით საუნივერსიტეტო საზოგადოების წინაშე?

— სავარაუდოდ, დეკემბერში ჩასატარებელი რექტორის საარჩევნო კამპანიისთვის საჭირო კონცეფციის შემუშავება, ამ ეტაპზე, ადრეა, რადგან ჯერ სულ 10 სამუშაო დღეა, რაც აქ ვარ. ვნახოთ, როგორ წარიმართება შემდეგი თვე, თვენახევარი, ალბათ ამის შემდეგ მივცემ თავს უფლებას, გადავწყვიტო — მივიღო თუ არა მონაწილეობა არჩევნებში. სურვილი მარტო არ არის საკმარისი, მას უნდა შევუფარდო საკუთარი შესაძლებლობაც. ამდენად, ეს პერიოდი იქნება განმსაზღვრელი ჩემი გადაწყვეტილების.

— პრეზიდენტი თქვენთან შეხვედრისას უნივერსიტეტისთვის დაფინანსების გაზრდაში დახმარებას დაგპირდათ. რისკენ მიმართავთ ამ თანხებს და რა იქნება თქვენთვის პრიორიტეტი?

— პრეზიდენტთან ამ თემაზე არაერთი შეხვედრა მქონდა. სატელევიზიო ეთერში მხოლოდ იმაზე იყო საუბარი, რომ, საჭიროებისამებრ, პრეზიდენტის ფონდი ფინანსურად დაეხმაროს უნივერსიტეტს. კადრს მიღმა კი ჩვენ დეტალურად ვისაუბრეთ, კერძოდ, საინტერესო სამეცნიერო ტიპის გრანტების მოზიდვაზე, რაც უნივერსიტეტს სწრაფად წინსვლაში დაეხმარება. მისთვის რაიმე ფინანსური მოთხოვნა ჯერ არ წარმიდგენია, რადგან, ამ ეტაპზე, ვსწავლობ სიტუაციას — რა რესურსი გვაქვს და რისი გაკეთება შეგვიძლია. ფაქტი ერთია, რომ საჭიროა ტექნოლოგიური გადახალისება, საუბარია, IT პლატფორმაზე და ნორმალური სერვერის შეძენაზე, ბიბლიოთეკის მოდერნიზაციასა და მსგავს ბევრ პროექტზე, რომლის შესახებაც ამ თვის ბოლოს მექნება სრულყოფილი ინფორმაცია.

— თქვენი პრეზიდენტთან შეხვედრისას ითქვა, რომ უნივერსიტეტის დიპლომი არ უნდა გაიცემოდეს, თუ სტუდენტმა ერთი უცხო ენა მაინც არ იცის. რა აზრის ბრძანდებით ამ საკითხზე და როგორ აპირებთ ამ ამოცანის გადაჭრას?

— ჩვენ, ერთი მხრივ, უნდა დავაინტერესოთ სტუდენტი, რომ ჰქონდეს აღქმა და შემდეგ გარანტია იმისა, რომ როგორც უნივერსიტეტის კურსდამთავრებული პოტენციურად არის კონკურენტუნარიანი სამსახურის პოვნაში. მეორე მხრივ, თანამედროვე მოთხოვნებსაც უნდა ავუწყოთ ფეხი, რადგან ნებისმიერ პროგრესს, რაც მსოფლიოში მიმდინარებს, ჩვენ ჩამოვრჩებით იმ შემთხვევაში, თუ არ გვექნება საშუალება — ვიმეტყველოთ და გავიგოთ, რა ხდება სხვაგან. ჩემი სწავლის პერიოდში არავის უკითხავს — გვინდოდა თუ არა რუსულის სწავლა, ისე შეგვასწავლეს ეს ენა და, შესაბამისად, ჩემი და ჩემზე უფროსი თაობა თავისუფლად საუბრობს რუსულად. დღეს ვითარება აბსოლუტურად შეცვლილია — რუსული გაქრა. როცა უმაღლეს სასწავლებელს ვამთავრებდი, დიპლომის მიღებისთვის საჭირო იყო ერთის კი არა, ორი ენის ცოდნა მაინც, თავისთავად რუსულ ენასთან ერთად ინგლისურისაც. აქედან გამომდინარე, პრეზიდენტის ნათქვამი ინოვაციად არ უნდა მივიჩნიოთ. ეს არის ის აუცილებლობა, რომელიც მოიტანა ქვეყანამ, დრომ, საჭიროებამ... არ უნდა გვქონდეს იმის ილუზიაც, რომ ადამიანი, რომელსაც ენის ცოდნის მხრივ ბაზისი ნული აქვს, 2 ან თუნდაც 4 წელიწადში აქ ისწავლის ენას იმ დონეზე, რომ შემდეგ სრულყოფილად ფლობდეს ინგლისურ, გერმანულ ან ფრანგულ ენებს. ამიტომ დიდი მნიშვნელობა ენიჭება სკოლაში მიღებულ

ცოდნას, რასაც სტუდენტი შემდეგ უკვე უნივერსიტეტში გაიღრმავებს.

— როგორც რექტორის მოვალეობის შემსრულებელი, გეგმავთ თუ არა ადმინისტრაციის რეორგანიზაციას და საკადრო ცვლილებების გატარებას? აპირებთ თუ არა საუნივერსიტეტო საზოგადოებისთვის სოციალური პირობების გაუმჯობესებას?

— არ ვარ მომხრე იმ სიტუაციისა, როდესაც ახლადმოსული ხელმძღვანელი მთლიანად ცვლის იმ შემადგენლობას, რომელიც მის მისვლამდე მუშაობდა. ასეთი ნაბიჯი არ არის სწორი და საქმისთვის მომგებიანი, რადგან როცა ახალი ადამიანები მოგყავს, მათ სჭირდებათ გარკვეული დრო და პრაქტიკა სიტუაციის აღსაქმელად თუ გადაწყვეტილებების მისაღებად. მაგალითად, მეც მჭირდება რამდენიმე თვე, რომ უკეთ გავერკვე არსებულ ვითარებაში. მე რომ ახლა ადმინისტრაცია მთლიანად გამოვცვალო და მოვიყვანო ახალი ხალხი, მათ დასჭირდებათ რამდენიმე თვე უნივერსიტეტში მუშაობის სპეციფიკაში გასარკვევად. ეს არც სამინისტროში გამიკეთებია და ამას არც აქ ვაპირებ. სხვათაშორის კარგი კადრების მოძიების პრობლემა მეტად აქტუალური საკითხია. ყველაფერს დრო გვიჩვენებს. უფრო იოლია ერთი ადამიანი მოერგოს მუშაობის იმ სტილს, რომელიც უკვე არის დანერგილი (ვგულისხმობ, დადებითი კუთხით) და მოახერხოს არსებული კადრების შენარჩუნება მათგან უკეთესი შედეგის მიღების მოთხოვნის საფუძველზე. რაც შეეხება მატერიალურ წახალისებას, გადავხედავთ უნივერსიტეტის ბიუჯეტს, რომლის სახელფასო ფონდი 80%-ს შეადგენს და ვიფიქრებთ სხვადასხვა ფაკულტეტებს შორის დარღვეული თანაფარდობის გათვალისწინებით მივიღოთ შესაბამისი გადაწყვეტილება.

— თქვენი აზრით, რამდენად იყენებს სახელმწიფო იმ ინტელექტუალურ რესურსს, რაც ჩვენს უნივერსიტეტშია თავმოყრილი. როგორ გესახებათ ამ პოტენციალის რეალიზება?

— ჩვენი მეცნიერება უნდა გახდეს მსოფლიო მეცნიერების ნაწილი. ამ მომენტისთვის შემიძლია გითხრათ, რომ, სამწუხაროდ, თსუ არის გარკვეულ იზოლაციაში სამეცნიერო თანამეგობრობასთან, რადგან ტექნიკური საშუალებებით მსოფლიო დონეზე ვერ გავდივართ, ვერ შევდივართ მეცნიერების კუთხით მსოფლიო ქსელში. კვლევები, რომელიც საქართველოში კეთდება, როგორც წესი, არ ითარგმნება სხვა ენაზე — ესეც ძალიან სერიოზული პრობლემაა. ამდენად ჩვენ უნდა ვიყოთ დიდი მეცნიერების, მსოფლიო მეცნიერების ნაწილი. ამის რესურსი გვაქვს, მთავარია სწორად გადავჭრათ მისი პოპულარიზაციის საკითხი.

— უნივერსიტეტი მხოლოდ აკადემიური საგანმანათლებლო დაწესებულება როდია. მის კედლებში იზრდებოდნენ და ყალიბდებოდნენ საქართველოს მოქალაქეებად და სწორედ აქ იძენდნენ სამოქალაქო პასუხისმგებლობის გრძნობას, რასაც უნივერსიტეტის წარსული ისტორიაც მოწმობს. თქვენი აზრით, ამ მისიას დღესაც ასრულებს თუ არა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და რამდენად აუცილებელია აქცენტის გაკეთება ამ მიმართულებით?

— რთული კითხვაა... ბუნებრივია, რომ ნებისმიერი უმაღლესი ტიპის სასწავლო დაწესებულების ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციაა ადამიანისგან ,,გამოიყვანოს" მოქალაქე, არა მარტო წიგნიერი, მცოდნე, მეცნიერი, არამედ ჩვეულებრივი მოქალაქე. ამ მხრივ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ისტორიულად ყოველთვის უზარმაზარი როლი ჰქონდა და აქვს დღესაც. ალბათ, ვინც აქ ასწავლის, უპირველეს ყოვლისა, თავად უნდა იყოს არა მხოლოდ დიდი მეცნიერი, არამედ საზოგადო მოღვაწეც, რათა სტუდენტს სახელმწიფოებრივად აზროვნების კულტურა გადასცეს.

— უნივერსიტეტმა როგორ უნდა მოახერხოს პოლიტიკისგან დისტანცირება?

— რაც არ უნდა ვიძახოთ, რომ უნივერსიტეტი აბსოლუტურად დამოუკიდებელი იქნება პოლიტიკური მოვლენებისგან, რომელიც ჩვენ ცხვირწინ ხდება, ალბათ არასწორი იქნება. თუმცა უნდა გვახსოვდეს, რომ ეს არის, უპირველეს ყოვლისა, სასწავლო დაწესებულება და არა ნებისმიერი პოლიტიკური პარტიის საასპარეზო მოედანი. ყველას აქვს უფლება, ჰქონდეს თავისი ინტერესი პოლიტიკაში, რომელიც შეუძლია გამოხატოს უნივერსიტეტის კედლებს გარეთ და სასწავლო პროცესის მიღმა, არასასწავლო საათებში.

80-90-იან წლებში სტუდენტებმა ააგორეს ბევრი პოლიტიკური მოვლენა საქართველოში და ამის დავიწყება არ შეიძლება, მაგრამ ახლა ვითარება შეიცვალა და უნივერსიტეტს უკვე კონკრეტული ამოცანები აქვს.

— როგორც გაირკვა, ეროვნული გამოცდების შედეგად თსუ-ში ყველა ვაკანსია შეივსო. რა გარემო დახვდებათ პირველკურსელებს ახალი სასწავლო წლის დასაწყისისთვის, მით უფრო, რომ თქვენ განაცხადეთ, რომ უკვე დაიწყეთ მზადება სასწავლო პროცესის ნორმალურად წარმართვისთვის. რექტორი რას მიმართავს მათ?

— თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოხვედრა ნამდვილად მისალოცია, რადგან ეს არის ერთ-ერთი არაჩვეულებრივი უმაღლესი სასწავლებელი, ყველანაირი თვალსაზრისით გამორჩეული დაწესებულება, რომელმაც ბუმბერაზი მეცნიერები და საქართველოს ღირსეული მოქალაქეები აღზარდა. ყველამ უნდა იცოდეს, რომ როცა ფეხს შემოადგამს უნივერსიტეტის შენობაში და ეზოში, შემოდის სხვა განზომილებაში, სადაც მას დიდი პასუხისმგებლობა ეკისრება. მინდა, რომ ისე მოვაწყოთ უნივერსიტეტი, რომ სტუდენტს მუდმივად გაჰყვეს სიყვარული არა მარტო პროფესორ-მასწავლებელთა მიმართ, არამედ, ზოგადად, უნივერსიტეტისადმი, როგორც ინსტიტუციისადმი. ამას საკმაოდ კომპლექსური მიდგომა სჭირდება — ეს ნიშნავს, რომ პროფესორი მაქსიმალურად ორიენტირებული უნდა იყოს სტუდენტის აღზრდაზე, ადმინისტრაცია კი — მობილიზებული სტუდენტთა მომსახურებისთვის. ძალიან კარგი მაჩვენებელია სტუდენტური ფორუმი, რომელსაც ხშირად ვკითხულობ. ფორუმებში საუბარია იმ პრობლემებზე, რასაც სტუდენტები ხშირად აწყდებიან.

სამწუხაროდ, წელს, პირველი კორპუსი, რომელსაც უზარმაზარი რეკონსტრუქცია უტარდება, ვერ მიიღებს სტუდენტებს, მაგრამ შემდეგი სასწავლო წლისთვის შენობა უკვე მზად იქნება. ეს კიდევ უფრო მეტად გაამყარებს უნივერსიტეტის პოზიციებს საქართველოში, ამიერკავკასიასა და ალბათ ევროპაშიც, როგორც წამყვანი სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულება.

— რადგან საჯარო პიროვნება ბრძანდებით, საუნივერსიტეტო საზოგადოებას აინტერესებს თქვენი უკეთ გაცნობა, თქვენი პირადული ცხოვრება და ინტერესები. თქვენი ოჯახი სისხლხორცეულად იყო დაკავშირებული უნივერსიტეტთან, რადგან ცნობილი მეცნიერის, ბატონ შოთა მესხიას შთამომავალი ბრძანდებით, თქვენი მეუღლეც იმ დიდი ოჯახის წევრია, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობის იდეას ემსახურებოდა... რა ღირებულებებით ხელმძღვანელობთ დღეს?

— რთულია საკუთარ თავზე საუბარი... ჩემს ოჯახს სერიოზული და მრავალწლიანი კავშირი აქვს უნივერსიტეტთან, რასაც ჩემი ოჯახის წევრები ბედნიერებად მიიჩნევენ.

თავისუფალ დროს, ძირითადად, ჩემს 5 წლის შვილთან ურთიერთობას ვუთმობ. ჩემი მინისტრობის პერიოდში აღმოვაჩინე, რომ ბავშვი ისე იზრდებოდა, რომ პრაქტიკულად ტელევიზიით მიყურებდა. ამიტომ ვცდილობ, რომ როცა გამომიჩნდება დრო, მასთან გავატარო. ზოგადად, მამის როლი შვილის აღზრდაში მნიშვნელოვნად მიმაჩნია.

— ანუ სახლშიც რექტორი გახდით იმ გაგებით, რომ შვილს რაღაცას ასწავლით?

— სახლში, ჩემი შვილი იქით გვასწავლის ყველაფერს... თამაში, გართობა, წიგნის კითხვა — ამ პროცესებში ჩართვა არის ჩემთვის მნიშვნელოვანი.

სპორტის დიდი მოყვარული ვარ... ვთამაშობდი წყალბურთს, ერთი პერიოდი უნივერსიტეტის გუნდშიც კი. მინდა, რომ უნივერსიტეტის სპორტული ცხოვრება მეტად გააქტიურდეს, რასაც აუცილებლად მივაქცევ ყურადღებას. დიდი სურვილი მაქვს, რომ უნივერსიტეტი ამ მხრივაც ლიდერი იყოს.

რატომ უნდა ვისწავლოთ ერთი უცხო ენა აუცილებლად

ნინო კაკულია

უცხოური ენების ცოდნა დასაქმებისთვის ჰორიზონტზე მეტ პერსპექტივებს აჩენს — ასეთი გზავნილი მოდის დღეს საქართველოს სახელისუფლო წრეებიდან, რაც ერთგვარი სტიმულია სტუდენტისთვის – უცხო ენას საფუძვლიანად დაეუფლოს. საუნივერსიტეტო საზოგადოება ყოველთვის იყო მზად იმ დაკვეთის მისაღებად, რომ ქართველმა სტუდენტმა მშობლიური ენის კარგად ცოდნისა და არჩეული სპეციალობისთვის საჭირო საგნების დაძლევის პარალელურად უცხო ენებიც შეისწავლოს. ამ მზაობას ადასტურებს 2009 წლის ივლისში მიღებული უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 237 დადგენილება (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში უცხოური ენების სწავლების დარეგულირების შესახებ), რომლის თანახმად 2009-2010 სასწავლო წელს ჩარიცხული ბაკალავრებისთვისა და მაგისტრანტებისთვის სავალდებულოა უცხოურ ენაში სასერტიფიკაციო გამოცდის წარმატებით ჩაბარება, კერძოდ, ბაკალავრების მიერ უცხოური ენის არანაკლებ 1 დონეზე, ხოლო მაგისტრანტებისთვის 2 დონეზე ცოდნის დადასტურება. ანუ დადგენილება სტუდენტისთვის აკადემიური ხარისხის მინიჭების წინაპირობად სწორედ უცხოური ენების კარგად ფლობის დადასტურებას მიიჩნევს. ამ პოზიციასვე ამყარებს საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივა იმასთან დაკავშირებით, რომ უმაღლეს სასწავლებლებში სტუდენტის დიპლომი არ უნდა გაიცემოდეს, თუ მან ერთი უცხო ენა მაინც არ იცის — ამ თემაზე ყურადღება მიხეილ სააკაშვილმა უნივერსიტეტის ახლად არჩეულ რექტორთან, ალექსანდრე კვიტაშვილთან პირველივე შეხვედრისას გაამახვილა. გაზეთი ,,თბილისის უნივერსიტეტი" დაინტერესდა, რა დატვირთვით მუშაობს თსუ-ის ენების ცენტრი, რომელიც უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტს ემსახურება და სტუდენტებს უცხო ენების სწავლების კურსებს სთავაზობს. ჩვენთვის ასევე საინტერესოა იმის გაგება, რამდენად მოტივირებულია უნივერსიტეტის სტუდენტი – აუცილებლად სრულყოფილად ფლობდეს ერთ უცხო ენას მაინც, რათა საკუთარი მომავალი დაგეგმოს. როგორც გავარკვიეთ, ენების ცენტრი ამ ეტაპზე უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას თავის წინადადებებს აცნობს და მისი საქმიანობის კოორდინირების პროცესი მიმდინარეობს. სწორედ ამ მიზეზით, გაზეთის მომავალი ნომრისთვის დაიგეგმა თსუ-ის ენების ცენტრის ამოცანების თაობაზე და გასატარებელ ღონისძიებებზე ვრცელი ინფორმაციის წარმოდგენა.

თსუ-ს ადმინისტრაციას ახალი ხელმძღვანელი ჰყავს

მაია ტორაძე

*უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებლად **დავით ჩომახიძის** დანიშვნის თაობაზე, რომელსაც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციაში მუშაობის დიდი გამოცდილება აქვს.*

უნივერსიტეტში მოსვლამდე დავით ჩომახიძე იყო საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილის სამდივნოს უფროსი და საქართველოს პარლამენტის ევროკავშირთან ურთიერთობის მუდმივმოქმედი დელეგაციის აპარატის უფროსი (1996-1999წწ); ქალაქ თბილისის საკრებულოს წევრი, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის მუდმივი კომისიის თავმჯდომარის მოადგილე (1999-2001წწ); ეწეოდა საადვოკატო საქმიანობას (კვალიფიკაცია: სამოქალაქო, ადმინისტრაციული, ვალდებულებითი, საგადასახადო და საბაჟო სამართალი), აგრეთვე ორგანიზაციების იურიდიულ მომსახურებას (2002-2004წწ); **იყო საქართველოს საზოგადოებრივ** მეცნიერებათა უნივერსიტეტის (საქართველოს უნივერსიტეტი) იურიდიული სამსახურის უფროსი **(2004-2007წწ); საქართ**ველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ, საფინანსო-ეკონომიკურ და სამეურნეო საქმეთა დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, რექტორის თანაშემწე (2005-2007წწ); **საქართველოს ენერგეტიკი**სა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის იურიდიული დეპარტამენტის უფროსი (2007-2010წწ); საქართველოს განათლების სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის — განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე (2010 წლის მარტიდან); ამჟამად კი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელია.

დავით ჩომახიძეს, დამატებითი კვალიფიკაციის მიღების მიზნით, გავლილი აქვს „ტასისის“ სახელმწიფო მოხელეთა კოლეჯის კონსტიტუციური სამართლისა და კანონშემოქმედებითი საქმიანობის კურსი; **აშშ-ის ჩრდ**ილოეთ ფლორიდის საერთაშორისო ექსპერტთა საბჭოს და ჩრდილოეთ ფლორიდის A&M უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული სასწავლო პროგრამა ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხებზე; აგრეთვე, USAID-ის და AED-ის მიერ ორგანიზებული სასწავლო პროგრამა ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ და მიღებული აქვს შესაბამისი სერტიფიკატები.

დავით ჩომახიძემ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სწავლის დასრულების შემდეგ (კვალიფიკაცია – ინჟინერ-მშენებელი), იურიდიული განათლება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიიღო, ამიტომ უნივერსიტეტი მისთვის ის უმაღლესი სასწავლო დაწესებულებაა, რომელიც საქართველოს სახელმწიფოებრიობის იდეასთან და მაღალი დონის უმაღლესი განათლების კერასთან **ასოცირდ**ება. ის იმ საზოგადოების ნაწილია, რომელიც ნდობას უცხადებს უნივერსიტეტს. „უნივერსიტეტისადმი დიდი ნდობა აბიტურიენტთა არჩევანმაც დაადასტურა – წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში არც ერთი ვაკანტური ადგილი არ დარჩენილა, რაც იმის ნიშანია, რომ **უნივერსიტეტი არა მხოლოდ ისტო**რიულად იყო, არამედ დღესაც ტრადიციულად რჩება საქართველოში უმაღლესი განათლების უპირველეს კერად,“ — განაცხადა მან ჩვენთან საუბარში.

რა გეგმები აქვს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, როგორ ხედავს იგი უნივერსიტეტის შემდგომი განვითარების პერსპექტივას და რის გაკეთებას აპირებს სტუდენტთა ხელშეწყობის თვალსაზრისით — ამ საკითხებზე იგი გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტს“ ესაუბრა:

— ბატონო დავით, თქვენი საუბრიდან გამომდინარე, ცხადია, რომ უდიდეს პასუხისმგებლობას გრძნობთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და მისი სტუდენტების წინაშე. საინტერესოა, რა გეგმები გაქვთ, რის გაკეთებას აპირებთ უნივერსიტეტის ევროპულ სტანდარტებთან დაახლოების თვალსაზრისით... რა იქნება პრიორიტეტი თქვენი ამ თანამდებობაზე მუშაობის პერიოდში?

— დავიწყოთ იმით, რომ ჩვენ ჯერ კიდევ რეფორმირების პროცესში ვართ, რასაც არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთელ მსოფლიოში გარკვეული წინააღმდეგობები ახლავს თან. შემიძლია ვთქვა, რომ უმაღლესი განათლების რეფორმის ყველა ეტაპმა ჩემს თვალწინ გაიარა. კარგად ვიცი ის დადებითი შედეგები, რაც მან მოიტანა და ის პრობლემებიც, რაც ჯერჯერობით კიდევ არსებობს. იმასაც დავამატებ, რომ უმაღლესი სასწავლებლის ადმინისტრაციულ სამსახურში მუშაობის დიდი გამოცდილება მაქვს და სადაც მიმუშავია, პრობლემების მოგვარებას ყველგან უმტკივნეულოდ ვახერხებდი.

რაც შეეხება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, ის არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომლის ადმინისტრაციული მართვის ნორმები უმაღლესი განათლების შესახებ კანონითაა დადგენილი. აქედან გამომდინარე, ადმინისტრაციის ფუნქცია არის ის, რომ სტუდენტს მაღალი დონის განათლების მიღების ყველა პირობა შეუქმნას. პრიორიტეტიც ესაა — არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩვენ სტუდენტებისთვის ვმუშაობთ. უნივერსიტეტში მოსულმა ახალგაზრდამ ჩვენი ხელშეწყობით იმ სტანდარტების შესაბამისი განათლება უნდა მიიღოს, რომელსაც აკრედიტაციის პირობები გვიდგენს და რომელიც სტუდენტისთვის საერთაშორისო დონეზე იქნება აღიარებული. ასევე, უნდა შევქმნათ ყველა პირობა სამეცნიერო-**კვლევებ**ის წარმოებისა და სამეცნიერო მუშაობისთვის.

— იგეგმება თუ არა ადმინისტრაციის რეორგანიზაცია?

— მოსვლის დღიდან ვეცნობი უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურას, საშტატო განრიგსა და ადმინისტრაციის თანამშრომლების დატვირთვას. ვხვდები დეპარტამენტის უფროსებს და ვსწავლობ, რამდენადაა დატვირთული თითოეული თანამშრომელი. იმ ინფორმაციიდან გამომდინარე, რასაც დღეისათვის ვფლობ, არსებითი რეორგანიზაციის საჭიროებას ვერ ვხედავ. ჩემთან არც ერთი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს არ განუცხადებია, რომ პროფესიონალი კადრების პრობლემა აქვს. ასე რომ, ის განწყობა, თითქოს ადმინისტრაციის ყველა თანამშრომელი განცხადებას დაწერს და წავა, საფუძველსაა მოკლებული. შესაძლოა მოხდეს გარკვეული ცვლილებები მხოლოდ იმისთვის, რომ მართვა და მუშაობა უფრო ოპტიმალური გახდეს.

— როგორ მიულოცავდით ახალი სასწავლო წლის დაწყებას უნივერსიტეტის სტუდენტებს?

— იმ აბიტურიენტებმა, რომლებიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩაირიცხნენ, ძალიან კარგი შედეგები აჩვენეს, რაც, პირველ რიგში, მინდა, მივულოცო მათ და ვუსურვო — მიეღოთ მაღალი დონის განათლება, რაშიც უნივერსიტეტის ადმინისტრაცია მაქსიმალურად შეუწყობს ხელს. ჩვენ ვეცდებით, გავამართლოთ მათი იმედები, რწმენა უნივერსიტეტის მიმართ და ბოლომდე შევუნარჩუნოთ ის სიამაყის გრძნობა, რასაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტობა ჰქვია!

რისკით მონაპოვარი

ინტერვიუ გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორთან მაია მიმინოშვილთან

მიმდინარე სასწავლო წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2707 აბიტურიენტი ჩაირიცხა. მათგან 2475-მა სახელმწიფო დაფინანსება მოიპოვა. გრანტირებულ სტუდენტთა შორის 412 სახელმწიფო დაფინანსების 30 პროცენტს ფლობს, 597 — 50 პროცენტს, 768 — 70 პროცენტს, ხოლო 698-მა პირველკურსელმა 100-პროცენტიანი გრანტი მოიპოვა. დაფინანსების გარეშე მხოლოდ 232 სტუდენტი დარჩა.

მაია ტორაძე

ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგებმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა რეფორმირების პროცესი სწორად წარმართა და სტუდენტებს მაღალი დონის განათლება შესთავაზა. ამის შედეგი იყო ის, რომ აბიტურიენტთა დიდმა ნაწილმა განაცხადში პირველ ნომრად სწორედ ეს უნივერსიტეტი მიუთითა. სასიამოვნო ფაქტია ისიც, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი საქართველოში ერთადერთი უმაღლესი სასწავლებელია, რომელმაც გამოცდების ეროვნული ცენტრის მონაცემებით, ყველა ვაკანსია პირველადი ჩარიცხვის შედეგად შეავსო და ყველაზე მეტი **გრანტირებული პირ**ველკურსელი ჩარიცხა.

მიუხედავად უნივერსიტეტის წარმატებისა, ეროვნული გამოცდების შედეგები მაინც დამაფიქრებელია, რადგან საერთო მაჩვენებლებმა ზოგადი განათლების სისტემაში არსებული სერიოზული ხარვეზები გამოააშკარავა. ეს ფაქტორი გამოცდების ეროვნულ ცენტრს განგაშის საფუძველს აძლევს, რადგანაც მათი თანამშრომლების თქმით, თუ ხარვეზების გამოსასწორებლად ამ ეტაპიდანვე არ დაიწყო სერიოზული მუშაობა, ზოგიერთ საგანში აბიტურიენტთა ცოდნა რამდენიმე წელში, ფაქტობრივად, ნულს გაუტოლდება.

რა პრობლემები გამოიკვეთა მისაღებ გამოცდებზე და რაზე უწევთ ოპონენტებისთვის პასუხის გაცემა ცენტრის თანამშრომლებს, ამ საკითხებზე გვესაუბრა გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორი მაია მიმინოშვილი:

— ქალბატონო მაია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ნამდვილად აქვს სიამაყის მიზეზი, რადგანაც ამ გამოცდებზე საკმაოდ კარგი შედეგი მიიღო...

— დიახ, ეს ნამდვილად ასეა და უნივერსიტეტის წარმატება გულწრფელად მიხარია. უნდა გითხრათ, რომ ამაში ეჭვი არც მეპარებოდა.

— ორიოდე სიტყვით გავაანალიზოთ წლევანდელი ერთიანი ეროვნული გამოცდები, რა სიახლეები დაინერგა და რა შედეგები მივიღეთ?

— მიმდინარე წელს 36 500-მდე აბიტურიენტმა სცადა ბედი, რაც 6000-ით მეტია გასული წლის რაოდენობაზე.

რაც შეეხება სიახლეებს, საზოგადოებამ იცის, რომ წელს, **განსხვავებით წინა წლებ**ისგან, გვქონდა 4 სავალდებულო გამოცდა და სახელმწიფო დაფინანსება გაიცემოდა არა მხოლოდ ზოგადი უნარების, არამედ ოთხივე გამოცდის შედეგების მიხედვით. ამასთან, ზოგადი **უნარები, ქართული ენა და ლიტერა**ტურა და უცხო ენა ყველა აბიტურიენტისთვის სავალდებულო იყო, მეოთხე არჩევითი გამოცდა კი კონკრეტულად უმაღლეს სასწავლებელზე და ფაკულტეტზე იყო დამოკიდებული.

ამან მოგვცა შესაძლებლობა, რომ არა მხოლოდ ზოგადი **უნარების გამოცდის შედ**ეგებით, არამედ საგნობრივი ცოდნით განგვესაზღვრა სახელმწიფო დაფინანსების საკითხი. ჩვენ ამისთვის 2006 წლიდან ვიბრძოდით. მიგვაჩნია, რომ ეს წესი სამართლიანია, რადგან ზოგად **უნარებთან ერთად, საგნობრივი ცოდ**ნაც მნიშვნელოვანია.

აქედან გამომდინარე, 10 მილიონი ლარი, რაც გამოყოფილი იყო სახელმწიფო გრანტებისთვის, არჩევითი საგნების მიხედვით გადანაწილდა, რამაც აბიტურიენტებსა და მათ მშობლებში გარკვეული გაუგებრობა გამოიწვია. მიუხედავად იმისა, რომ გრანტების განაწილების დეტალური აღწერა დაბეჭდილი იყო ცნობარში, რომელიც ყველა აბიტურიენტს უფასოდ დაურიგდა, მაინც გაჩნდა პრეტენზიები, რადგანაც დეტალური აღწერის ამ ნაწილს აბიტურიენტებმა და მათმა მშობლებმა ყურადღება არ მიაქციეს. ამ საკითხზე ახლაც გვიწევს განმარტებების მიცემა. ამიტომ კიდევ ერთხელ გავიმეორებ — გრანტებისთვის გამოყოფილი 10 მილიონი ლარი 7 ნაწილად დაიყო, რადგან 7 არჩევითი საგანი გვქონდა — მათემატიკა, ლიტერატურა, ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, გეოგრაფია და ისტორია. თანხა თანაბარ ნაწილად არ გაყოფილა: 1 პროცენტი თანაბრად ერგო ყველა კალათას, 99 პროცენტი კი განაწილდა კონკურსის პროპორციულად. მაგალითად, თუ ისტორია 2-ჯერ მეტმა აბიტურიენტმა აირჩია და ჩააბარა, ვიდრე, ვთქვათ, გეოგრაფია, მაშინ ისტორიის კალათაში იმაზე 2-ჯერ მეტი თანხა მოხვდებოდა, ვიდრე გეოგრაფიისაში. წელს ყველაზე მეტმა აბიტურიენტმა მათემატიკა აირჩია და, ბუნებრივია, ყველაზე მეტი თანხა მათემატიკის კალათას ერგო. ყველაზე მცირე თანხა ფიზიკისთვის გამოიყო, რადგან ეს საგანი 36 ათასი აბიტურიენტიდან მხოლოდ **80-მა აირ**ჩია, რაც თავისთავად სერიოზული დაფიქრების საფუძველს გვაძლევს და ამ მიმართულებით სერიოზული დისკუსიები უნდა გაიმართოს.

— საზოგადოების ნაწილი აცხადებდა, რომ წელს ეროვნულ გამოცდებზე ტესტები გართულებული იყო და ცუდი შედეგები ამან გამოიწვია...

— ასეთმა ხმებმა ჩვენამდეც მოაღწია, მაგრამ რეალობა აბსოლუტურად სხვა იყო.

წელს სახელმწიფოს მიერ დაახლოებით 9000-მდე აბიტურიენტი დაფინანსდა. როგორც მოგახსენეთ, ყველაზე დიდი თანხა იმ აბიტურიენტებზე განაწილდა, რომლებმაც მათემატიკა ჩააბარეს (3000-ზე მეტი), ყველაზე ცოტა კი – იგივე ფიზიკის მიმართულებაზე. იმ 80 აბიტურიენტიდან, რომელმაც ეს საგანი ჩააბარა, მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 40-მაც კი ვერ გადალახა. ეს იმას ნიშნავს, რომ მათ ვერ დააგროვეს ქულების 25 პროცენტი, ანუ 14 ქულა. ამიტომ, როდესაც ვსაუბრობ იმის შესახებ, რომ წელს ნამდვილად არ არის კარგი შედეგები, ეს ოპონირებას არ უნდა იწვევდეს, რადგან მარტო ის ფაქტიც კი, რომ ფიზიკა ასე ცოტა ახალგაზრდამ აირჩია, დამაფიქრებელია. ამას დაუმატეთ ისიც, რომ ეს საგანი თავად აირჩიეს, წლის განმავლობაში ემზადებოდნენ და ისიც ვერ მოახერხეს, რომ მინიმალური კომპეტენციის ზღვარი გადაელახათ. ჩარიცხვაზე, მაღალ ან საშუალო ქულაზე საერთოდ აღარაფერს ვამბობ. ეს შედეგები პირდაპირ მიუთითებს იმაზე, რომ საშუალო სკოლაში საგანი ფიზიკა, ისევე, როგორც სხვა საბუნებისმეტყველო საგნები, ფაქტობრივად აღარ არსებობს. როდესაც აბიტურიენტთა 33-34 პროცენტი მინიმალური კომპეტენციის ზღვარს ვერ ლახავს მათემატიკაში, ეს კარგი შედეგია? მიკვირს, როდესაც ამ საკითხზე დავობენ.

მე-4 გვერდზე

რისკით მონაპოვარი

ინტერვიუ გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორთან მაია მიმინოშვილთან

მე-3 გვერდიდან

შარშან 8 000 აბარებდა მათემატიკას და წელს რაოდენობა გაიზარდა, რადგან მეოთხე გამოცდა სავალდებულო გახდა, მაგრამ ნუთუ სკოლამ არ შეიძლება იმდენი ცოდნა მისცეს მოსწავლეს, რომ რეპეტიტორებთან მოუმზადებლად 14 ქულა მაინც დააგროვოს მათემატიკის ტესტში? აი, ამაზეა საუბარი და ამიტომ ვამტკიცებ, რომ ნამდვილად სერიოზული პრობლემა გვაქვს სკოლებში სწავლების თვალსაზრისით და თუ ამაზე არ დავფიქრდით, მომავალში ცუდ შედეგს მივიღებთ. სხვათა შორის, ქართულ ლიტერატურაშიც ძალიან ცუდი შედეგები გვქონდა... როგორ შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ ადამიანი 12 წელი სწავლობდეს სკოლაში, თავად არჩევდეს ჩასაბარებელ საგანს და კომპეტენციის ზღვარსაც ვერ ლახავდეს. ეს პრობლემაა და ამაზე კი არ უნდა ვიდავოთ, მისი გადაჭრის გზები უნდა ვეძებოთ.

— ითქვა ისიც, რომ მათემატიკაში ხელოვნურად დაწიეთ ქულების რაოდენობა...

— ეს გამორიცხულია. ერთ-ერთი ოპონენტი გვედავება, რომ შარშან მათემატიკაში 100-ქულიანი ტესტები იყო, წელს კი 55-ქულიანია... **საქმე ისაა, რომ შარშან დახურულბოლოიან** დავალებებს შეფასება ჰქონდა 0 და 2 ქულა, ანუ 1 ქულა არ ინერებოდა. ასეთი ტესტი იყო 30 და ამ დავალების ხარჯზე მთლიანობაში აბიტურიენტს 60 ქულა ეწერებოდა. ჩვენ გავითვალისწინეთ, რომ აბიტურიენტს არ ჰქონდა 1 ქულის მიღების შესაძლებლობა და წელს ეს გავასწორეთ. ქულების რაოდენობა მხოლოდ ამის ხარჯზე შემცირდა. დრამატული ცვლილება ტესტებში ნამდვილად არ ყოფილა, თუ არ ჩავთვლით, რომ ორიენტაცია ავიღეთ ტესტის გამარტივებაზე, რადგან მხედველობაში მივიღეთ ობიექტური გარემოება: რადგანაც 4 გამოცდა სავალდებულო გახდა, ბევრ ისეთ აბიტურიენტს მოუწევდა მათემატიკის ჩაბარება, ვინც ადრე ამ საგანს არ აბარებდა. ასე რომ, ტესტების სირთულეს ამ შედეგებს ვერანაირად ვერ დავაბრალებთ.

— მიუხედავად იმისა, რომ წელს დიდი ყურადღება მიექცა საბუნებისმეტყველო საგნებს და უნივერსიტეტებში არსებობდა ვაკანსიების დარჩენის საშიშროება, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა მინიმალური კომპეტენციის ზღვარი თითქმის ორჯერ გაზარდა...

— ჩვენ პირველივე ეტაპზე გამოვაცხადეთ, რომ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად აბიტურიენტმა მაქსიმალური ქულის 25 პროცენტი მაინც უნდა დააგროვოს კონკრეტულ გამოცდაში (მინიმალური ქულების რაოდენობა არის 13 ქულა, ზღვარის გადალახვად კი 14 ქულა მიიჩნევა). ამასთან, უმაღლეს სასწავლებლებს შევთავაზეთ, რომ თუ სურდათ, ორიენტაცია აეღოთ ხარისხზე და პირველ კურსზე კარგად მომზადებული სტუდენტები მიეღოთ, შეეძლოთ გაეზარდათ მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ერთადერთი უმაღლესი სასწავლებელი აღმოჩნდა, რომელმაც ყველა ფაკულტეტზე ბარიერი 45 პროცენტამდე გაზარდა (მოგვიანებით დაემატა ორი კერძო უმაღლესი სასწავლებელი). ამით მან განაცხადა, რომ უნდოდა გაცილებით მაღალი მომზადების სტუდენტები მიეღო. მაშინაც ვამბობდი და ახლაც ვიმეორებ, ეს მაგალითი უნდა იყოს ყველა უმაღლესი სასწავლებლისთვის.

მიუხედავად გაზრდილი ბარიერისა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ყველა ადგილი პირველადი ჩარიცხვებით შეივსო. ანუ შიში იმისა, რომ ვაკანსიებს ვერ შეავსებდა, ამ უნივერსიტეტს არ ჰქონია. ეს ჩემთვის ძალიან სასიამოვნოა, რადგან მეც უნივერსიტეტელი ვარ და ჩემთვის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი საქართველოში პირველი და ყველაზე მიმზიდველი უმაღლესი სასწავლებელია.

— ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს საინტერესო ისტორია აქვს, რაც თავისთავად დიდი უპირატესობაა სხვა უმაღლეს სასწავლებლებთან შედარებით, მაგრამ, როგორ ფიქრობთ, მხოლოდ ისტორია და ტრადიციაა უნივერსიტეტის პოპულარობის მიზეზი? რა განაპირობებს იმას, რომ, მიუხედავად ათასგვარი მითქმა-მოთქმისა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მაინც ლიდერია კავკასიის რეგიონში?

— სრულიად გულწრფელად მიმაჩნია, რომ ეს არის უმაღლესი სასწავლებელი, რომელიც ჩვენი ახალგაზრდობისთვის ყველაზე მეტად მომხიბლავია. ის ახერხებს აბიტურიენტთა საუკეთესო ნაწილის მოზიდვას და ჩარიცხვას, რადგან ხარისხიან განათლებას იძლევა. რა თქმა უნდა, ისტორია და ტრადიცია ძვირფასია, მაგრამ, სტუდენტისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია მაღალი დონის განათლების მიღების პერსპექტივა, რაც უნივერსიტეტის პოპულარობას და წარმატებას განაპირობებს.

თსუ-ის ახალ ხელმძღვანელობას მოღვაწეობისთვის მეტად საინტერესო გზა აქვს დასახული

ინტერვიუ საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარესთან გიორგი გაბაშვილთან

თამარ მარუაშვილი

— საგანმანათლებლო რეფორმის განხორციელების პროცესში ერთიანი ეროვნული გამოცდები ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიღწევად არის აღიარებული. უკვე მეხუთე წელია, რაც მისაღები გამოცდები ამ სისტემის მიხედვით ხორციელდება. წელს მისაღებ გამოცდებზე აბიტურიენტებმა არც თუ კარგი შედეგები აჩვენეს. 36 ათასზე მეტი აბიტურიენტიდან 10 ათასმა მინიმალური კომპეტენციის ზღვარი ვერ გადალახა. სპეციალისტების აზრით, საქართველოში განათლების დონე საგანგაშოდ დაეცა. როგორ ფიქრობთ, კონკრეტულად, რა მიზეზებმა გამოიწვია ასეთი შედეგები და რა ქმედითი ნაბიჯების გადადგმას აპირებს საქართველოს ხელისუფლება სიტუაციის გამოსწორების თვალსაზრისით?

— ჩვენი აბიტურიენტების მომზადების დონე არის პრობლემატური საკითხი, რომელსაც სათანადო ყურადღების მიქცევა სჭირდება — სკოლამ და არა რეპეტიტორებთან მომზადებამ უნდა უზრუნველყოს მათთვის სათანადო ცოდნის მიცემა. სკოლა უნდა გახდეს ის ადგილი, სადაც მიღებული ცოდნით აბიტურიენტი ერთიან ეროვნულ გამოცდებს წარმატებით ჩააბარებს. როგორც იცით, წელს შეიცვალა უმაღლეს სასწავლებელში სწავლის საფასურის დაფარვის სისტემაც, რომელიც სახელმწიფოს მხრიდან დაფინანსებას ეხება. მისი მიღება არ არის დამოკიდებული მხოლოდ უნარ-ჩვევებში მიღებული ქულების მიხედვით, ასევე, დიდი ყურადღება ექცევა მაპროფილებელ საგნებში მიღებულ შეფასებას. ყურადღება უნდა მიექცეს აბიტურიენტების სერიოზულ მომზადებას როგორც საჯარო, ისე კერძო სკოლებში. სკოლა უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთა მაღალ დონეზე მომზადების გარანტი უნდა გახდეს.

სწორედ სკოლებში მიღებული დაბალი ხარისხის ცოდნა არის მიზეზი ერთიანი ეროვნული გამოცდების ასეთი შედეგებისა. ხარვეზები იყო დაშვებული სწავლების ორგანიზების მხრივაც, ვგულისხმობ ტრიმესტრულ სწავლებას... მაგალითად, მე არ ვარ მომხრე ტრიმესტრული სწავლებისა. მიმაჩნია, რომ მნიშვნელოვნად უნდა გაუმჯობესდეს სწავლების ხარისხი განსაკუთრებით სწავლების პირველ საფეხურზე, ასევე, დიდი მნიშვნელობა და წონა უნდა ჰქონდეს სკოლის ატესტატს. მისმა მფლობელმა ყველა საგანში უნდა გადალახოს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. დასახვეწია სასკოლო პროგრამები, სახელმძღვანელოები, შესაბამისად, უნდა ამაღლდეს მასწავლებლების კვალიფიკაციაც... გარდა ამისა, სკოლებში დისციპლინის საკითხიც მოითხოვს კორექტირებას.

სწავლების უმაღლეს **სტანდარტთან შესაბამისობაში** მოყვანილი პროგრამები, სახელმძღვანელოები, მასწავლებელთა კვალიფიკაცია, სწავლების დახვეწილი მეთოდოლოგია, საერთო ჯამში, მოგვცემს სწავლების ხარისხის მნიშვნელოვან გაუმჯობესებას. რა თქმა უნდა, ამ ყველაფრის უკან სახელმწიფოს მხრიდან გაღებული ფულადი სახსრები, განათლების განვითარებისთვის მუდმივად მზარდი ინვესტიციები დგას. განათლება არ არის ის სფერო, სადაც ერთმნიშვნელოვნად შეიძლება წარმატების მიღწევა, მას დრო და სერიოზული მუშაობა სჭირდება. ვერავინ იტყვის, რომ ამ პრობლემატური საკითხების გადაწყვეტა უმოკლეს ვადაში შეიძლება. მთლიანად არის დასახვეწი სწავლების პირველი, მეორე და განსაკუთრებით მესამე საფეხურები. ჩასატარებელია დიდი კომპლექსური სამუშაო, რომელსაც სჭირდება როგორც ინტელექტუალური, ისე მატერიალური რესურსი. ჩვენ შრომის მსოფლიო ბაზარზე კონკურენტუნარიანი სპეციალისტები უნდა გავზარდოთ, რაც, ძირითადად, უმაღლესი სასწავლებლების პრეროგატივაა, მაგრამ საჯარო სკოლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ამ მხრივ.

— მიუხედავად ეროვნული გამოცდების საგანგაშო შედეგებისა, წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყველა ვაკანსია სრულად შეივსო. იგი ერთადერთი უმაღლესი სასწავლებელი აღმოჩნდა, რომელმაც მინიმალური კომპეტენციის ზღვარი ყველა გამოცდისთვის 25 პროცენტიდან 40-55 პროცენტამდე ასწია. მიუხედავად ამისა, კონკურსი ძალიან დიდი იყო, გარეთ დარჩნენ ისეთი აბიტურიენტები, რომლებმაც გადალახეს ეს ზღვარი, მაგრამ კონკურსის გამო ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტში მაინც ვერ მოხვდნენ.

როგორ ფიქრობთ, რა ფაქტორებმა განსაზღვრა აბიტურიენტთა დიდი ნაწილის არჩევანი და ასეთი ინტერესი სახელმწიფო უნივერსიტეტის მიმართ?

— თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ყოველთვის იქნება ლიდერი სხვა უმაღლეს სასწავლებლებს შორის თავისი ინტელექტუალური რესურსით. აქ ცოდნის გაღრმავება და პროფესიონალური განათლების მიღება პრესტიჟული და საამაყოა. სტუდენტი აქ თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის განათლებას იღებს...

— ახალ სასწავლო წელს სახელმწიფო უნივერსიტეტი ახალი რექტორით ხვდება. რა პრინციპებს, რა ფასეულობებს უნდა ეყრდნობოდეს პირველი ქართული უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა, რათა მან საზოგადოების ნდობა და პატივისცემა არ დაკარგოს და, ამავე დროს, უნივერსიტეტის ავტორიტეტი გაამყაროს? რას უსურვებდით ახალ რექტორს ამ საპატიო თანამდებობაზე დანიშვნის შემდეგ?

— ახალ ხელმძღვანელობას მოღვაწეობისთვის მეტად საინტერესო გზა აქვს დასახული: მაღალი განათლების ხარისხი, სასწავლო პროცესის უფრო მეტად დაახლოება საერთაშორისო სტანდარტებთან, მეტი ინოვაცია, მეტი სამეცნიერო და საგანმანათლებლო ინიციატივები, მეტი საერთაშორისო კავშირები და უფრო მეტი მოდერნიზაცია. საგანმანათლებლო რეფორმის საბოლოო მიზანი სწორედ ის არის, რომ თსუ გახდეს ერთ-ერთი წამყვანი საგანმანათლებლო და სამეცნიერო ცენტრი. სტუდენტმა ადგილზე უნდა მიიღოს საერთაშორისო სტანდარტების ადეკვატური განათლება, ამისათვის მას ქვეყნის დატოვება არ უნდა მოუხდეს. მსოფლიო საგანმანათლებლო ცენტრებთან ინტეგრირება არ არის ადვილი პროცესი, მას დიდი ძალისხმევა და მუშაობა სჭირდება.

— დღეს ბევრს საუბრობენ საგანმანათლებლო რეფორმის დადებით და უარყოფით მხარეებზე, რომ ინტეგრირებულმა სწავლებამ ნაკლებად გაამართლა ფუნდამენტური და საბუნებისმეტყველო საგნების სწავლების თვალსაზრისით. ამ მეცნიერებების განვითარების გარეშე კი ქვეყნის განვითარებას მომავალი არ აქვს. აპირებს თუ არა საქართველოს მთავრობა ამ მხრივ კონკრეტული ნაბიჯების გადადგმას?

— რაც შეეხება ინტეგრირებულ სწავლებას, ეს არ არის ადვილი პროცესი, ამას დიდი მუშაობა და მომზადება სჭირდება. ინტეგრირება ბუნებრივად უნდა მოხდეს, ხელოვნურად მისი მიღება არ გამოდის. გეოგრაფიის და ისტორიის გაერთიანება არ არის ავტომატური პროცესი... ინტერდისციპლინური სწავლება და ინტეგრაცია კრიტიკული აზროვნების უფრო ფართო თვალსაზრისით განვითარების ერთ-ერთი მეთოდია... ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები ნებისმიერი საზოგადოების განვითარებისა და პროგრესის ფუნდამენტია და არც ჩვენ უნდა ჩამოვრჩეთ ამ პროცესს, მით უმეტეს, რომ ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ქართული სკოლა ყოველთვის ვითარდებოდა და ამბობდა თავის სათქმელს მსოფლიო სამეცნიერო წრეებში. დღეს ბევრი ქართველი მეცნიერი წარმატებით მოღვაწეობს სხვადასხვა ქვეყნის საგანმანათლებლო და სამეცნიერო ცენტრებში, სადაც ისინი მნიშვნელოვან ფუნქციებსაც ასრულებენ. ცერნის კოლაიდერიდან დაწყებული, ამერიკისა და ევროპის წამყვანი სამეცნიერო დაწესებულებებით დამთავრებული, ქართველი მეცნიერები ყოველთვის მნიშვნელოვან როლს ასრულებენ.

— პრეზიდენტთან შეხვედრისას ითქვა, რომ უნივერსიტეტის დიპლომი არ უნდა გაიცემოდეს, თუ სტუდენტმა ერთი უცხო ენა მაინც არ იცის. რა აზრის ბრძანდებით ამ საკითხზე და როგორია პარლამენტის განათლების კომიტეტის პოზიცია?

— ჩემი მოსაზრება არ განსხვავდება იმ მოსაზრებისგან, რომელიც დღეს მსოფლიო საზოგადოებაში არსებობს. მსოფლიოში აქტიურად მიმდინარეობს გლობალიზაციის პროცესები. დღეს უკვე აღარ არსებობს ჩაკეტილი საგანმანათლებლო და სამეცნიერო სივრცე. წარმოუდგენელია, განვითარდე და წინ წახვიდე ისე, რომ იზოლირებული იყო დანარჩენი მსოფლიო სამეცნიერო სამყაროსგან. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში რომ მიიღო მონაწილეობა, მსოფლიო სამეცნიერო საზოგადოებასთან კომუნიკაციის ენა უნდა იცოდე! ეს ენა, რა თქმა უნდა, არის ინგლისური, ასევე, სხვა ევროპული ენებიც. თუ გსურთ, საკუთარი წვლილი შეიტანოთ თანამედროვე ტექნოლოგიების, სამედიცინო, ეკონომიკური, იურიდიული მეცნიერებების განვითარებაში, ინგლისური ენის ცოდნის გარეშე ეს არ გამოვა. იმისათვის, რომ წინ წახვიდეთ და სამეცნიერო წრეებში საპატიო ადგილი დაიკავოთ, აუცილებლად უნდა იცოდეთ უცხო ენა.

— 2010 წლის სექტემბერში დასრულდება ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის შექმნა, რომელიც 2011 წელს ამოქმედდება და მომდევნო ხუთი წლის მანძილზე განხორციელდება. რა სიახლეებს ითვალისწინებს ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა და როგორ დაინერგება ის სისტემაში?

— ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა საგანმანათლებლო სისტემის მუდმივი განახლების პროცესებთან არის დაკავშირებული. ეს პროგრამა რამდენიმე წელი იმუშავებს, შემდეგ ისევ გადაიხედება და დაიხვეწება. არ შეიძლება შექმნა განათლების ისეთი სტანდარტი, რომელიც წლების განმავლობაში იმუშავებს, როგორც ეს საბჭოთა კავშირის დროს ხდებოდა. მეცნიერება დღითიდღე ვითარდება და სახელმძღვანელოებში გარკვეული კორექტირების შეტანა აუცილებელი ხდება. ამის გამო სასწავლო სახელმძღვანელოების სიცოცხლისუნარიანობა შეიძლება მხოლოდ სამიდან ხუთ წლამდე გაგრძელდეს. შემდგომში ის აუცილებლად უნდა განახლდეს. ეს სასწავლო პროგრამები დაფუძნებული უნდა იყოს თანამედროვე ცოდნაზე.

— თქვენი აზრით, რამდენად იყენებს სახელმწიფო იმ ინტელექტუალურ რესურსს, რაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტშია თავმოყრილი და როგორ გესახებათ ამ პოტენციალის რეალიზება?

— დღეს ქვეყანაში დასაქმების პრობლემა დგას, რომელიც თანდათან გადაიჭრება. გასულ **წელთან შედარებით, დასაქმების პრ**ოცენტული მაჩვენებელი არ არის მაღალი. უმაღლესი განათლება საბაზრო მოთხოვნებს უნდა პასუხობდეს. ახალგაზრდამ თვითონ უნდა ადევნოს თვალი შრომის საბაზრო მოთხოვნებს და იმის მიხედვით აირჩიოს პროფესია, განსაზღვროს — თუ რა პერსპექტივა ექნება დასაქმების მხრივ.

— რას უსურვებდით პირველკურსელებს?

— ეს არის ყველაზე კარგი ხანა და ეტაპი ადამიანის ცხოვრებაში, რომელიც საინტერესოდ შეცვლის ცხოვრების სტილს. ახალი სასწავლო გარემო, ახალი მეგობრები, პერსპექტივები... ასევე პასუხისმგებლობაც და თავისუფლების ხარისხიც. ყველა პირველკურსელს ვუსურვებ წარმატებებს. ასევე ვისურვებდი, რაც შეიძლება მეტი განათლება მიიღონ, საკუთარი გონებრივი შესაძლებლობები მაქსიმალურად გამოიყენონ, პროფესიონალებად ჩამოყალიბდნენ და უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მალევე შეძლონ საკუთარი ცოდნის რეალიზება, რომ უმაღლესი განათლების დიპლომი მხოლოდ დიპლომიანი სასიძოებისა და საპატარძლოების ატრიბუტი კი არ გახდეს, არამედ ის გახდეს მათი რეალური მეგზური წარმატებული პროფესიული ცხოვრების გზაზე.

თსუ-ს აინტერესებს მაღალი რეიტინგი და არა სტუდენტთა რაოდენობა

საზოგადოების ნდობა და მოლოდინი რომ მართლაც დიდია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიმართ, ამაზე ის ფაქტიც მეტყველებს, რომ წელს საკმაოდ დიდი მოთხოვნილება იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტზე, კომპეტენციის მინიმალური ზღვარის მნიშვნელოვანი ზრდის მიუხედავად. ვესაუბრებით თსუ-ის სასწავლო დეპარტამენტის ხელმძღვანელს რუსუდან ჩიქოვანს.

თამარ მარუაშვილი

— ახალ სასწავლო წელთან დაკავშირებით რაიმე სიახლეებს ხომ არ უნდა ველოდოთ სასწავლო პროცესის სრულყოფის თვალსაზრისით?

— თსუ-მა უკვე შარშან მიიღო დადგენილება, რომლის მიხედვითაც 2009-2010 სასწავლო წელიდან თსუ-ში ჩარიცხულ სტუდენტს ბაკალავრის ხარისხის მინიჭების წინაპირობად, გარდა კურიკულუმით განსაზღვრული 240 კრედიტისა, მოეთხოვება უცხო ენაში სასერტიფიკატო გამოცდის წარმატებით ჩაბარება. ამ წლებში ჩარიცხული სტუდენტები ვერ მიიღებენ დიპლომს და არ მიენიჭებათ შესაბამისი ხარისხი, თუ მათ არ ექნება უცხო ენაში შესაბამისი კომპეტენცია.

— გაამართლა თუ არა სტუდენტებისთვის ელექტრონული მომსახურების შეთავაზებამ?

— შარშან პირველკურსელებს მომსახურეობის ახალი სერვისი - ელექტრონული ანკეტის შევსება შევთავაზეთ, რაც მნიშვნელოვნად ამარტივებს პირველკურსელის რეგისტრაციის პროცესს. იმ სტუდენტებს კი, რომლებსაც ჯერჯერობით უჭირთ კომპიუტერთან ურთიერთობა, ჩვენ ადგილზე ვეხმარებით ანკეტების შევსებაში. პირველკურსელს ვაძლევთ პირადი ელექტრონული ფოსტის მისამართს და პაროლს, რათა სწავლის პერიოდში პირდაპირი კავშირი ჰქონდეს უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ყველა სიახლე პირდაპირი გზით მიეწოდოს.

რაც შეეხება პირველ ეტაპზე სასწავლო კურსების არჩევას, ამაში მათ ფაკულტეტის მიერ გამოყოფილი ტუტორები ეხმარებიან, ხოლო შემდეგ ელექტრონული ბაზის საშუალებით ირჩევენ ისინი სასურველ საგანს.

— წელს მისაღებ გამოცდებზე თსუ-ის ადმინისტრაციამ მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 25%-დან 45-50%-მდე ასწია, რა ფაქტორებით იყო განპირობებული ზღვარის ასეთი მნიშვნელოვანი ზრდა?

— თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ წელსაც, ისე როგორც გასულ წლებში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ყველაზე წარმატებული და განათლებული ახალგაზრდობა მოვიდა. თსუ ერთადერთი უნივერსიტეტი იყო წელს, რომელმაც მისაღებ გამოცდებზე მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 40-50 ქულამდე ასწია. უნივერსიტეტის პრიორიტეტი დიდი რაოდენობის სტუდენტის მიღება კი არ არის, არამედ მაღალი რეიტინგის მქონე სტუდენტების მიღებაა. მიუხედავად იმისა, რომ წელს უმაღლეს სასწავლებლებში ბევრი ვაკანსია დარჩა და ერთიანმა ეროვნულმა გამოცდებმა დაბალი შედეგები აჩვენა, თსუ-ის მაღალი მოთხოვნების მიუხედავად, აქ პირველივე ჩარიცხვების საფუძველზე შეივსო ყველა ვაკანსია. მეტად მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე სწავლის მოთხოვნილება საგრძნობლად გაიზარდა.

— ყველაზე მაღალრეიტინგული სტუდენტების შესახებ რას გვეტყვით?

— ყველაზე მაღალრეიტინგული სტუდენტები შარშან ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე მოვიდნენ, ასევე იურიდიულ და სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტებზე. წელს ყველაზე მაღალი კონკურსი ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე იყო, მოთხოვნის მიხედვით, მეორე ადგილს იკავებს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი და შემდეგ, იურიდიული ფაკულტეტი.

— რამდენად გაამართლა სტუდენტთა მომსახურების ცენტრების დაფუძნებამ ფაკულტეტებზე?

— ეს ცენტრები შარშან შეიქმნა და იმედი მაქვს, რომ გაამართლებს. ცენტრები დატვირთულად მუშაობენ, თუმცა სტუდენტების დიდი ნაწილი ჯერ კიდევ ვერ მიეჩვია იმას, რომ რაიმეს დასაზუსტებლად ამ ცენტრებს მიაკითხოს და არა ფაკულტეტს ან ცენტრალურ ადმინისტრაციას. ეს პროცესი თანდათან დალაგდება და სტუდენტთა მომსახურების ცენტრებიც მაქსიმალურად დაიტვირთება.

— სწავლების საფასურის გადახდის მხრივაც ხომ არ არის რაიმე ცვლილებები, გაგრძელდება თუ არა სტუდენტური სესხების პროგრამა?

— ახალ სასწავლო წელს სწავლების საფასური არ შეცვლილა, 2009 წლიდან ჩარიცხულთა გადასახადი შეადგენს სემესტრში 1125 ლარს, ხოლო 2009 წლამდე ჩარიცხულთათვის, ჩვეულებრივად, 750 ლარს. ასევე არ გაზრდილა გადასახადი დამატებითი სემესტრის სტუდენტებისთვის.

— რა საშუალებებით აპირებთ პირველკურსელთა ინფორმირებას სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ?

— პირველკურსელებისთვის გამოსაცემად მზადდება გზამკვლევი, სადაც თავმოყრილია სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ყველა ინფორმაცია და სასურველია, რომ სტუდენტები ამ გზამკვლევს ყურადღებით გაეცნონ. ასევე გვაქვს გზამკვლევის ელექტრონული ვერსიაც, რომელიც უნივერსიტეტის ვებ გვერდზე დაიდება. წელს ჩვენ უკვე ხელშეკრულებაში ჩავდეთ ის პუნქტი, რომ სტუდენტი ვალდებულია მუდმივად ეცნობოდეს უნივერსიტეტის იმ აქტებს, რომლებიც ეხება სასწავლო პროცესსა და სწავლის საფასურთან დაკავშირებულ საკითხებს. ამ სიახლეებს ის ჩვენი ვებ გვერდის მეშვეობით გაეცნობა. სასურველია სტუდენტი თსუ-ის ელექტრონული ვებ გვერდის აქტიური მომხმარებელი გახდეს, მაშინ მას ნაკლები კითხვები გაუჩნდება სასწავლო პროცესთან და პროგრამებთან დაკავშირებით. ასე რომ, თსუ ადმინისტრაცია ყველანაირი საშუალებებით ცდილობს მათ ყურამდე მიიტანოს სასწავლო პროცესთან დაკავშირებული საკითხები და ცვლილებები.

დღეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ნდობას უცხადებს ახალგაზრდობის საუკეთესო ნაწილი. პირველ რიგში, ეს განპირობებულია მათი მოლოდინით, რომ სწორედ უნივერსიტეტში მიიღებენ ისინი იმ ცოდნას, დაეუფლებიან იმ უნარ-ჩვევებს, ეზიარებიან იმ ღირებულებებს, რაც მათი მომავალი კეთილდღეობისთვისაა აუცილებელი. სწორედ ამ შემართებით ხვდებიან თსუ-ის ფაკულტეტები სტუდენტებს, რომელთაც არაერთ სიახლეს სთავაზობენ.

პირველკურსელებისთვის საინფორმაციო ხასიათის ელექტრონული ბროშურა მზადდება

ინტერვიუ იურიდიული ფაკულტეტის დეკანთან ირაკლი ბურდულთან

— ბატონო ირაკლი, როგორ ხვდება თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტი ახალ სასწავლო წელს?

იურიდიული ფაკულტეტის ადმინისტრაციას ექნება საინფორმაციო შეხვედრა **პირველკურსელებთან. მათ უპირველესად** მივულოცავთ პირველ ქართულ უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელებას, გავაცნობთ სასწავლო პროგრამებს, მივცემთ სასარგებლო რჩევებს.

— რა სიახლეებია ფაკულტეტზე სასწავლო პროგრამებისა და სწავლების პროცესის გაუმჯობესების თვალსაზრისით?

— საქართველოში სამართლის შესწავლასა და განვითარებას უძველესი ტრადიციები აქვს. დღევანდელ საუნივერსიტეტო იურიდიულ განათლებას საფუძვლად უდევს ქართული საგანმანათლებლო ტრადიციები, ასევე, ამერიკისა და ევროპის **ქვეყნების უმაღლესი იურიდიული სასწავლებლების მდიდარი გამოცდილება.** ქართველი და უცხოელი სპეციალისტები ინტენსიურად მუშაობენ საქართველოს იურიდიული **განათლების სისტემის სრულყოფისა**თვის, რათა ფაკულტეტმა უზრუნველყოს მომავალი თაობა ისეთი განათლებით, რომელიც მას როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო სამართლებრივი სივრცის მოთხოვნების შესაბამის კვალიფიკაციას მისცემს.

თსუ-ის **იურიდიული ფაკულტეტი** იყო პირველი არა მხოლოდ საქართველოში, არამედ კავკასიაში და თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ამჟამადაც ინარჩუნებს ამ პოზიციას.

სიახლეა ის, რომ პირველკურსელებისთვის საინფორმაციო ხასიათის ელექტრონული ბროშურა მზადდება, რაც სტუდენტს საშუალებას მისცემს მიიღოს ამომწურავი ინფორმაცია საწავლო პროგრამებსა და სწავლების პროცესის მიმდინარეობის შესახებ.

როგორც ბაკალავრიატის, ასევე მაგისტრატურის სტუდენტებისათვის იგეგმება ერთობლივი სპეცკურსების გამართვა სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით.

იურიდიული ფაკულტეტი მაღალი დონის პროფესურით არის წარმოდგენილი, რომლებიც მიმართულებების წამყვანი სპეციალისტები არიან, ამიტომ, ამ მხრივ, ფაკულტეტს კონკურენტი არ **ჰყავს. დიდი ყურადღება ეთმობა**, ასევე, მეცნიერულ კვლევებსაც.

პირველკურსელებს და ყველა სტუდენტს მოვუწოდებ მაქსიმალურად გამოიყენონ უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, აკადემიური პერსონალის ცოდნა და გამოცდილება იმისათვის, რომ საუკეთესო იურიდიული განათლება მიიღონ. ამავე დროს, მინდა ჩვენი ფაკულტეტის ყველა სტუდენტს მივულოცო ახალი სასწავლო წლის დაწყება და ვუსურვო წარმატებები.

პირველკურსელებს განახლებული საბაკალავრო პროგრამები დახვდებათ

ინტერვიუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანთან დარეჯან თვალთვაძესთან

— ახალი სასწავლო წლის დაწყება ყოველთვის ახლის მოლოდინს უკავშირდება. ხართ თუ არა კმაყოფილი ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგებით? როგორ ხვდებით ახალ სასწავლო წელს და რა სიახლეებს შესთავაზებს ფაკულტეტი სტუდენტებს?

— ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე სწავლა, ალბათ, იმიტომაც არის საინტერესო, რომ სტუდენტებს დიდი არჩევნის საშუალება აქვთ. ამას კარგად აცნობიერებენ აბიტურიენტები, როცა არჩევანს აკეთებენ. წელს ჩვენს ფაკულტეტზე კონკურსი საკმაოდ დიდი იყო, მინიმალური ზღვარი კი — გაზრდილი. ამიტომ ბაკალავრიატში მხოლოდ მაღალი ქულების მქონე სტუდენტები ჩაირიცხნენ — უკლებლივ ყველა მათგანს აქვს გრანტი. საბაკალავრო **პროგრამებზე სულ 430 სტუდენტი** ჩაირიცხა. **გარდა ამისა, მივიღეთ 20 სტუ**დენტი უმაღლეს პროფესიულ პროგრამაზე სახვითი ხელოვნების მიმართულებით.

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი თავის სტუდენტებს წელსაც მრავალ სიახლეს შესთავაზებს. პირველკურსელებს დახვდებათ განახლებული საბაკალავრო პროგრამები, რომლებიც წლების განმავლობაში დაგროვებული გამოცდილების გათვალისწინებით დაიხვენა. ფაკულტეტზე გვაქვს 28 საბაკალავრო პროგრამა და 3 დამატებითი **მაინორ სპეციალობა, ასევე, რამდენიმე ახალი და განახლებ**ული სამაგისტრო პროგრამაც. მოგეხსენებათ, ახლა ჩვენი მომავალი მაგისტრანტები ემზადებიან სპეციალობაში გამოცდის ჩასაბარებლად. მიღება გამოცხადებული გვაქვს 29 სადოქტორო პროგრამაზეც. დოქტორანტურაში სწავლის მსურველთა რიცხვი 100-ს აჭარბებს.

მნიშვნელოვან სიახლედ მიმაჩნია ქართულ ენაში სპეციალურად მომზადებული საგანმანათლებლო პროგრამა არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის. მათ მშობლიურ ენაზე ჩააბარეს გამოცდა **უნარებში, გადალახეს მინი**მალური კომპეტენციის ზღვარი და სწავლის გასაგრძელებლად აირჩიეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. **ფაკულტეტი გეგმავს მრავალღონისძიებას**, რათა ამ სტუდენტებს გაუადვილოს ინტეგრაცია საუნივერსიტეტო სივრცეში. ასე რომ, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი მზად არის, ღირსეულად **დახვდეს თავის სტუ**დენტებს. აღსანიშნავია, რომ ახალ სასწავლო წელს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებს V კორპუსში განახლებული და გარემონტებული აუდიტორიებიც დახვდებათ, რაც ძალიან სასიამოვნო იქნებაყველასთვის.

— რაიმე განსაკუთრებულ სიახლეს თუ სთავაზობთ პირველკურსელებს?

— პირველკურსელებისთვის ყოველთვის გვაქვს **სასიამოვნო სიახლეები. სწავლის დაწ**ყებისთანავე მათთვის მრავალ ღონისძიებას ვგეგმავთ. ჩვენი სურვილია, ისინი თავიდანვე აქტიურად ჩავრთოთ ფაკულტეტის ცხოვრებაში. შემიძლია თამამად განვაცხადო, რომ მათ ელოდებათ საინტერესო სასწავლო წელი და სტუდენტური ცხოვრება.

გაიზარდა ინტერესი საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართ

ინტერვიუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელთან რამაზ ბოჭორიშვილთან

— რა სიახლეებით ხვდება ახალ სასწავლო წელს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი?

— გადამუშავდა და დაიხვეწა საგანმანათლებლო პროგრამები, დაემატა ახალი საბაკალავრო პროგრამა — სამოქალაქო მშენებლობა. ფაკულტეტის **ვებ გვერდზე** განთავსებულია თითოეული პროგრამის ფლაერი, რომელიც შეიცავს მოკლე და საინტერესო ინფორმაციას პროგრამის შესახებ.

— ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭომ სპეციალობის არჩევის წესთან დაკავშირებით ახალი გადაწყვეტილება მიიღო. კონკრეტულად რას ითვალისწინებს ეს ცვლილება?

— ეს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სიახლეა. ფაკულტეტის საბჭომ გადაწყვიტა, რეგულაცია შემოიღოს სპეციალობის არჩევასთან დაკავშირებით. **თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო** მეცნიერებათა ფაკულტეტზე ბარდება შემდეგი საგნები: მათემატიკა, ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია და გეოგრაფია. გასული წლების გამოცდილება გვაჩვენებს, რომ სტუდენტების იმ ნაწილს, რომელსაც ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მათემატიკა ჩაბარებული არ აქვთ, სწავლა უჭირთ მათემატიკისა და კომპიუტერული მეცნიერებების მიმართულებით. ისინი ვერ ძლევენ ისეთ საბაზო საგნებს, როგორიცაა კალკულუსის პირველი ან მეორე დონე, წრფივი ალგებრა, დაპროგრამების საფუძვლები და ა.შ. შედეგად იკარგება ძვირფასი დრო, სტუდენტი იძულებულია შეიცვალოს სპეციალობა ან საერთოდ წავიდეს უნივერსიტეტიდან. ახალი რეგულაციით სტუდენტს მათემატიკის და კომპიუტერულ მეცნიერებათა საბაკალავრო **პროგრამების შესაბამისი საგნების** არჩევა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია, თუკი მას ჩაბარებული აქვს მათემატიკა ან შესაბამისი დონის კალკულუსი. ვფიქრობ, რომ ეს ცვლილება დაეხმარება სტუდენტს, საკუთარი ინტერესებისა და შესაძლებლობების შესაბამისად, ძირითადი სპეციალობის არჩევაში.

— რამდენი პირველკურსელი ჩაირიცხა წელს თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე?

— ფაკულტეტის მისაღები კონტინგენტი იყო 450 და იგი მთლიანად დაკომპლექტდა. განსაკუთრებით სასიხარულოა, რომ ჩვენთან საკმაოდ მაღალქულიანი სტუდენტები მოდიან. უნივერსიტეტში ჩარიცხულთაგან უმაღლესი რეიტინგის მქონე ორი სტუდენტი — ვახტანგ რამიშვილი და არჩილ გაბესკირია სწორედ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტები გახდნენ. თსუ-ის საუკეთესო სტუდენტთა ათეულში ჩვენი ფაკულტეტის სამი სტუდენტია, საუკეთესოთა ოცეულში – შვიდი სტუდენტი და ა.შ. აღსანიშნავია, რომ წელს გამოიკვეთა საინტერესო ტენდენცია: გაიზარდა ინტერესი საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართ.

— ვინ ეხმარება პირველკურსელებს სასწავლო სისტემაში უკეთ გარკვევის თვალსაზრისით?

— ჩვენ გვაქვს სტუდენტების რეგისტრაციის საკმაოდ კარგად აწყობილი სისტემა. დეტალურად გაწერილი ინფორმაცია, მაგალითად, თუ რა უნდა გააკეთონ პირველკურსელებმა — ეს უკვე დევს ფაკულტეტის ვებგვერდზე. ასევე, მთელი კვირის განმავლობაში დაგეგმილია შეხვედრები **საბაკალავრო პროგრამების** ხელმძღვანელებთან და ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან. საჭიროების შემთხვევაში ასეთი შეხვედრები გაიმართება სააუდიტორიო მეცადინეობების დაწყების შემდეგაც.

სტუდენტებს მრავალფეროვან პროგრამებს ვთავაზობთ

ინტერვიუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანთან ნოდარ ბელქანიასთან

— თქვენი ფაკულტეტი მიმართულებების მრავალფეროვნებით გამოირჩევა, რა საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებს სთავაზობთ სტუდენტებს?

— შარშან ჩვენს ფაკულტეტზე სხვადასხვა მიმართულებებზე განახლდა პროგრამები, დაინერგა ახალი კურსები, განსაკუთრებით ჟურნალისტიკის მიმართულებაზე. პროგრამების მრავალფეროვნება გვაქვს მაგისტრატურაშიც, გაიხსნა ინტერდისციპლინარული პროგრამა „ორგანიზაციის მართვა და კონსულტირება“, რომელმაც სტუდენტების დიდი დაინტერესება გამოიწვია. ჩვენს პროფესორებთან ერთად ლექციებს კითხულობდნენ ავსტრიელი, გერმანელი და შვეიცარიელი სპეციალისტები.

არის სხვა პროგრამებიც, სადაც ბევრ სტუდენტს სურს სწავლა, მაგალითად: კონფლიქტების ანალიზი და მართვა, საერთაშორისო ურთიერთობები, ერთობლივი საერთაშორისო ინტერდისციპლინარული პროგრამა და სხვა. ჩვენი პროფესორები უცხოელ სპეციალისტებთან ერთად მუშაობენ, რათა თითოეული საბაკალავრო თუ სამაგისტრო პროგრამა თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად მაქსიმალურად დაიხვეწოს.

ჩვენი ფაკულტეტის სტუდენტებს საშუალება აქვთ — აქტიური მონაწილეობა მიიღონ გაცვლით პროგრამებში. სიამაყით მინდა განვაცხადო, რომ შარშან ჩვენმა ორმა ბაკალავრიატდამთავრებულმა სტუდენტმა შვეიცარიის ბაზელის უნივერსიტეტის სამაგისტრო გრანტი მოიპოვა და წარმატებით დაამთავრა ერთწლიანი სამაგისტრო პროგრამა. აღსანიშნავია, რომ მთელ ამიერკავკასიაში ოთხი ადგილი იყო გამოყოფილი და აქედან ორი, ჩვენი ფაკულტეტის სტუდენტმა მიიღო.

თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებს, ასევე, საშუალება აქვთ სხვა გაცვლით პროგრამებშიც მიიღონ მონაწილეობა. ურთიერთობა გვაქვს იენის, ჰარვარდის, ტალინის, ვილნიუსის, ტარტუს უნივერსიტეტებთან.

— როგორი გარემო და ინფრასტრუქტურა დახვდებათ სტუდენტებს ახალი სასწავლო წლისათვის?

— ცხრილების შედგენისას მაქსიმალურად შევეცადეთ, თავიდან აგვეცილებინა ე. წ. დამთხვევები, რათა სტუდენტებს ხელი არ შეეშალოთ სასურველ ლექციაზე დასასწრებად. ამასთან, წინა სემესტრის ბოლოს ყველა ფაკულტეტზე შეიქმნა სტუდენტთა მომსახურების ცენტრები, რომლებიც მნიშვნელოვანია სტდენტებისთვის ინფორმაციის მიღების თვალსაზრისით.

ფაკულტეტზე განხორციელდა შიდასტრუქტურული, ინფრასტრუქტურული სიახლეები. დარეგულირდა აუდიტორიებში სტუდენტების რაოდენობა, რაც სასწავლო პროცესზე დადებითად იმოქმედებს.

ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტებისთვის ახალი აპარატურა შევიძინეთ, გვაქვს ახალი ბიბლიოთეკა.

სასწავლო პროცესის ეფექტურად წარმართვისათვის ფაკულტეტი მზად არის. ყველანაირად ვეცდებით სტაბილურად და მშვიდად შევხვდეთ სასწავლო პროცესს და ყველა სტუდენტს სწავლისთვის შესაფერისი, კომფორტული გარემო შევუქმნათ.

აშშ-ის საელჩოს დახმარებით მიმდინარეობს მსოფლიოში აპრობირებული სახელმძღვანელოების თარგმნა

ინტერვიუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელთან ელენე ხარაბაძესთან

— რა ღონისძიებები გატარდა ფაკულტეტზე საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების გადახალისების თვალსაზრისით, ან რა ახალ სასწავლო პროგრამებს სთავაზობთ სტუდენტებს?

— ფაკულტეტზე მოქმედებს ორი საბაკალავრო პროგრამა: პირველი სასწავლო წლის შემდეგ სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ სწავლა გააგრძელონ ეკონომიკის ან ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებებით. ორივე მიმართულებით გრძელდება კურიკულუმის და სილაბუსების სრულყოფის პროცესი, მათი საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია კავშირები, რომლებიც ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტს ევროპისა და აშშ-ის წამყვან უმაღლეს სასწავლებლებთან (ბერლინის, მიუნხენის, იენის, მაასტრიხტის, ტარტუს, ბრემენის, სპაიერის, ვიენა დი კასტელოს უნივერსიტეტები) აქვს დამყარებული. აღსანიშნავია, რომ ჩვენი ფაკულტეტის სასწავლო პროგრამებმა აპრობაცია გაიარეს და ევროპელი და ამერიკელი კოლეგების მაღალი შეფასება დაიმსახურეს.

წელს გაიხსნა ფაკულტეტის ახალი ბიბლიოთეკა, რომლის წიგნადი ფონდი შევსებულია როგორც ქართული, ისე ინგლისურენოვანი სახელმძღვანელოებით და პერიოდული გამოცემებით. ბიბლიოთეკის შექმნასა და ახალი წიგნებით შევსებაში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის ფონდ „ქართუ“-ს. სწორედ მათი დამსახურებაა, რომ გვაქვს ის უახლესი სახელმძღვანელოები, რომლითაც სწავლება მიმდინარეობს აშშ-ის წამყვან უმაღლეს სასწავლებლებში. ბიბლიოთეკაში, როგორც სტუდენტთათვის, ასევე, პროფესორ-მასწავლებლებისათვის, მუშაობის კარგი პირობებია შექმნილი. იგი აღჭურვილია თანამედროვე კომპიუტერული და საოფისე ტექნიკით, უკაბელო ინტერნეტით, რაც საშუალებას აძლევს მათ — მუშაობის პროცესში ფართოდ გამოიყენონ ვებ-რესურსები, მათ შორის ფასიანი რესურსები.

მნიშვნელოვანია, რომ აშშ-ის საელჩოს დახმარებით მიმდინარეობს მსოფლიოში აპრობირებული სახელმძღვანელოების თარგმნა. დღეისათვის, პრაქტიკულად, დასრულებულია გამოჩენილი ამერიკელი ეკონომისტის ოლივიე ბლანშარის „მაკროეკონომიკის“ მე-5 გამოცემის თარგმნა — სწორედ ამ სახელმძღვანელოთი ისწავლიან პირველკურსელები მაკროეკონომიკას.

სტუდენტთა განკარგულებაშია სამი კომპიუტერული რესურსცენტრი, რომლებშიც 100-ზე მეტი კომპიუტერია და რომლებშიც ლექცია-სემინარების გარდა, სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ დამოუკიდებლად იმუშაონ საშინაო დავალებებზე, ამოცანებზე, მოემზადონ სემინარებისა და გამოცდებისთვის.

ამოქმედდა სტუდენტთა მომსახურების ცენტრი, რომელიც სტუდენტებს დროის მოკლე ვადებში სათანადო ინფორმაციას მიაწვდის და დააკვალიანებს.

ამასთან, სტუდენტებს მაღლივ კორპუსში განახლებული სპორტული დარბაზი ელის.

იმედი გვაქვს, პირველკურსელი სტუდენტები აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი ფაკულტეტის განვითარების საქმეში.

მნიშვნელოვანი ნოვაცია მედიცინის ფაკულტეტზე

ინტერვიუ მედიცინის ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელთან ალექსანდრე ცისკარიძესთან

— თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიან პროგრამაზე წელს ყველა საკონკურსო ადგილი შეივსო. რა სიახლეებით ხვდებით პირველკურსელებს?

— სასიხარულო ფაქტია, რომ წელს ჩვენს ფაკულტეტზე ჩარიცხულმა სტუდენტებმა ერთიან ეროვნულ გამოცდებში მაღალი ქულები მიიღეს. საკონკურსო ადგილები სრულად შეივსო და, რაც მთავარია, **პირველკურსელები** რეიტინგითაც გამორჩეულები არიან. თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტზე მუდმივად მიმდინარეობს სასწავლო პროგრამები ს განახლება-მოდიფიცირება. **ამჯერად, პრაქტიკულად,** გადასული ვართ ე.წ. ინტეგრირებულ კურიკულუმზე, **რაც სამედიცინო განათლებისთვის** ძალიან მნიშვნელოვანია. აღსანიშნავია, რომ სამედიცინო განათლების წამყვანი ცენტრები სწორედ ასეთი ტიპის **კურიკულუმით** ასწავლიან სტუდენტებს.

ძალიან აქტიურად ვმუშაობთ დოქტორანტებთანაც. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენთან დოქტორანტურაში **ჩაბარების კრიტერიუმები** და დისერტაციის დაცვის წინაპირობები ძალიან მკაცრია, მაგრამ მსურველების რიცხვი მაინც დიდია. საკმაოდ გაიზარდა ინტერესი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის **დოქტორანტურაში მაღალი ხარისხ**ის კლვევების განხორციელებაზე.

ჩვენ დოქტორანტებთან ვაგრძელებთ წინა წელს დაწყებულ სასწავლო პროგრამას, რომელიც სწავლების და კვლევის თანამედროვე მეთოდის დანერგვას შეეხება. განსაკუთრებით მინდა ხაზი გავუსვა პრობლემაზე დაფუძნებულ სწავლებას, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია მედიცინის ფაკულტეტის დოქტორანტებისთვის — პოტენციურად, ჩვენი მომავალი აკადემიური პერსონალისთვის, ვინაიდან თანამედროვე სამედიცინო კურიკულუმი **და სასწავლო პროგრამა, ძირ**ითადად, პრობლემაზე დაფუძნებულ სწავლებას გულისხმობს. გარდა ამისა, ჩვენი დოქტორანტები იძენენ ახალგაზრდა მეცნიერისთვის საჭირო ყველა აუცილებელ უნარ-ჩვევებს.

კიდევ ერთ სიახლეს წარმოადგენს თსუ-ში სარეზიდენტო პროგრამების ამოქმედება. შემოდგომის სემესტრის დასაწყისშივე ვგეგმავთ რეზიდენტების მიღებას ოფთალმოლოგიის, ენდოკრინოლოგიის, გინეკოლოგიის, აგრეთვე, თერაპიული და ქირურგიული სტომატოლოგიის სპეციალობებით, სულ მალე დაიწყება სარეზიდენტო პროგრამები ნევროლოგიაში, უროლოგიაში, ინფექციურ სნეულებებში, პედიატრიაში, **დერმატო-ვენეროლოგიასა და სხვა კლინიკურ მიმართულ**ებებში. ეს უდავოდ მნიშვნელოვანი ნოვაციაა ჩვენი **ფაკულტეტის ცხოვრებაში და ამ მი**მართულებით განვითარება ჩვენს ერთ-ერთ პრიორიტეტად კვლავაც დარჩება.

— შარშან თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტზე სტუდენტთა საკონკურსო ადგილები ბოლომდე არ შეივსო. წელს კი პირიქით, ფაკულტეტი მაღალრეიტინგული აბიტურიენტებით სრულად დაკომპლექტდა. რამ განაპირობა თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის მიმართ ინტერესის ზრდა?

— მთელი წლის განმავლობაში ჩვენმა ფაკულტეტმა საკმაოდ წარმატებული პიარ-კამპანია აწარმოა, რომელიც მიზნად ისახავდა თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის სპეციფიკური მიმართულებების ფართო საზოგადოებისთვის გაცნობას, კერძოდ, საუბარია იმაზე, რომ ფაკულტეტზე გვაქვს თანამედროვე პროგრამები და სასწავლო პროცესში ჩართულნი არიან პროფესიონალი სპეციალისტები — ჩვენი ქვეყნის წამყვანი მედიკოსები **და მეცნიერები. ვფიქრობ, შედე**გმაც არ დაახანა... გარდა ამისა, როგორც ჩანს, ინტერესი გაიზარდა ზოგადად ექიმის პროფესიის მიმართაც.

20 სექტემბერს ფაკულტეტებზე პირველკურსელთა საინფორმაციო შეხვედრები გაიმართება

- მედიცინის ფაკულტეტი — 11.00 სთ. „ლეჩკომბინატის“ აუდიტორია, ი. ჭავჭავაძის გამზ. 5
- იურიდიული ფაკულტეტი — 12.00 სთ. ფიზიკის დიდი აუდიტორია, თსუ მე-2 კორპ, ი. ჭავჭავაძის გამზ. 3
- ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი — 12.00 სთ. თსუ-ის მე-8 კორპუსის სააქტო დარბაზი, ი. ჭავჭავაძის გამზ. 13
- სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი — 12.00 სთ. ქიმიის დიდი აუდიტორია, თსუ მე-2 კორპ, ი. ჭავჭავაძის გამზ. 3
- ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი — 12.00 სთ. თსუ-ის მე-10 კორპ. (მაღლივი) ფოიე, უნივერსიტეტის ქ. 2
- ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი — 13.00 სთ. თსუ-ის მე-11 (ბიოლოგების) კორპ. 107-ე აუდიტორია, უნივერსიტეტის ქ. 1

თსუ სამეცნიერო გრანტების რაოდენობით ლიდერობს

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მაღალი რეიტინგი, ტრადიციებთან ერთად, თანამედროვე სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობასაც უკავშირდება. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი სწორედ ამ კრიტერიუმებით გამოირჩევა არა მხოლოდ საქართველოს, არამედ კავკასიის რეგიონის უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებს შორის.

მას შემდეგ, რაც საქართველოში სამეცნიერო გრანტების გაცემა დაიწყო, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მეცნიერ-მკვლევართა წარდგენილი და სხვადასხვა სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული გრანტების რაოდენობით საქართველოში უპირობო ლიდერია. ეს გამოწვეულია როგორც მაღალი სამეცნიერო პოტენციალით, ასევე, უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის მიერ გატარებული კონკრეტული ღონისძიებებით. დეპარტამენტი ყოველწლიურად ანალიზს უკეთებს უნივერსიტეტის სახელით გამოქვეყნებულ სამეცნიერო ნაშრომებს, უნივერსიტეტის ბაზაზე განხორციელებულ სამეცნიერო კვლევებს, ფონდებში წარდგენილი პროექტების ხარისხს და დაფინანსებული პროექტების სტატისტიკას. წლის ბოლოს კი აჯამებს — რა წარმატებები ჰქონდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს და რა მიმართულებით უნდა წარმართონ მუშაობა შედეგების გასაუმჯობესებლად.

*ახალ სასწავლო წელს დეპარტამენტი კონკრეტული გეგმებით ხვდება. სიახლეების შესახებ გვესაუბრება თსუ-ის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის უფროსი **გიორგი ღვედაშვილი:***

მაია ტორაძე

— ბატონო გიორგი, რა შედეგებით დაასრულა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო საზოგადოებამ განვლილი სასწავლო წელი, რა იყო პრიორიტეტული თქვენი დეპარტამენტის მუშაობაში და რას მიექცევა ყურადღება ახალ სასწავლო წელს?

— ჩვენი დეპარტამენტის მიზანი უნივერსიტეტში მიმდინარე სამეცნიერო **კვლევების** ხელშეწყობა და იმ წინადადებების მომზადებაა, რაც ამ საქმიანობის გააქტიურებას უზრუნველყოფს. თანამედროვე მსოფლიოში ქვეყნის წარმატება მეცნიერების განვითარების დონით არის განპირობებული. ამიტომ ჩვენს ქვეყანას და, შესაბამისად, უნივერსიტეტსაც, გეზი სწორედ აქეთ აქვს აღებული — ჩვენ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ ისეთ დარგებს, რომელიც ხელს უწყობს მეცნიერული მიღწევების ბიზნესში დანერგვას – მეცნიერების კომერციალიზაციას.

— რით იყო ეს წელი გამორჩეული?

— პირველ რიგში იმით, რომ უნივერსიტეტი ლიდერია მეცნიერული კვლევების დონით და მოპოვებული გრანტების რაოდენობით. როგორც იცით, ჩვენ ყოველ წელს ვაკეთებთ ანალიზს, რა სამეცნიერო მიღწევები აქვს უნივერსიტეტს. 2009-2010 სასწავლო წელს უნივერსიტეტში ხორციელდებოდა 100-ზე მეტი საგრანტო პროექტი, მათ შორისაა ეროვნული სამეცნიერო ფონდების მიერ დაფინანსებული 75 პროექტი, საერთაშორისო ფონდების მიერ დაფინანსებული 45 პროექტი და 10 ახალგაზრდა მეცნიერთა საგრანტო **პროექტი. ეროვნული ფონდებიდან** მოპოვებული გრანტების რაოდენობის ზრდის დინამიკა წლების მიხედვით პროცენტებში ასე გამოიყურება: უნივერსიტეტმა 2006 წელს მოიპოვა საერთო გაცემული გრანტების 12%, 2007 წელს – 16%, 2008 წელს — 21 %, 2009 წელს — 22 %, რაც იმაზე მეტყველებს, რომ უნივერსიტეტში იზრდება მოზიდული ფინანსებისა და პროექტებში დასაქმებული ადამიანების რაოდენობა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი დეპარტამენტის უშუალო ძალისხმევით მინიმუმამდე შემცირდა კონკურსიდან მოხსნილი სამეცნიერო პროექტების რაოდენობა. კონკურსიდან მოხსნა ნიშნავს, რომ წარდგენილი ნაშრომი განხილვასაც არ ექვემდებარება. 2-3 წლის წინ ბევრი კარგი პროექტი მოიხსნა ტექნიკური ხარვეზების გამო. მეორე წელია, რაც ჩვენმა დეპარტამენტმა ფონდებში წარსადგენი სამეცნიერო პროექტების ტექნიკური შემოწმება დაიწყო და მოხსნილი გრანტების რაოდენობამაც იკლო. მაგალითისთვის გეტყვით, რომ 3 წლის წინ უნივერსიტეტის სახელით წარდგენილი პროექტებიდან 20-ზე მეტი პროექტი მოიხსნა, 2 წლის წინ — 13, შარშან კი ასეთი მხოლოდ 2 პროექტი გვქონდა.

მაღალი მაჩვენებლები გვაქვს სამეცნიერო პუბლიკაციების გამოქვეყნების თვალსაზრისითაც. ტომსონის ბაზა იმის საშუალებას იძლევა, რომ გამოვიკვლიოთ, რამდენი სამეცნიერო ნაშრომი ქვეყნდება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელით იმპაქტ-ფაქტორის **მქონე სამეცნიერო ჟურ**ნალებში. თუ 2005 წელს ასეთ ჟურნალებში უნივერსიტეტის სახელით 73 სტატია გამოქვეყნდა, ხოლო 2008 წელს — 82, 2009 წლისთვის ეს მაჩვენებელი 105-მდე გაიზარდა (ეს შედეგიც გაცილებით მეტია სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებისა თუ სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების სახელით გამოქვეყნებულ სტატიათა რიცხვზე). მიუხედავად ასეთი მაჩვენებლისა, ვერ ვიტყვი, რომ ამ მიმართულებით ყველაფერი კარგადაა – გაცილებით მეტი ნაშრომი უნდა ქვეყნდებოდეს უნივერსიტეტის სახელით, თუმცა, ზრდის დინამიკა ნათელია და, ამ მხრივ მუშაობაც უნდა გააქტიურდეს.

— ბოლო დროს გამოიკვეთა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების სასწავლო დაწესებულებებთან ინტეგრაციის ტენდენცია. ცნობილია, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსაც შემოუერთდება რამდენიმე სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება. როგორ ფიქრობთ, რა შედეგები მოჰყვება ამ პროცესს?

— სანამ უშუალოდ ამ საკითხზე ვისაუბრებ, მინდა იმ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებზე მოგახსენოთ, რომელიც უკვე წლებია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან ფინანსდება. ესენი არიან მაღალი **ენერგიების ფიზიკის ინსტი**ტუტი და ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი. ჩვენ დავნერგეთ ტრადიცია, რომლის მიხედვითაც ეს ინსტიტუტები წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის ანგარიშს აკეთებენ. დეპარტამენტმა წელსაც მოუსმინა მათ და გააანალიზა ინსტიტუტების მიერ გაწეული მუშაობა. მინდა გითხრათ, რომ მათ მიერ მოპოვებული გრანტებისა და პუბლიკაციების რაოდენობა იზრდება, ასევე იზრდება აღნიშნული ინსტიტუტების ჩართულობა აკადემიურ პროცესებში. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ ინსტიტუტების მეცნიერ-მუშაკთა ხელფასები მაღალია მეცნიერებათა აკადემიის ყოფილი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების მეცნიერ-თანამშრომელთა საშუალო ხელფასზე. ამას იმიტომ ვუსვამ ხაზს, რომ აჟიოტაჟი, რომელიც სამეცნიერო ინსტიტუტების უნივერსიტეტებთან შეერთებას მოჰყვა, საფუძველს მოკლებულია — კვლევის თვალსაზრისითაც და ხელფასების ზრდის თვალსაზრისითაც უნივერსიტეტში მათი მდგომარეობა აშკარად გაუმჯობესდება.

ზოგადად სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების უნივერსიტეტებთან ინტეგრაცია წინგადადგმული ნაბიჯია და კარგია, რომ ეს პროცესი დაიწყო. ეს იქნება ერთ-ერთი კარგი და ხელშემწყობი ნაბიჯი აკადემიური და სამეცნიერო პროცესის ინტეგრაციისკენ. სტუდენტი სწავლის პარალელურად თავისუფლად შეძლებს ინტერესის შესაბამისად მიიღოს მონაწილეობა სამეცნიერო **კვლევ**ებში.



უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებთან ინტეგრაციით სამეცნიერო ინსტიტუტებს საშუალება ეძლევათ, დანერგონ სწავლის, სწავლებისა და კვლევის თანამედროვე მეთოდები, მოიზიდონ სტუდენტები, ჩართონ ისინი სამეცნიერო **კვლევებში, გააკეთონ** სადოქტორო და სამაგისტრო პროგრამები.

გარდა ამისა, არის კიდევ ერთი ფაქტორი — თუ ჩვენ გადავხედავთ უნივერსიტეტებს და კვლევით ინსტიტუტებს, ვნახავთ, რომ მეცნიერ-მკვლევართა **საშუალო ასაკი** საკმაოდ მაღალია. ახალგაზრდების მოზიდვით და სტუდენტებთან მჭიდრო კონტაქტებით მეცნიერების გაახალგაზრდავება დაიწყება. დღეს ინსტიტუტების შიში — თუ ცალკე არ ვიქნებით, ყველაფერი გაფუჭდებაო, უსაფუძვლოა, საქმე სწორედ მაშინ გაფუჭდება, თუ მათი შემცვლელი მომავალი თაობა არ გვეყოლება. ეს განსაკუთრებით შეეხება საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს.

— რადგანაც სიტყვას მოჰყვა, აღვნიშნოთ ისიც, რომ ბოლო პერიოდში გამოიკვეთა საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისკენ მობრუნების ტენდენცია. ამ მიმართულებით რა კონკრეტული ღონისძიებები აქვს დაგეგმილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტს?

— ბევრი ღონისძიება გვაქვს ჩაფიქრებული და ბევრიც ხორციელდება. ერთ-ერთი არის საბავშვო უნივერსიტეტი, რომელიც უკვე მესამე წელია წარმატებით ფუნქციონირებს და მეცნიერების პოპულარიზაციას ემსახურება. ამ მიმართულებით მუშაობა წელსაც გაგრძელდება. ამ საქმეში ყველა ფაკულტეტია ჩართული, მაგრამ წელს განსაკუთრებით გააქტიურდება ლექციები საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში.

ჩვენი მიზანია, მოვიზიდოთ რაც შეიძლება ბევრი სკოლის მოსწავლე და დავაინტერესოთ ისინი მეცნიერებით. ამ საქმეში ძალიან დიდი როლი აკისრიათ ლექტორებს, რომლებმაც ბავშვებისთვის ხელსაყრელი და საინტერესო გარემო უნდა შექმნან, მათთვის გასაგებ ენაზე უნდა ახსნან მეცნიერების საიდუმლოებები და აჩვენონ ცდები, რომელსაც დამაინტრიგებელი ვიზუალური ეფექტი ექნება. სწორედ ასე ხდება ბავშვების „შემოტყუება“ მეცნიერებაში – ბავშვი აკვირდება ცდებს, აინტერესებს, როგორ ხდება ესა თუ ის მოვლენა და იწყებს მის შესწავლას. ლექტორის დანიშნულება ისაა, რომ მოსწავლეს ინფორმაცია ეფექტურად მიაწოდოს და მოვლენის არსი კარგად აუხსნას. ამიტომ საკმაოდ ფაქიზი დამოკიდებულებაა საჭირო. ჩვენ გვყავს გამოცდილი ლექტორები, რომლებიც ოსტატურად პოულობენ ბავშვებთან საერთო ენას.

კიდევ ერთი საინტერესო ღონისძიების შესახებ მინდა მოგახსენოთ. შარშან უნივერსიტეტში ბავშვებისთვის გაიმართა ვიქტორინები, რომელთა მხარდაჭერა, ჩვენს დეპარტამენტთან ერთად, სტუდენტურმა თვითმმართველობამ განახორციელა. ახალ სასწავლო წელს კიდევ ვაპირებთ ამგვარი ღონისძიებების გამართვას სხვადასხვა მიმართულებაზე. გვინდა, უფრო მეტი წამახალისებელი ჯილდოები მოვიფიქროთ. მთავარია, ბავშვს ვიქტორინაში მონაწილეობა უხაროდეს და იცოდეს, თუ კარგად ისწავლის, მისი მონდომება დაფასდება. ამ მიმართულებით ადმინისტრაციას წარვუდგენთ კონკრეტულ ღონისძიებათა პროექტებს.

— საუნივერსიტეტო საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტი სხვადასხვა პროექტს ახორციელებს მეცნიერების კომერციალიზაციის კუთხით. რა იგეგმება ამ მიმართულებით ახალი სასწავლო წლის განმავლობაში?

— მიმდინარე **სასწავლო** წელს განსაზღვრული გვაქვს, კვლავ შევარჩიოთ სამეცნიერო პროექტები, რომელთაც ექნებათ პოტენციალი მომავალი **კომერციალიზა**ციისთვის. **ამ მიზნით შევხვდებით აკადე**მიურ პერსონალს, საგრანტო პროექტებში დასაქმებულ მეცნიერებს; განვიხილავთ მათ პროექტებს; შევარჩევთ საინტერესო წინადადებებს და მოვაწყობთ პრეზენტაციაგამოფენას ბიზნეს-სექტორისთვის.

ჩვენ დავეხმარებით **თსუ-ის თანამშრომ**ლებს, რათა თავიანთი იდეები ბიზნესისთვის საინტერესოდ შეფუთონ, რადგან ამ კუთხით ქართველ მეცნიერთა გამოცდილება ნაკლებია.

აქვე დავამატებ იმასაც, რომ შარშან ჩვენს დეპარტამენტში მომზადდა მეცნიერების მენეჯმენტის კურსი დოქტორანტებისთვის. ეს გახლავთ საუნივერსიტეტო არჩევითი კურსი, თუმცა საკმაოდ საინტერესო აღმოჩნდა დოქტორანტებისთვის — ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტმა ეს კურსი სავალდებულოდ მიიჩნია. დამეთანხმებით, მეცნიერმა უნდა იცოდეს, რა ინდიკატორების მიხედვით ფასდება სამეცნიერო ნაშრომი, რა არის მაღალრეიტინგული ჟურნალი, რა არის **იმპაქტ-ფაქტორი, როგორ ხდება უნი**ვერსიტეტების რეიტინგების დადგენა და ა.შ... გარდა ამისა, ჩვენ ამ სალექციო კურსში ვასწავლით, როგორ მიაწოდოს მკვლევარმა თავისი კვლევის შედეგი ან აღმოჩენა ბიზნესს, როგორ დაწეროს კარგი საგრანტო პროექტი ან სამეცნიერო სტატია და ა.შ.

სალექციო კურსის ფარგლებში დოქტორანტს მოეთხოვება საგრანტო პროექტის შედგენა, რომელიც საბოლოო შეფასებისთვის მნიშვნელოვანია. ეს დოქტორანტისთვისაც კარგია, ვინაიდან მას ამ პროექტით შეუძლია შემდგომ საგრანტო კონკურსებში მონაწილეობა მიიღოს და დაფინანსება მოიპოვოს.

— თქვენ ყოველწლიურად იწვევთ უცხოეთში მოღვაწე ქართველ მეცნიერებს უნივერსიტეტში ლექციების წასაკითხად. ხომ არ არის დაგეგმილი კონკრეტული ლექციები და ვის უნდა ველოდოთ უნივერსიტეტში ახლო მომავალში?

— რა თქმა უნდა, ეს ტრადიცია ახალ სასწავლო წელსაც გაგრძელდება. კონკრეტულად კი, 20-25 სექტემბერს, პრეზიდენტის ინიციატივით თბილისში გაიმართება საზღვარგარეთ მოღვაწე ქართველ მეცნიერთა ფორუმი, რომლის დანიშნულებაა უცხოეთში მოღვაწე ჩვენი წარმატებული მეცნიერების საქართველოს ინტელექტუალურ და სამეცნიერო ცხოვრებაში მაქსიმალური ჩართვის უზრუნველყოფა. ფორუმის ორგანიზატორები არიან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ახლად შექმნილი შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი (რომელიც ქართველოლოგიის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფონდის (რუსთაველის ფონდის) და საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის უფლებამონაცვლეა) და დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი. თსუ ამ ფორუმზე იწვევს სამ მეცნიერს, ესენი არიან: გასტონ ბუაჩიძე, თამარ ფირცხალავა და ბესიკ კანკია. ისინი ფორუმშიც მიიღებენ მონაწილეობას და უნივერსიტეტშიც წაიკითხავენ ლექციებს.

ამგვარი ლექციების სერია წლის განმავლობაში გაგრძელდება. მთავარია, ეს სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისთვის საინტერესო იყოს.

წლის ბოლოს სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტი ტრადიციულად შეაჯამებს უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას. გიორგი ღვედაშვილი დარწმუნებულია, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი კვლავ წარმატებული იქნება. ამის საფუძველს კი უნივერსიტეტის **მეცნიერ-მკვლევართა აქტი**ურობა იძლევა.

არაქართულენოვან სტუდენტთა ქართული ენის შესწავლის პროგრამა ამოქმედდა

ერთი წლის წინ, საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ინიციატივით, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ მეტად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო, რის საფუძველზეც 2009 წლის ნოემბერში ერთიანი ეროვნული გამოცდების სისტემაში მნიშვნელოვანი ცვლილება შევიდა, რომლის თანახმად, არაქართულენოვანი სკოლების კურსდამთავრებულებს, წელს, პირველად მიეცათ საშუალება — გამოცდა ჩაბარებინათ მხოლოდ ზოგად უნარებში მათ მშობლიურ ენებზე. აღსანიშნავია, რომ მათთვის უმაღლეს სასწავლებლებში ცალკე კვოტები გამოიყო და პირველ კურსზე ისინი ქართულ ენას დაეუფლებიან. ამ ინიციატივას ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი პირველი გამოეხმაურა და ამ მიმართულებით ახალი სტრატეგია დაგეგმა: „არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის ქართული ენის, როგორც მეორე ენის სწავლების საუნივერსიტეტო პროგრამა" უნივერსიტეტში წელს პირველად განხორციელდება. პროგრამის კოორდინატორი ასოცირებული პროფესორი კახა გაბუნია გახლავთ.

შურთხია გეროშვილი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის დარეჯან თვალთვაძის აზრით, ამ ცვლილებით საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სივრცეში ეროვნული უმცირესობების ინტეგრირების ხარისხი მნიშვნელოვნად გაიზრდება. მისი ინფორმაციით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში წელს არაქართულენოვანი 170 სტუდენტი ჩაირიცხა, აქედან, 114 აზერბაიჯანელი, 56 კი — სომეხი აბიტურიენტი, თუმცა, სომეხი და აზერბაიჯანელი აბიტურიენტებისთვის 126-126 კვოტა იყო გამოყოფილი. „მართალია, წელს ყველა ადგილი არ შეივსო, მაგრამ უკვე ცნობილია, რომ საქართველოს მასშტაბით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში არაქართულენოვანი სკოლის ყველაზე მეტმა მოსწავლემ გადაწყვიტა სწავლის გაგრძელება", — აღნიშნა დარეჯან თვალთვაძემ.

რა სირთულეებთან არის დაკავშირებული აღნიშნული პროგრამის წარმატებით განხორციელება, მზად არიან თუ არა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლები არაქართულენოვან სტუდენტებთან შესახვედრად, რა მეთოდოლოგიით მოხდება ქართული ენის შესწავლა — ამ პრობლემებზე გვესაუბრება პროგრამის კოორდინატორი, ასოცირებული პროფესორი **კახა გაბუნია**:

— წინა წლებში **არაქართულენოვანი სკ**ოლები იზოლირებულნი აღმოჩნდნენ განათლების რეფორმის კონტექსტში. ამ სკოლების კურსდამთავრებულთა ინტეგრაციის ხარისხი საქართველოს საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში საკმაოდ დაბალი იყო. სასიხარულოა, რომ წელს, პირველად, რეალურად განხორციელდა ეს პროგრამა და **არაქართუ**ლენოვანი სკოლების მოსწავლეებს მიეცათ შანსი, წარმატებით დაეუფლონ ქართულ ენას საქართველოს ნებისმიერ უმაღლეს სასწავლებელში. როგორც აღინიშნა, 2010 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე, ყველაზე მეტი აბიტურიენტი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა მიიღო, რაც, ერთი მხრივ, ჩვენი პრესტიჟია, თუმცა, მეორე მხრივ, მეტად რთული და საპასუხისმგებლო ვალდებულებაა... პროგრამის შედგენისას ავტორები სხვადასხვა სირთულის წინაშე აღმოვჩნდით. მიუხედავად იმისა, რომ 2001 წლიდან ამ საკითხებზე ვმუშაობ, გაირკვა, რომ ეს სულ სხვა სპეციფიკაა. შეიძლება **ითქვას, რომ ძალიან** სერიოზული სამუშაო ჩავატარეთ.

— **რა სირთულეების დაძლევა მოუწევთ არაქართულენოვანი სკოლების აწ ჩარიცხულ სტუდენტებს სწავლების პროცესში?**

— ქართულის, როგორც მეორე ენის სასწავლო პროგრამამ უნდა უზრუნველყოს ქართული ენის იმგვარად შესწავლა, რომ ერთწლიანი კურსის დამთავრების შემდეგ სტუდენტს საკმარისად ჰქონდეს განვითარებული ენობრივი და საკომუნიკაციო **უნარები, რათა მან შეძ**ლოს უმაღლეს სასწავლებელში ლექციების ქართულ ენაზე მოსმენა. სტუდენტის წინაშე შემდეგი პრობლემები დგება: მან უნდა შეძლოს ზეპირი თუ წერილობითი ტექსტების გაგება-გააზრება, სტრუქტურის დადგენა, ტექსტების შედგენა, აუდიტორიის წინაშე გამოსვლა თუ პრეზენტაცია...

ევროპის საბჭომ განსაზღვრა ენის ფლობის დონეები: პირდაპირ სტანდარტები გვაქვს მოცემული და ეს სტანდარტები გაწერილია ოთხი ენობრივი უნარ-ჩვევის მიხედვით, როგორიც არის: ლაპარაკი, მოსმენა, წერა და კითხვა.

ჩვენი შემუშავებული ეს მოდულიც ამ ოთხ ასპექტზეა „გადანაწილებული", ანუ ყურადღება გადატანილია ენობრივ **კომპეტენციებ**ზე. ყველა ამ კონკრეტული მიმართულებით ჩვენ გვაქვს გაწერილი სილაბუსები. თუმცა, ეს მთლიანობაში არის ერთი საგანი — ქართულის, როგორც მეორე ენის სამეტყველო უნარები. გარდა ამისა, ცალ-ცალკე **გვაქვს გაწერილი სი**ლაბუსები ენის პრაქტიკული გრამატიკისა და კომუნიკაციური გრამატიკის მიმართულებით.

— **ჰყავს თუ არა უნივერსიტეტს ამ პროგრამის განხორციელებისთვის მაღალკვალიფიციური კადრები?**

— ძირითადი ბირთვი, ვინც ამ პროგრამაზე მუშაობდა, საკმაოდ გამოცდილია. მაგრამ რადგან ბევრი ასეთი აბიტურიენტი გვყავს, ლექტორების ძიება და მოწვევა გვიხდება, რომლებსაც გარკვეული გამოცდილება აქვთ ამ მიმართულებით. სწავლის დაწყებამდე ყველა ლექტორს **ტრენინგები ჩაუტარდება. უკვე შერ**ჩეული გვყავს ოცამდე პედაგოგი, რომლებსაც, ამ მხრივ, საკმაოდ სერიოზული გამოცდილება აქვთ.

— **როგორც ცნობილია, ამ პრობლემებს მიეძღვნა ახლახან ბათუმში გამართული სამუშაო შეხვედრა, სადაც საქართველოს სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის წარმომადგენლებმა მიიღეს მონაწილეობა. რა საკითხები განიხილეთ?**

— 5 სექტემბრიდან 12 სექტემბრის ჩათვლით ბათუმში გაიმართა სამუშაო შეხვედრა-სემინარი, **რომლის სახელწოდებაც იყო „ქართუ**ლის, როგორც მეორე ენის სწავლების ხელშეწყობა **არაქართულენოვანი აბიტურიენტებისათ**ვის". ეს იყო სამუშაო შეხვედრა, რომელსაც ესწრებოდა საქართველოს თითქმის ყველა სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლის წარმომადგენელი. აღსანიშნავია თბილისისა და რეგიონების (ბათუმის, ახალციხის, ახალქალაქის, გორის, ქუთაისის, თელავის) უმაღლესი სასწავლებლების საქმიანი და შედეგიანი თანამშრომლობა. ეს პროექტი ფონდი „ღია საზოგადოება – საქართველოს" დაფინანსებით განხორციელდა და ორგანიზება გაუწია „სამოქალაქო ინტეგრაციისა და **ეროვნებათშორისი ურთიერთობ**ების ცენტრმა". შეხვედრა მნიშვნელოვანი იყო იმ თვალსაზრისით, რომ ერთმანეთს გავუზიარეთ გამოცდილება. ჩვენეული ხედვა გაიზიარა ამ სასწავლებლების უმეტესობამ, რომლებიც იმავე მეთოდოლოგიით აპირებენ **არაქართულენ**ოვან სტუდენტებთან მუშაობას.

იმედი მაქვს, რომ ამ პროგრამის ფარგლებში საქართველოს არაქართულენოვანი სკოლების მოსწავლეები მომავალში უფრო აქტიურად ჩაერთვებიან. ახლა მათ მეტი მოტივაცია აქვთ — სწავლა გააგრძელონ საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში.

ვისთან ერთად უნდა დავგეგმოთ მომავალი?

მომავლის უკეთესად დაგეგმვის მიზნით სტუდენტობის მსურველმა ახალგაზრდებმა რატომ უნდა აირჩიონ თსუ-ის აბიტურიენტთა მოსამზადებელი ცენტრი? — ამ აქცენტით ცენტრი სარეკლამო ბანერებს მომავალი სტუდენტებისთვის, ჯერჯერობით, ბიუჯეტის სიმწირის გამო, ვერ ამზადებს, მაგრამ თუკი კარგად დავითვლით — ცენტრის მიერ მომზადებული რამდენი აბიტურიენტი მოხვდა წელს უმაღლეს სასწავლებელში, ამ დაწესებულებას კარებთან „ჯარი" დაუდგება. მიღება იოლი არ გახლავთ. ცენტრი აბიტურიენტების განათლების დონეს ამოწმებს და მაშინვე უსვამს დიაგნოზს – თუ ვის სადამდე „მიუწვდება" ტვინი საკუთარი პროფესიის განსაზღვრისთვის. ასე რომ, ენდეთ ცენტრის ინტუიციას და სტრატეგიას – როგორ მოვხვდეთ უმაღლეს სასწავლებელში?

ნინო კაკულია

თსუ-ის აბიტურიენტთა მოსამზადებელი ცენტრი სასწავლო პროცესს 15 ოქტომბრიდან იწყებს. საბუთების მიღება 9 სექტემბრიდან დაიწყო. ცენტრში მოწვეული კვალიფიციური სპეციალისტები მათ ამზადებენ ყველა იმ საგანში (ქართული ენა და ლიტერატურა, ზოგადი უნარები, ისტორია, უცხო ენა, მათემატიკა, ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, გეოგრაფია), რომელიც გათვალისწინებულია ერთიანი ეროვნული მისაღები გამოცდების პროგრამისათვის. სწავლების პროცესი 9 თვეს მოიცავს. სწავლების კურსი მიმდინარეობს 3 სემესტრის განმავლობაში. როგორც ცენტრის ხელმძღვანელი ირმა ხარშილაძე განმარტავს: „აბიტურიენტების შერჩევა ტესტირების საშუალებით ხდება და შედეგების მიხედვით მათ სხვადასხვა ჯგუფებში ვანაწილებთ. ყოველი სემესტრის ბოლოს ტარდება საკონტროლო წერა — რის საფუძველზეც ცენტრი ადგენს აბიტურიენტის მომზადების ხარისხსა და დონეს. აბიტურიენტების მშობლებთან კონტაქტის საფუძველზე ცენტრი მათაც აცნობს საკონტროლო წერის შედეგებს. 9 თვის ბოლოს თითოეულ საგანში ტარდება გენერალური საკონტროლო წერა, რომელიც ერთიანი ეროვნული მისაღები გამოცდების წინ ერთგვარ ტრენინგს წარმოადგენს. აბიტურიენტები ინიშნავენ დროს, თუ რამდენ წუთში ახერხებენ ისინი ერთი ტესტის შემოხაზვას. პრაქტიკამ აჩვენა, რომ როცა ისინი შედიან მისაღებ გამოცდებზე, იქიდან გამოსული ბევრი ამბობს, რომ ვერ მოასწრო ტესტის ბოლომდე არა თუ შევსება, არამედ წაკითხვაც კი. გამოცდების წინ ჩატარებული გენერალური საკონტროლო წერით ისინი ერთგვარ ფსიქოლოგიურ მომზადებასაც გადიან", — აცხადებს ირმა ხარშილაძე.

სწავლების საფასური განისაზღვრება 700 ლარის ოდენობით, თუმცა თუ აბიტურიენტი აირჩევს ორ ან მეტ საგანს, ასეთ შემთხვევაში მას საშუალება ეძლევა — თანხის ერთი ნაწილი სწავლის დაწყების პერიოდში, ანუ 15 ოქტომბრისათვის გადაიხადოს, ხოლო მეორე ნაწილი დეკემბრის ბოლოს. რაც შეეხება შეღავათებს, თუ აბიტურიენტი აირჩევს სამ საგანს, ის გადაიხდის სწავლის საფასურის 95%-ს, ხოლო 4 საგნის არჩევის შემთხვევაში 90%-ს.

ცენტრის მიზანია აბიტურიენტთა მომზადება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მათი მოხვედრის უზრუნველსაყოფად, რათა ისინი, გამოცდების წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში, თსუ-ში ჩაირიცხონ და არა სხვა რომელიმე უმაღლეს სასწავლებელში. ირმა ხარშილაძის ინფორმაციით, გასულ წელს ცენტრის მიერ მომზადებულ აბიტურიენტთა უმრავლესობა სწორედ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოხვდა.

თსუ-ის აბიტურიენტთა მოსამზადებელი ცენტრი 1995 წლიდან ფუნქციონირებს, მაგრამ მისი საქმიანობის ნაკლებად წარმოჩენის გამო მას შედარებით ცოტა აბიტურიენტი აკითხავდა. მათი სიმწირე იმითაც იყო განპირობებული, რომ ცენტრს სასწავლო პროცესის წარმართვისთვის საკმარისი აუდიტორიები არ ჰქონდა. ამ საბაბით, შესაბამისად, ვერც დიდ კონტინგენტს იღებდნენ.

წელს ცენტრის ხელმძღვანელობა აქტიურად აპირებს მათი ამოცანების რეკლამირებას მომხმარებელთა მოზიდვის მიზნით. ამ მხრივ საგულისხმოა ის გარემოება, რომ თუ ცენტრის მიერ მომზადებული აბიტურიენტი თსუ-ში მოხვდება, მას უკან უბრუნდება სწავლის ღირებულების 10%. რაც შეეხება სამომავლო გეგმებს, ცენტრი აპირებს გარკვეული შეღავათების დაწესებას სოციალურად დაუცველი ფენებისთვის, რაც გადასახდელი სასწავლო თანხის ოდენობაზე აისახება — ამ პრიორიტეტთან დაკავშირებით პროექტი მუშავდება. უფრო მეტი აუდიტორიის ათვისების მიზნით კი ცენტრის ხელმძღვანელობა ლექციების ჩატარებას შაბათ-კვირასაც გეგმავს.

„ჩვენი სამომავლო ამოცანების რეკლამა აუცილებელია. ჩვენ შევიმუშავეთ პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს სხვადასხვა საშუალებებით საჯარო სკოლებში ცენტრის საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გავრცელებას: გასულ წელს რამდენი აბიტურიენტი გვყავდა, მათგან რამდენი პროცენტი მოხვდა უმაღლეს სასწავლებლებში, რამდენმა მოიპოვა სახელმწიფო დაფინანსება და ა.შ", — აღნიშნა ირმა ხარშილაძემ.

მისი ინფორმაციით, ცენტრში აბიტურიენტებს ასწავლიან, ძირითადად, უნივერსიტეტის ყოფილი და ამჟამინდელი პროფესორ-მასწავლებლები – აბიტურიენტებს ცენტრში დასაქმებულ მასწავლებელთა შორის მათი შერჩევის უფლება და საშუალება აქვთ.

ფსიქოლოგიური მომზადების გარდა, ცენტრის ხელმძღვანელობა აბიტურიენტს მისაღები გამოცდებისთვის განაცხადის შევსებაშიც ეხმარება და რეკომენდაციებს უწევს, რათა მან არჩევანი სწორად გააკეთოს. „ბევრმა, პრაქტიკული თვალსაზრისით, არიცის განაცხადის მართებულად შევსება — ზოგიერთი, ხშირად, საკმაოდ სერიოზული ქულებით უმაღლესი სასწავლებლის ფარგლებს გარეთ რჩება. ამიტომ ჩვენ აბიტურიენტს, მშობლებთან ერთად, ოჯახის ფინანსური მდგომარეობისა და ბავშვის აკადემიური მონაცემების გათვალისწინებით ვავსებინებთ განაცხადს და, როგორც წესი, ჩვენი მიდგომა ამართლებს. წელსაც ჩვენი ცენტრის კურსდამთავრებულთა უმრავლესობა სწორედ იქ მოხვდა, რომელი უმაღლესი სასწავლებელიც განაცხადში პირველ ადგილზე ჰქონდა მითითებული", — განაცხადა ირმა ხარშილაძემ.

თსუ-ის აბიტურიენტთა მოსამზადებელი ცენტრის ხელმძღვანელობა იმედოვნებს, რომ უნივერსიტეტის ადმინისტრაცია ობიექტურად შეაფასებს ცენტრის საქმიანობას და სტუდენტობის მსურველი ახალგაზრდების უკეთ მოზიდვის მიზნით მას მატერიალურ დახმარებას გაუწევს.

ახალი გაცვლითი პროგრამები სტუდენტებისთვის

გასული სასწავლო წლის განმავლობაში საგარეო ურთიერთობის დეპარტამენტი აქტიურად იყო დაკავებული გაცვლითი პროგრამების ორგანიზებით და უცხოეთთან კონტაქტების გაღრმავებით. ზაფხულის განმავლობაში კი დეპარტამენტის თანამშრომლებმა საინტერესო პროექტებზეც იმუშავეს და ახალი სასწავლო წელიც დაგეგმეს.

რა სიახლეებია საგარეო ურთიერთობების თვალსაზრისით და რა ახალი პროგრამები ხვდებათ უნივერსიტეტის სტუდენტებს მომავალ სასწავლო წელს, ამ საკითხებზე გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტს“ საგარეო ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელი თეა გერგედავა ესაუბრა:

მაია ტორაძე

— თეა, რა მოსამზადებელი სამუშაოები შესრულდა ზაფხულის განმავლობაში თქვენს დეპარტამენტში, რომელი პროექტები იყო თქვენთვის საინტერესო და განსაკუთრებული?

— ზაფხულის განმავლობაში ჩვენმა დეპარტამენტმა გაეროს ევროკავშირის განათლების დირექტორთან თანამშრომლობითი ფანჯრის ფარგლებში ორგანიზება გაუწია „ერასმუს მუნდუსის“ სემინარს, რომლის მთავარი მიზანი იყო – დაგეგმილად შევხვედროდით მომავალ სასწავლო წელს. კერძოდ, განვსაზღვრეთ უნივერსიტეტის **პრიორიტეტები „ერასმუს მუნდუსის“** ახალი პროექტის ფარგლებში, რომელიც კონსორციუმის სხვა წევრებთან ერთად ხორციელდება.

ეს პროექტი ითვალისწინებს 3 წლის განმავლობაში თსუ-ის სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის ჩართვას ევროპული მობილობის სქემებში. საქართველოდან პროექტის წევრები არიან თბილისის, ბათუმის, გორის და თელავის უნივერსიტეტები.

ზაფხულში, ასევე, ვუმასპინძლეთ **„ერასმუს მუნდუსის“ გაცვლითი პროგრამით ჩამოსულ** სტუდენტებს. ორგანიზება გავუწიეთ მათ ჩართვას რამდენიმე ექსპედიციაში და უზრუნველვყავით ისინი სტაჟირებით სხვადასხვა სამინისტროში. ამის გამო აქტიური კონტაქტი გვქონდა გარემოს დაცვის სამინისტროსთან და სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსთან.

ჩვენი საქმიანობის ერთ-ერთი ყველაზე მთავარი და მნიშვნელოვანი ასპექტი გახლდათ მონაწილეობა პროექტში, რომელიც მიზნად ისახავს აკადემიური პროცესების მართვის ელექტრონული სისტემის შექმნასა და დანერგვას თსუ-ში. ეს პროექტი, რომელსაც ჩვენი დეპარტამენტი ახორციელებს და რომლის მენეჯერიც მე ვარ, ითვალისწინებს მიუნხენის ტექნიკური უნივერსიტეტის (გერმანია) მიერ განვითარებული აკადემიური პროცესების მართვის ბაზის ელექტრონული სისტემის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გადმოტანას და დანერგვას. 14 ივლისიდან აგვისტოს ბოლომდე ჩვენ ვუმასპინძლეთ პროექტის ორ ექსპერტს: პროფესორ **კირხენ ჰეისს და პროფესორ** ჯასპერ არნოლდუისს. ექვსი კვირის განმავლობაში მათთან ერთად აქტიურად ვიყავით ჩართულნი მოსამზადებელ სამუშაოებში. ჩვენთან ერთად იმუშავეს უნივერსიტეტის სასწავლო დეპარტამენტმა, საგამოცდო ცენტრმა, საფინანსო დეპარტამენტმა, საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტმა და ფაკულტეტების სასწავლო პროცესის მართვის სამსახურების წარმომადგენლებმა.

აქვე უნდა აღვნიშნო, რომ უნივერსიტეტში მიმდინარეობს USAID-ის მიერ დაფინანსებული პროექტი, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის სამსახურის ჩამოყალიბებას ითვალისწინებს. ამ პროექტის ფარგლებში ზაფხულში სამჯერ ვუმასპინძლეთ საერთაშორისო ექსპერტს, ბულგარეთში ამერიკული უნივერსიტეტის ვიცე-პრეზიდენტს **ინსტიტუციონალური** განვითარების მიმართულებით, პროფესორ **უილიამ კირხეს, რომელმაც ტრენინგები** ჩაატარა და სამსახურის დაგეგმვაში დაგვეხმარა. პროექტი დეკემბრის ბოლომდე გაგრძელდება.

— თქვენ ბრძანეთ, რომ მომავალი სასწავლო წელი ჯერ კიდევ ზაფხულში დაიგეგმა. რა ღონისძიებების ჩატარებაა გათვალისწინებული და რა ადგილი უჭირავს ამ ღონისძიებების ორგანიზებაში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს?

— უკვე ყველა მოსამზადებელი სამუშაო დასრულებულია **„ერასმუს მუნდუსის“** რეგიონალური კონფერენციის ჩასატარებლად, რომელიც 17-18 სექტემბერს გაიმართება. ამ ღონისძიების მასპინძლეობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

კონფერენცია ორი მიმართულებით იმუშავებს — გაკეთდება გასული სამი წლის განმავლობაში განხორციელებული „ერასმუს მუნდუსის“ გარე თანამშრომლობის ფანჯრის ორი პროექტის **(ლოტი 5 და ლოტი 6) მონიტორინგი.** ამ მიზნით ბრიუსელიდან, ევროკავშირის განათლების დეპარტამენტიდან ჩამოვა მონიტორინგის ჯგუფის ხელმძღვანელი, რომელიც ამ პროექტის მიმდინარეობას შეაფასებს. ის შეხვდება როგორც პროექტის მენეჯერს, ასევე, უნივერსიტეტის ადმინისტრაციას და ბენეფიციარებს – **იმ სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს,** რომლებიც ამ პროექტის ფარგლებში საზღვარგარეთ სწავლობდნენ და კვლევით საქმიანობას ეწეოდნენ.

ამას გარდა, 18 სექტემბერს გვექნება ახალი პროექტის ოფიციალური გახსნა, ეს არის „ერასმუს **მუნდუსის“ მეორე ტალღა — „თანამშრომლობა** სომხეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოსათვის“, რომელიც ასევე სამი წლის ვადით ითვალისწინებს **თსუ-ის სტუდენტების** ევროპაში მობილობას. ამ პროექტში მონაწილეობას მიიღებს ყველა პარტნიორი ევროპული უნივერსიტეტის წარმომადგენელი. კონსორციუმი 19 პარტნიორი უნივერსიტეტისგან შედგება. ჩვენ გვეყოლებიან სტუმრები იტალიიდან, დიდი ბრიტანეთიდან, საფრანგეთიდან, საბერძნეთიდან, პორტუგალიიდან, ბულგარეთიდან, ბელგიიდან, სომხეთიდან, **აზერბაიჯანიდან და ლატვიიდან. კონფერენციის** გახსნაში მონაწილეობას მიიღებს საქართველოს მეცნიერებისა და განათლების სამინისტროსა და სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები, ასევე, **ტემპუსის** ეროვნული ბიურო და ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში.

აგრეთვე დავგეგმეთ მეშვიდე ჩარჩო-პროგრამის **ერთ-ერთი პროექტის რეგიონალური** სემინარი, რომელიც 12-14 ნოემბერს გაიმართება და რომელსაც ასევე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი უმასპინძლებს.

მეშვიდე **ჩარჩო-პროგრამა არის ევროკავშირის** სპეციალური ხაზი, რომელიც ითვალისწინებს ევროპელ მეცნიერებსა და ევროკავშირის ფარგლებში არსებულ სამეცნიერო ერთეულებს შორის მჭიდრო კავშირების დამყარებას, რათა შემდგომ მათ ერთობლივ კვლევით პროექტებში მიიღონ მონაწილეობა ან თვითონ განახორციელონ ერთობლივი კვლევები. **პროექტის მთავარი მიზანია საერთაშორისო** ურთიერთობების განვითარება სამხრეთ კავკასიის, აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნების უნივერსიტეტებს შორის. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ამ პროექტის წევრია. ნოემბრის სემინარში მონაწილეობას მიიღებს ყველა პარტნიორი ქვეყნის წარმომადგენელი. მისი მიზანია იმ ინფორმაციის ურთიერთგაცვლა, რაც მეშვიდე ჩარჩო-პროგრამის მონაწილეთათვის არის აუცილებელი. ჩვენი მიზანიც ესაა — ურთიერთობების დამყარება და სამეცნიერო კონტაქტების გაღრმავება პროექტში ჩართულ ქვეყნებსა და ორგანიზაციებთან.

ნოემბერშია დაგეგმილი **ლუვენის უნივერ**სიტეტის ცნობილი სიმფონიური ორკესტრის ვიზიტი საქართველოში. იგი საუნივერსიტეტო ორკესტრებს შორის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებულია. ორკესტრი გასტროლებზე მსოფლიოს 128 ქალაქშია ნამყოფი. იგი 4 ნოემბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაუკრავს.

— როგორც აღნიშნე, ახალი პროექტების ფარგლებში გაიზარდა პარტნიორი უნივერსიტეტების რიცხვი. აისახება თუ არა ეს გაცვლით პროგრამებზე და რა სიახლეებია სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის მობილობის მიმართულებით?

— ახალ სასწავლო წელს ჩვენ ვგეგმავთ უცხოელი სტუდენტების მიღებას გაცვლითი პროექტების ფარგლებში. ამ წლის განმავლობაში 30-მდე სტუდენტს ველოდებით ბალტიისპირეთიდან, გერმანიიდან, იტალიიდან, პორტუგალიიდან და საბერძნეთიდან.

გვაქვს ახალი გაცვლითი პროგრამა სალერნმოს უნივერსიტეტთან. დაგეგმილია წლის განმავლობაში 5 სტუდენტის გაცვლა **ბაკალავრიატის დონეზე. ამ პროგრამის** მონაწილეთათვის იტალიურის ცოდნა აუცილებელია.

ასევე სიახლეა „ერასმუს-მუნდუსის“ ფაგლებში გაცვლითი პროგრამები რომის უნივერსიტეტთან (იტალია), **სვანსის უნივერ**სიტეტთან (დიდი ბრიტანეთი) და ბელგიის ბრუსელის თავისუფალ უნივერსიტეტთან (ბელგია).

— როდის გამოცხდდება ეს პროგრამები?

— გაცვლითი პროგრამა **სალერნმოს უნი**ვერსიტეტთან გამოცხადდება ისეთ დროს, რომ შესაძლებელი იყოს სტუდენტების შერჩევა გაზაფხულის სემესტრისთვის. რაც შეეხება „ერასმუს მუნდუსის“ პროექტში მონაწილე უნივერსიტეტებთან გაცვლით პროგრამებს, ამის შესახებ განცხადებების მიღება დაიწყება სასწავლო წლის დაწყებიდან დაახლოებით ერთი თვის ვადაში. აპლიკანტების შერჩევა უნდა დასრულდეს თებერვლის შუა რიცხვებში.

გარდა ამისა, გაგრძელდება გაცვლითი პროგრამა გერმანიის ფრდრიხ შილერის სახელობის იენის უნივერსიტეტსა და **ზაარლანდის უნივერსიტეტთან (გერმანია). ტრადი**ციულად, სტუდენტთა შერჩევა დაიწყება ნოემბრის ბოლოს და დეკემბრის დასაწყისში. გასული წლების მსგავსად, **ზაარლანდის უნი**ვერსიტეტის უცხოეთთან **ურთიერთობის სამ**სახურის წარმომადგენელი აპლიკანტებთან გასაუბრების მიზნით დეკემბრის დასაწყისში ეწვევა თბილისს. როგორც იცით, სპეციალურად ამ დროისთვის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩამოდის **ზაარლანდის უნი**ვერსიტეტის პროფესორი და ის წყვეტს — ვინ გააგრძელებს სწავლას გერმანიაში.

ამ სემესტრში, ასევე, გამოვაცხადებთ მობილობას კა-ფოსკარის უნივერსიტეტში. ხოლო რაც შეეხება ბალტიისპირეთის უნივერსიტეტებს, ტრადიციულად, კონკურსი გამოცხადდება 2011 წლის გაზაფხულზე, რადგანაც ბენეფიციარები 2011 **წლის შემოდგომის სე**მესტრს გაატარებენ ლიტვაში, ლატვიასა და ესტონეთში.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს საინტერესო გაცვლითი პროგრამები ელით. მათ ხელშეწყობას კი საგარეო ურთიერთობის დეპარტამენტი წელსაც აქტიურად გააგრძელებს.

თვითმმართველობა სტუდენტთა უფლებებს დაიცავს

*ახალი სასწავლო წლიდან თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის მუშაობის მთავარი პრიორიტეტი საგანმანათლებლო ღონისძიებების გამართვა და სტუდენტების უფლებების დაცვა იქნება. შესაბამისად გაიზრდება განათლებისა და მეცნიერების და სტუდენტთა უფლებების დაცვის დეპარტამენტების დაფინანსება. ასევე, დაგეგმილია უნივერსიტეტის მართვის პროცესში სტუდენტების როლის გააქტიურება, რაც საფაკულტეტო საბჭოებში სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლების რიცხვის გაზრდაში გამოიხატება. 2010 წლის საშემოდგომო სემესტრიდან **დაგეგმილი ცვლილებებისა და ახალი პროექტების შესახებ ვრცლად თსუ-ის სტუ**დენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი **დაჩი გუბაძე** გვესაუბრა.*

ნატო ოგოლაძე

— რა სიახლით ხვდება სტუდენტური თვითმმართველობა ახალ სასწავლო წელს?

— ბევრი საინტერესო სიახლე გვაქვს დაგეგმილი. **სტუდენტური თვითმმართველობის** წინასაარჩევნო კამპანიისას ვსაუბრობდით იმაზე, რომ სტუდენტურ თვითმმართველობაში პრიორიტეტები **შეიცვლებოდა. ვაპირებთ სერიოზული** ცვლილებების **გატარებას, რაც გამ**ოიხატება იმაში, რომ ბიუჯეტის განაწილებისას განათლებისა და სტუდენტთა უფლებების დაცვის დეპარტამენტები გაცილებით მეტ თანხას მიიღებენ. თუ ადრე პრიორიტეტი კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის მუშაობის გააქტიურება იყო, ახლა მათ განათლებისა და სტუდენტთა უფლებების დაცვის დეპარტამენტები ჩაანაცვლებენ.

— კონკრეტულად რა გეგმები გაქვთ განათლებისა და სტუდენტთა უფლებების დაცვის დეპარტამენტების მუშაობის გააქტიურების მიზნით?

— უპირველესად, გაიზრდება მათი დაფინანსება. სტუდენტების ინფორმირების მიზნით გავმართავთ ბევრ მნიშვნელოვან აქციას. სტუდენტებმა უნდა იცოდნენ საკუთარი უფლებები. **განათლებისა და მეცნიერების მი**მართულებით კი უკვე გაწერილი გვაქვს გეგმა, რომელიც თვეში მინიმუმ 4 ან 5 კონფერენციის ჩატარებას ითვალისწინებს. ინტელექტუალური თამაში – „რა? სად? როდის?“ შეიცვლის ფორმატს და ყველა ფაკულტეტზე ცალ-ცალკე ჩატარდება. არჩევნების პერიოდში **იმიტირე**ბული სასამართლო პროცესების შესახებაც ვსაუბრობდით. ახალი სასწავლო წლიდან მნიშვნელოვნად მოიმატებს მსგავსი სასამართლო პროცესების რიცხვი, რაც, ვფიქრობ, სტუდენტებს თეორიული მასალის პრაქტიკაში გამოყენების თვალსაზრისით დაეხმარება. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე გაიმართება ბიზნეს-ოლიმპიადა.

— რაც შეეხება თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის დეპარტამენტების ხელმძღვანელებს, როდის გახდება ცნობილი მათი ვინაობა?

— სტუდენტური თვითმმართველობის **დე**პარტამენტების **ხელმძღვანელობა ოფიციალ**ურად 25 სექტემბრის შემდეგ დაინიშნება, ანუ მას შემდეგ, რაც თვითმმართველობაში **პირ**ველკურსელებიც გაწევრიანდებიან. ნებისმიერ დაინტერესებულ პირს, რომელსაც საქმის გაკეთების სურვილი აქვს, შეუძლია ოფიციალურად **გაწევრიანდეს სტუდენტურ თვითმმართ**ველობაში.

ასევე, გვინდა, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიმდინარე მოვლენებში სტუდენტები უფრო აქტიურები იყვნენ. ამ მიმართულებით გარკვეული გეგმები გვაქვს: აკადემიური საბჭოს სხდომაზე გადაწყდება, მიეცემათ თუ არა სტუდენტებს საკუთარი აზრის დასაფიქსირებლად მეტი უფლება და რა დოზით მიიღებენ მონაწილეობას უნივერსიტეტის მართვის პროცესში.

— კონკრეტულად რაში გამოიხატება ამ მიმართულებით სტუდენტების უფლებების გაზრდა?

— მოგეხსენებათ, რომ თვითმმართველობის დელეგატები ფაკულტეტების საბჭოებზე ოფიციალურად წარმოადგენენ სტუდენტებს. გვინდა, რომ თითოეული ფაკულტეტის საბჭოზე თვითმმართველობის წარმომადგენლების რაოდენობა გაიზარდოს, რაც იმას ნიშნავს, რომ სტუდენტების რაოდენობა საფაკულტეტო საბჭოზე პროფესორების რაოდენობის პროპორციული იქნება. აქედან გამომდინარე, ბევრად უფრო მეტი გავლენა მიენიჭება სტუდენტს ამა თუ იმ ფაკულტეტის მართვის პროცესში.

— სტუდენტთა უფლებების დარღვევის შემთხვევაში, როგორ დაეხმარება თითოეულს სტუდენტური თვითმმართველობა?

— გააჩნია რა სახით დაირღვა სტუდენტის უფლებები... ჩვენი დეპარტამენტი მოამზადებს ამასთან დაკავშირებით საჭირო დოკუმენტაციას და შემდეგ მივმართავთ შესაბამის უწყებას, რომელიც ამ პრობლემის აღმოფხვრაში კომპეტენტური იქნება. ძირითადად გვხდება სასწავლო დეპარტამენტთან ან საგამოცდო ცენტრთან დაკავშირებული პრობლემები და ჩვენ აქტიურად ვითანამშრომლებთ მათთან. ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე რამდენიმე სტუდენტს უკვე დავეხმარეთ სასწავლო პროცესთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებაში.

— მიმდინარეობდა კონკურსი სტუდენტური გაზეთის პროექტის დაფინანსების შესახებ. როდის გახდება ცნობილი კონკურსის შედეგები?

— სტუდენტური გაზეთის დაფინანსებაზე კონკურსი უკვე დასრულდა. სულ 6 განაცხადი შემოვიდა და სპეციალურად შედგენილმა ჟიურიმ გამარჯვებული გამოავლინა. დაფინანსებული პროექტის ავტორის ვინაობას სპეციალურ პრესკონფერენციაზე დავასახელებთ, რომელიც უახლოეს მომავალში დაინიშნება.

— რაც შეეხება პირველკურსელებს, როგორ შეხვდება მათ თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობა?

— ტრადიციის მიხედვით, **თსუ-ის სტუ**დენტური თვითმმართველობა ყველაზე რეიტინგულ პირველკურსელებს საჩუქრებს გადასცემს. ვეცდებით მათ ისეთი საჩუქრები გავუკეთოთ, რაც მათთვის პრაქტიკულია და სტუდენტობის პერიოდშიც დასჭირდებათ. საღამოს 8 საათზე გაიმართება **ჯგუფ „მგზავ**რების“ კონცერტი. ასევე, ვგეგმავთ თითოეული ფაკულტეტიდან ყველაზე რეიტინგული 10-10 სტუდენტი სპეციალურ წვეულებაზე მოვიწვიოთ, სადაც **თსუ-ის სტუდენტური თვითმ**მართველობის საქმიანობას გავაცნობთ და, მათი სურვილის შემთხვევაში, ჩვენთან **გავაწ**ევრიანებთ. **სტუდენტური თვითმმართველო**ბის ხელმძღვანელობის სტუდენტებთან შეხვედრები მოეწყობა ფაკულტეტების მიხედვითაც. ახალ სასწავლო წელს განათლებისა და სტუდენტური უფლებების დაცვის მიმართულებით მუშაობის გარდა, **ტრადიციისამებრ, მოვაწ**ყობთ ექსკურსიებსაც.

როგორ ამოვხსნათ პირველკურსელთა თავსატეხი

ნინო კაკულია

— რა სიმწვავით იჩენს თავს უნივერსიტეტის სივრცეში პირველკურსელთა ადაპტაციის პრობლემა და როგორ გესახებათ მისი დაძლევის გზები? როგორც ფსიქოლოგი, რას ურჩევთ პირველკურსელებს? რა ღონისძიებებია გასატარებელი?

— უნივერსიტეტში პირველკურსელების ფეხის შემოდგმისთანავე ყველა ფაკულტეტი აწყობს მათთან შეხვედრას. მიუხედავად იმისა, რომ მათ უნივერსიტეტი სამახსოვრო საჩუქრებს სთავაზობს, ამ ცერემონიალის შემდეგ ფაკულტეტების დეკანები პირველკურსელებთან შეხვდრასა და მათთან გასაუბრებას, დაკვალიანების მიზნით, აუცილებელ პირობად თვლიან. ახალ გარემოში მოხვედრილნი, ისინი საკმაოდ დაბნეულად გამოიყურებიან... მათში იგრძნობა გაურკვევლობის, ახალ გარემოში მოსული ადამიანის შიში, რომელმაც არ იცის: როგორ აირჩიოს საგნები, რამდენი კრედიტი უნდა დააგროვოს... ამ ინფორმაციას მათ ადმინისტრაციის თანამშრომლები აწვდიან, მაგრამ მაინც არის დაბრკოლებები, მაგალითად, ტუტორებთან ურთიერთობის დამყარების მხრივ, იმისდა მიუხედავად, რომ ამის შესახებ ინფორმაცია მიწოდებული აქვთ. ასეთ შემთხვევაში გამოსავალია ნაცნობების მეშვეობით სტუდენტური სოციალიზაციის გავლა და სწორედ ამ ხერხით ადაპტირება — ანუ ახლად მოსული სტუდენტები ნაცნობების საშუალებით იგებენ — ტუტორებთან და ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ურთიერთობა როგორ დაამყარონ, როგორ აარჩიონ მათთვის სასურველი საგნები და სხვა.. ეს კულტურა თავდაპირველად პირველკურსელს არ აქვს, თუმცა ერთ თვეში საკმაოდ კარგად ლავირებენ. საერთოდ, მეცნიერულადაც დამტკიცებულია, რომ ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, I და II კურსის სტუდენტები ახალ გარემოში მარტოობას განიცდიან და გაუცხოების მომენტიც აქვთ, ვიდრე მეგობრებს შეიძენენ და ახალ წრეში ჩაერთვებიან.

— შეიძლება თუ არა, რომ უფრო მარტივად მათი ადაპტაციის მიზნით გარკვეული ღონისძიებები დაგეგმოთ?

— მსოფლიოს სხვადასხვა უნივერსიტეტებში არსებობს პირველკურსელთა ადაპტირების ასეთი ხერხი: ახლად მოსული სტუდენტებისგან გარკვეულ ჯგუფებს ქმნიან და ერთად მიჰყავთ ისინი სტუდენტურ ბანაკებში დასასვენებლად, გასართობად, რათა ადვილად გაუგონ ერთმანეთს და დამეგობრდნენ. ეს ჩვენს რეალობაში შეიძლება ტრენინგის სახით გაკეთდეს უნივერსიტეტის კედლებში, სადაც საშუალება ექნებათ გაეცნონ ფაკულტეტის სტრუქტურას, ერთმანეთს; მათი დაახლოების მიზნით ჩატარდეს სახალისო თამაშები და ა.შ. — ეს, ალბათ, მომავლის საქმეა, მაგრამ, ვფიქრობ, აუცილებლად გასაკეთებელია. ამ ტრენინგების საშუალებით მათ შეიძლება ვაცნობოთ — რომელ ბიბლიოთეკაში წავიდნენ, სად უნდა მოიძიონ რესურსცენტრი... ამას ახლა ტუტორები აკეთებენ, მაგრამ, ვფიქრობ, რომ უმჯობესია — მიღებული კონტინგენტი დაიყოს რაღაც ჯგუფებად და სწავლის დაწყებამდე ჩავუტაროთ ასეთი ტრენინგები. შეიძლება ყველა არ მოვიდეს, მაგრამ უმეტესობა, ალბათ, დაინტერესდება და ამ ღონისძიების საშუალებით გაუცნობიერდება ის, თუ რა გარემოში იმყოფება.

ეროვნული გამოცდების დადებითი შედეგების გამოცხადებისთანავე სტუდენტის ამპლუაში თავის წარმოდგენას თან ახლავს განცდა, თუ როგორ შევძლოთ უნივერსიტეტის ზღურბლზე ფეხის გადაბიჯება? ცხოვრების, სწავლის, გართობისა და დასვენების ახალი წეს-ჩვეულებანი, ახალი გარემო, ახალი ურთიერთობები, მეტი პასუხისმგებლობა და უფლება-მოვალეობანი — ამ ყოველივეს უცებ უნდა აუღოს ალღო პირველკურსელმა, რათა უნივერსიტეტის სრულუფლებიან წევრად იგრძნოს თავი. მათთვის უცხო — საუნივერსიტეტო გარემოში მოხვედრა მათი ადაპტაციის პრობლემას შეგვახსენებს, რაც ფსიქოლოგების დახმარებით დასაძლევი საკითხია. ამ თემით გაზეთი ,,თბილისის უნივერსიტეტი" მით უფრო დაინტერესდა, რაც რედაქციაში შემოვიდა სტუდენტის წერილი უნივერსიტეტის წიაღში არსებული ურთიერთობების მოგვარების თაობაზე. საკითხი აქტუალობას იძენს იმ თვალსაზრისით, რომ ახალი სასწავლო წელი იწყება და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოხვედრილი ყველა სტუდენტი გაფაციცებული ელოდება – რა დაიწყება მის ცხოვრებაში ახალი, რა ინფორმაცია უნდა აკენკოს, რას უნდა შეეჭიდოს და რა დაძლიოს. სწორედ ამ პრობლემაზე სასაუბროდ მოვიწვიეთ რედაქციაში თსუ-ის პროფესორი, ფსიქოლოგი (სოციალური ფსიქოლოგია) რევაზ ჯორბენაძე, რომელსაც ამ მიმართულებით საკუთარი შეხედულება და სამოქმედო გეგმა აქვს.

გამოცდილებამ გვაჩვენა, რომ ამ პირველკურსელებს, რომლებიც თავიდან სკოლის მოსწავლეებივით იქცევიან, მზრუნველობა სჭირდებათ. საკმაოდ ბევრი პირველკურსელი, პირველ სემესტრში მაინც, ბავშვურ განწყობას ინარჩუნებს და ეს ჩვენთან ერთად დასაძლევი ამოცანაა. ზოგჯერ ისე ხდება, რომ ერთი კურსის სტუდენტები სხვადასხვა საგნების არჩევის გამო არც კი იცნობენ ერთმანეთს.

ადრე, მახსოვს, ტარდებოდა ლექციები უნივერსიტეტის ისტორიის შესახებ, ახვედრებდნენ ცნობილ პროფესორებს მათი სტიმულირებისთვის და ა.შ. ეს ყველაფერი, კომპლექსში, მოგვცემს იმას, რომ სტუდენტი უფრო ადვილად შეეგუოს მისთვის უცხო სასწავლო პროცესს. მათდამი ასეთი მიდგომა შეიძლება მთელი წლის განმავლობაში გაგრძელდეს. მაგალითად, ჩვენს ფაკულტეტზე (სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე) ვახერხებთ იმას, რომ პირველკურსელებს, ვთქვათ, სასწავლო პროცესის დაწყებიდან 2 თვის გასვლის შემდეგაც შევხვდეთ და მათგან მოვისმინოთ პრობლემების შესახებ ინფორმაცია. ხშირად მათი პრობლემები დაკავშირებულია საბუთებთან... საქართველოში, როგორც წესი, პირველ დღეს არავინ მოდის საბუთების გასაფორმებლად, ამას ბოლო დღეებში აკეთებს უმრავლესობა და, ბუნებრივია, რიგში დგომაც უწევთ. შემდეგ ეს ქმნის ხოლმე იმის ილუზიას, რომ საბუთების მიღების პროცედურა მეტად გაჭიანურებულია და რომ არსებობს მომსახურების მხრივ გარკვეული პრობლემები.

ვფიქრობ, რომ მარტო დეკანატის მოსაგვარებელი არ არის მათი ადაპტაციის პრობლემა. მნიშვნელოვანია, რომ უნივერსიტეტმა მათთან თავიდანვე დაამყაროს ურთიერთობა. მაგალითად, პირველკურსელები ძალიან გვიან იგებენ, რომ არსებობს უნივერსიტეტის გაზეთი, ამიტომ გაზეთის გავრცელების უზრუნველყოფა აუცილებელია. ვფიქრობ, რომ უნდა გამოვიდეს ბუკლეტი, რომელიც გზამკვლევის ფუნქციასაც შეასრულებს და მასში უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა წარმატებების მიღწევის გზებიც აისახება. მნიშვნელოვანია ცნობილ მეცნიერებთან შეხვედრა და საჯარო ლექციების პოპულარულ ენაზე მოსმენა... საერთოდ ვფიქრობ, რომ უნდა ჩამოყალიბდეს ფსიქოლოგთა პროფესიული ჯგუფი, რომლებიც ამ მიმართულებით და ამ აქცენტებით შეეცდებიან პრობლემებზე მუშაობას ტრენინგჯგუფების თუ საკონსულტაციო ცენტრების შექმნის გზით, თუნდაც.

— საუნივერსიტეტო ქალაქი რომ გვქონდეს, ალბათ, თქვენს მიერ შემუშავებული გეგმების განხორციელება უფრო იოლი იქნებოდა...

— რა თქმა უნდა, ასეთ შემთხვევაში სამეგობრო კლუბებიც იარსებებდა და სტუდენტთა დაახლოების უფრო მეტი შანსიც იქნებოდა. მოხარული ვარ, რომ I კორპუსში მუზეუმი გაკეთდება... პირველკურსელი მუზეუმში უნდა შევიდეს და ნახოს — ვინ ჩაუყარა საფუძველი უნივერსიტეტის მშენებლობასა და მის დაარსებას? რა კეთდებოდა? რა ხდებოდა ამ წლების განმავლობაში?

— წარსული გამოცდილებიდან გამომდინარე, უნივერსიტეტის წიაღში შეძენილ მეგობრებს შემდეგ მთელ ცხოვრებას უკავშირებდნენ. ეს ტრადიცია თუ არსებობს დღესაც?

— სტუდენტური თვითმმართველობა რაღაც ბირთვს ქმნის, რომელშიც სტუდენტები არიან ჩართული. თვითმმართველობის მიერ ჩატარებული კულტურული და სპორტული ღონისძიებები კიდევ უფრო აახლოებთ მათ ერთმანეთთან. ამიტომ ასეთი ჯგუფის არსებობა უნივერსიტეტში კომუნიკაციისთვის კარგ პირობებს ქმნის, მით უფრო, რომ მომავალში ამ სტუდენტებს ერთად მოუწევთ სახელმწიფოებრივი მშენებლობის პროცესებში ჩაბმა. თვითმმართველობამ ამ ამოცანის შესრულებას კარგად გაართვა თავი – მისი სახით უნივერსიტეტში მეგობრობის ინსტიტუტი მივიღეთ. ასევე კარგი იქნება, თუკი ამ ბირთვთან ურთიერთობისთვის უფრო მეტად გაეხსნებათ გზა რაიონებიდან ჩამოსულ და უცხოელ სტუდენტებსაც.

— თქვენი ინფორმაციით, რაიონიდან ჩამოსულ და უცხოელ სტუდენტებს ადაპტაცია უფრო უჭირთ?

— 5-6 წლის წინ ეს პრობლემა უფრო მწვავედ იდგა, ახლა ვითარება შეიცვალა. ადგილობრივი სტუდენტები უფრო მიმღებნი და გახსნილნი გახდნენ ჩამოსული სტუდენტებისთვის. ამას ხელი თვითმმართველობამაც შეუწყო. კარგი იქნება, თუკი ეს ორგანიზაცია უფრო დაინტერესდება თბილისში ჩამოსულ სტუდენტთა მონაცემებითა და უნარ-ჩვევებით — ვის რისი ნიჭი აქვს... შესაბამისად უნდა მოხდეს მათი ჩართვა თვითმმართველობის მიერ დაგეგმილ ღონისძიებებში... ასე რომ, ბევრი საშუალებაა, ვიფიქროთ — როგორ გავუქარწყლოთ სტუდენტებს მარტოობისა და გაუცხოების განცდა. ამისთვის, პირველ რიგში, უნივერსიტეტში მომუშავე ფსიქოლოგების მობილიზებაა საჭირო და მათი მრგვალ მაგიდასთან დასხდომა სტუდენტთა ადაპტაციის პრობლემაზე სამოქმედო გეგმის შესამუშავებლად.

ახალი აკადემიური საბჭოს ასარჩევად კანდიდატთა რეგისტრაცია დასრულდა

ნატო ოგოლაძე

თსუ-ის აკადემიური საბჭოს არჩევნები 22 სექტემბერს გაიმართება. თსუ-ის აკადემიური საბჭოს შემადგენლობას, 4 წევრის გამოკლებით (ქეთევან მარშავა, ფრიდონ თოდუა, რევაზ გველესიანი, აკაკი ყულიჯანაშვილი), უფლებამოსილება 29 სექტემბერს შეუწყდება.

თსუ-ის პროფესურა და საფაკულტეტო საბჭოებში წარმოდგენილი სტუდენტური თვითმმართველობის წევრები, ამჯერად, აკადემიური საბჭოს 8 წევრს აირჩევენ. 22 სექტემბერს თსუ-ის აკადემიურ საბჭოში საკუთარ წარმომადგენლებს აირჩევენ შემდეგი ფაკულტეტები: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი — 1 წევრი, იურიდიული ფაკულტეტი — 2 წევრი, მედიცინის ფაკულტეტი — 1 წევრი, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი — 2 წევრი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი — 2 წევრი. კანდიდატთა რეგისტრაცია 2 სექტემბრიდან 10 სექტემბრის ჩათვლით მიმდინარეობდა. არჩევნებში მონაწილეობის უფლება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყველა სრულ და ასოცირებულ **პროფესორს აქვს. ამ დროისთვის** სულ 21 კანდიდატია **დარეგისტრირებული**, მათ შორის: იურიდიული ფაკულტეტიდან — ბესარიონ ზოიძე, ნუგზარ სურგულაძე, მაია კოპალეიშვილი; ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტიდან — ნოდარ ელიზბარაშვილი, ელიზბარ ნადარაია, ალექსანდრე შენგელაია, ჯუმბერ კერესელიძე, თეიმურაზ ლეჟავა; ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტიდან — რამაზ ქურდაძე, ნანი გაფრინდაშვილი, ცირა ბარამიძე; სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტიდან — რევაზ გაჩეჩილაძე, გუგული მაღრაძე, თამარ გაგოშიძე, მარიამ გერსამია, ამირან ბერძენიშვილი, ზურაბ დავითაშვილი, იოსებ სალუქვაძე, მარინე ჩიტაშვილი, გია ჟორჟოლიანი; მედიცინის ფაკულტეტიდან — პაატა იმნაძე.

„კანდიდატებს რეგისტრაციისთვის დებულებით განსაზღვრული დრო ჰქონდათ. **რეგისტრაცია შვიდი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა.** არჩევნების შესახებ ინფორმაცია კანდიდატებს მაქსიმალურად ოპერატიულად მიეწოდათ — გავაკარით საინფორმაციო პლაკატები, ინფორმაცია ელექტრონული ფოსტის საშუალებითაც გავავრცელეთ. ჩვენს ვებგვერდზე **განთავსებული არის ყველა კანდიდატის** ავტობიოგრაფია, რათა ამომრჩევლებს საშუალება ჰქონდეთ აკადემიური საბჭოს მომავალი წევრების შესახებ საჭირო ინფორმაცია მიიღონ“, — განაცხადა საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ მიხეილ დევდარიანმა.

თსუ-ის აკადემიური საბჭოს არჩევნებს თბილისის რამდენიმე უმაღლესი სასწავლებლის წარმომადგენლები დააკვირდებიან. დამკვირვებლების რეგისტრაცია 19 სექტემბრამდეა დაშვებული, თუმცა ჯერჯერობით საარჩევნო კომისიაში არც ერთი ორგანიზაცია დამკვირვებლის სტატუსით არ დარეგისტრირებულა.

აკადემიური საბჭოს არჩევნების პირველად შედეგებს საარჩევნო კომისია 23 სექტემბერს გამოაქვეყნებს, ხოლო გასაჩივრების სამ დღიანი ვადის ამოწურვის შემდეგ არჩევნების შემაჯამებელ ოქმს შეადგენს. უკვე 29 სექტემბრიდან **თსუ-ის აკადემიური საბჭო ახალი შემადგენლობით** განაგრძობს მუშაობას. მომდევნო ეტაპზე მისი მთავარი მოვალეობა ახალი რექტორის არჩევა იქნება, რომელიც, შემდეგ, ავტომატურად გახდება აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე.

ჩვენი ყველა სექციის კარი ღიაა...

შურთხია ბერეშვილი

ივანე **ჯავახიშვილის სახელობის თბილისის** სახელმწიფო უნივერსიტეტის **კულტურის** და სპორტის ცენტრი ახალ სასწავლო წელს ნიჭიერი სტუდენტების ახალ პლეადას ელოდება. იმისთვის, რომ სტუდენტმა თავისუფალი დრო შინაარსიანად გაატაროს და ამასთან, თავისი შემოქმედებითი ნიჭის რეალიზება მოახერხოს, მას შესაბამისი გარემო ესაჭიროება. როგორც **კულტურის და სპორ**ტის ცენტრის ხელმძღვანელი ირაკლი **ხარ**ჯევანიძე **აღნიშნავს, მოლოდინი ორივე მხრ**იდან დიდია: — სტუდენტები აქტიურად არიან ჩართულნი სხვადასხვა სექციებში და ახალ ინიციატივებს **ელიან, თავის მხრივ, კულ**ტურის და სპორტის ცენტრი ყველანაირად ცდილობს ხელი შეუწყოს უნივერსიტეტში ნიჭიერი სტუდენტების ინტეგრირებას.

„ახალ სასწავლო წელს სტუდენტებს ჩვენი ცენტრისგან მრავალი სიახლე და სიურპრიზი ელით. განსაკუთრებით ვემზადებით პირველკურსელებთან შესახვედრად და იმ ინიციატივების **გასაცნობად, რასაც უნივერ**სიტეტში კულტურისა და სპორტის ცენტრი ახორციელებს. ამჟამად კულტურისა და სპორტის მიმართულებით დაახლოებით 15 სექცია მუშაობს. **ახალი სასწავლო წლისთ**ვის, სტუდენტების ინტერესების გათვალისწინებით, კიდევ 17 სექცია დაემატება“, — აღნიშნა ირაკლი ხარჯევანიძემ.

თსუ-ის **კულტურისა და სპორტის ცენ**ტრი 2007 წელს ჩამოყალიბდა და მასში გაერთიანებულია როგორც შემოქმედებითი ჯგუფები, ასევე, სპორტული გუნდები და სექციები. მათი საქმიანობა და წარმატებები ცნობილია არა მარტო უნივერსიტეტში, არამედ მთელ საქართველოში და მის საზღვრებს გარეთ. ცენტრში ფუნქციონირებს ვაჟთა ვოკალური ანსამბლი, გოგონათა ხალხურ საკრავთა ანსამბლი **„თსუ გორდე**ლა“, **უნივერსიტეტის მოცეკვავეთა ანსამ**ბლი „უნივერსიტეტი“, თეატრალური დასი „სხვენი“, „მან-სან-კანი“, ასევე სხვადასხვა სპორტული სექციები.

ირაკლი ხარჯევანიძის ინფორმაციით, ახალი სასწავლო წლიდან კულტურისა და სპორტის დეპარტამენტში დაგეგმილია ახალი მუსიკალური ჯგუფის, **ბენდის, კაპე**ლას, ფოტოხელოვნების, ლიტერატურული სალონის, სამხატვრო და ხელნაკეთი ნივთების სახელოსნოსა და გობელენის სექციების გახსნა. სტუდენტებს სიახლეები ელით სპორტის მიმართულებითაც. სწავლის **დაწ**ყებისთანავე **შეიქმნება ხელბურთის, ფრენ**ბურთის, ჯომარდობის, რაგბის, ჭადრაკის და სხვა სპორტული სახეობის სექციები.

„სიამაყით მინდა განვაცხადო, რომ უნივერსიტეტის ანსამბლები და სპორტული გუნდები დიდი სიყვარულით სარგებლობენ არა მხოლოდ საუნივერსიტეტო საზოგადოებაში. **ახლახან უნივერსიტეტის ქო**რეოგრაფიული ანსამბლი „უნივერსიტეტი“ ესპანეთიდან დაბრუნდა, სადაც 11 **საერთა**შორისო ფესტივალში მიიღო მონაწილეობა. აღნიშვნის ღირსია ჩვენი ფეხბურთელების, კალათბურთელების, მკლავჭიდელების და მძლეოსნების წარმატებები სხვადასხვა შეჯიბრებებში. მოუთმენლად ველით ახალ შევსებას ყველა მიმართულებით. ახალი სასწავლო წლიდან თითქმის ყველა სექცია

თავიდან გამოაცხადებს მიღებას. სიხარულით მივიღებთ ყველა ნიჭიერ ახალგაზრდას, რომელსაც სურვილი ექნება თავისუფალი დრო საინტერესოდ გაატაროს. მათთვის ჩვენი ყველა სექციის კარი ღიაა“, — აცხადებს ირაკლი ხარჯევანიძე.

როგორც ცნობილია, ახალ სასწავლო წელს **თსუ-ის სტუდენტური თვითმმართ**ველობის, კულტურისა და სპორტის ცენტრის და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ინიციატივით გრანდიოზული კონცერტი გაიმართება, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ უნივერსიტეტის ვაჟთა ვოკალური ანსამბლი, გოგონათა ხალხურ საკრავთა ანსამბლი **„თსუ გორდე**ლა“ **და უნივერსიტეტის მოცეკვავეთა ანსამ**ბლი „უნივერსიტეტი“.

კულტურისა და სპორტის დეპარტამენტი აქტიურ საქმიანობას სწავლის დაწყებისთანავე შეუდგება.

ესპანეთში ვიზიტი

შურთხია ბერეშვილი

უნივერსიტეტის მოცეკვავეთა ანსამბლი „უნივერსიტეტი“ ახლახან ესპანეთიდან დაბრუნდა, სადაც ქალაქ ვალენსიაში გამართულ ტრადიციული სიმღერის და ცეკვის XI საერთაშორისო ფესტივალში მიიღო მონაწილეობა და ესპანელი მაყურებლის მოწონება და სიყვარული დაიმსახურა.

შთაბეჭდილებები ანსამბლის ქორეოგრაფმა დავით კიკვაძემ გაგვიზიარა:

„ესპანეთში ანსამბლის ვიზიტი 16 აგვისტოდან 3 სექტემბრამდე გაგრძელდა. **ვალენ**სიაში კონცერტის შემდეგ ჩვენ რამდენიმე შეთავაზება მივიღეთ და კონცერტები სხვა ქალაქებშიც გავმართეთ, მათ შორის, მადრიდში, რონდაში, დენიაში... ყველგან დიდი მოწონება დავიმსახურეთ. აღსანიშნავია, რომ მოწვევა კიდევ გაგვიგრძელეს, მაგრამ ვიზების ვადა დაგვიმთავრდა და სხვაგან ვეღარ მოვახერხეთ კონცერტების გამართვა. მართალია, ესპანეთში შემცირებული შემადგენლობით წავედით, მაგრამ მაინც მოვახერხეთ ესპანელი მაყურებლის გულის მოგება“, — აღნიშნა დავით კიკვაძემ.

მისი თქმით, ტრადიციული სიმღერის და ცეკვის საერთაშორისო ფესტივალი ყოველ წელს სხვადასხვა ქვეყანაში იმართება და ანსამბლი „უნივერსიტეტი“ ყოველთვის გამარჯვებული ბრუნდება. დაარსების დღიდან ანსამბლმა მსოფლიოს 20 ქვეყანაში იმოგზაურა, მათ შორის, გერმანიაში, ავსტრიაში, იტალიაში, ნორვეგიაში, იაპონიაში, ეგვიპტეში, ჩინეთში, საბერძნეთში, ინდოეთში, ნეპალში, პოლონეთსა და ჩეხოსლოვაკიაში. აღსანიშნავია, რომ 2009 წლის სექტემბერში ანსამბლმა იტალიაში, ქალაქ **სიცილიაში გამართულ საერ**თაშორისო ფესტივალზე 4 გრან-პრი მოიპოვა.

„რეპერტუარი საკმაოდ მრავალფეროვანი გვაქვს და მასში შედის საქართველოს თითქმის ყველა კუთხის ნაციონალური ცეკვები: „ხორუმი“, „ქართული“, „სვანური“, „მლეთური“, „აჭარული“, „ფარიკაობა“ და სხვა. ესპანეთში საკონცერტო პროგრამას ცეკვა „შეჯიბრით“ ვასრულებდით, რადგან **მაყურებელს განსა**კუთრებით მოსწონდა. სამწუხაროა, რომ ამჟამადაც მიწევდა იმის განმარტება, თუ სად იყო „ხეორხია“, ანუ საქართველო. სიამაყით მინდა გავიხსენო, რომ ჩვენს კონცერტებს ესწრებოდა ვალენსიის **მერი, რომელმაც სურვილი გამოთქ**ვა საქართველოში ჩამოსვლასა და თბილისი–ვალენსიის **დამეგობრების თაობაზე“,** — **განაცხ**ადა დავით კიკვაძემ.

მისი **ინფორმაციით, იტალიის, ქალაქ სი**ცილიის მერისგან ანსამბლმა „უნივერსიტეტმა“ უკვე მიიღო მოწვევა ტრადიციული სიმღერის და ცეკვის 67-ე საერთაშორისო ფესტივალში მონაწილეობის მისაღებად, რომელიც 18-27 თებერვალს გაიმართება. დავით კიკვაძის თქმით, ანსამბლის წარმატების ერთ-ერთი პირობა ის მხარდაჭერაა, რომელსაც მათ მიმართ უნივერსიტეტის ადმინისტრაცია და ქალაქის მერია იჩენს.

ანსამბლი „უნივერსიტეტი“ 20 სექტემბერს პირველკურსელებსაც **უმასპინძლებს, უახ**ლოეს მომავალში კი ქვემო ქართლის რეგიონში, მათ შორის, გორში აპირებს კონცერტების გამართვას.

რა ინფრასტრუქტურა ხვდებათ სტუდენტებს

ახალი სასწავლო პროცესისთვის მზადება თსუ-ის მატერიალური მართვის დეპარტამენტმა წინა სემესტრის დასრულების შემდეგ ზაფხულის დადგომისთანავე დაიწყო. ამ ხნის მანძილზე მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩატარდა. როგორც გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტთან“ საუბარში დეპარტამენტის ხელმძღვანელმა დავით ჩერქეზიშვილმა აღნიშნა, უნივერსიტეტის კეთილმოწყობა, სტუდენტებისათვის და აკადემიური პერსონალისათვის კომფორტული გარემოს შექმნა ადმინისტრაციის მთავარი პრიორიტეტია და ამ მიმართულებით მუშაობა კვლავაც გაგრძელდება.

შურთხია ბერეშვილი

— **სასწავლო პროცესის წარმატებით წარმართვისთვის რა გარემო ხვდებათ სტუდენტებს?**

— მატერიალური მართვის დეპარტამენტი ახალ სასწავლო წელს მაქსიმალურად მომზადებული და მობილიზებული ხვდება. შეიძლება ითქვას, რომ წლის განმავლობაში დაგეგმილი სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები წარმატებით ხორციელდება. მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ დიდია შენობა-ნაგებობების ფართი და მათი დიდი ნაწილი არის დიდი ხნის გაურემონტებელი, ვცდილობთ, ყოველ ახალ სასწავლო სემესტრში სტუდენტებს დახვდეთ ახალი გარემონტებული და თანამედროვედ მოწყობილი სასწავლო ფართები.

— **კონკრეტულად რა სამუშაოები ჩატარდა?**

სარემონტო სამუშაოები შეეხო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თითქმის ყველა კორპუსს. გარემონტდა აუდიტორიები, ლაბორატორიები, შევიძინეთ ახალი ინვენტარი, კომპიუტერული ტექნიკა. კერძოდ: VI კორპუსში გარემონტდა ფოიე და მოწესრიგდა სველი წერტილები, III კორპუსში გარემონტდა ორი აუდიტორია და შეკეთდა დერეფნებში დაზიანებული ადგილები, VIII კორპუსში გარემონტდა სამი სასწავლო აუდიტორია, V კორპუსში რემონტდება და სასწავლო წლის დაწყებამდე დასრულებული იქნება 6 აუდიტორია, I, II და III სართულების დერეფნები და სველი წერტილი, X (მაღლივი) და III კორპუსებში გარემონტდა საფაკულტეტო ბიბლიოთეკები, XI კორპუსში, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე გარემონტდა 12 აუდიტორია, მოეწყო ლაბორატორიები და შეივსო შესაბამისი ინვენტარით. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე, VI კორპუსში, თითქმის მთლიანად შეიცვალა აუდიტორიებში არსებული სასწავლო ინვენტარი. მაღლივ კორპუსში რეაბილიტირებულია და განახლებულია 280-მდე სასწავლო მერხი. ყველა ფაკულტეტზე, საბოლოოდ, ამოქმედდა სტუდენტთა მომსახურების ცენტრები და დასრულდა მათი კეთილმოწყობა. აღსანიშნავია, რომ შეკეთდა VIII კორპუსისა და მაღლივი კორპუსის დაზიანებული ნაწილები, ამჟამად მიმდინარეობს მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტის შენობის სახურავის და ზოოლოგიური მუზეუმის სარემონტო სამუშაოები, ყველა კორპუსში მოწესრიგდა სველი წერტილები, საკეტები, განათებები და, შესაბამისად, მომზადდა აუდიტორიები სასწავლო პროცესისათვის.

მნიშვნელოვანია, რომ ფაკულტეტებს გადაეცათ სხვადასხვა სახის კომპიუტერული ტექნიკა, მათ შორის: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტს 20 კომპიუტერი, 4 ნოუთბუქი, 5 პროექტორი; ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტს 12 კომპიუტერი, 8 ცალი პროექტორი; სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტს 20 კომპიუტერი, 10 პროექტორი; იურიდიულ ფაკულტეტს 10 კომპიუტერი, 1 ნოუთბუქი; მედიცინის ფაკულტეტს 10 კომპიუტერი, 6 პროექტორი, 1 ნოუთბუქი. აუდიტორიებში მოწესრიგდა გახმოვანების სისტემები.

— **ვინ უზრუნველყო აღნიშნული სამუშაოების შესრულება და კიდევ რა სიახლეებს სთავაზობს თსუ-ის მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტი სტუდენტებს და პედაგოგ-მასწავლებლებს?**

— აღნიშნული სამუშაოები, გარდა ზოოლოგიურ მუზეუმში ჩასატარებელი სამუშაოებისა, მთლიანად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან დაფინანსდა. **სამშენებლო-სარეკონსტრუქციო** სამუშაოებისა და ინვენტარის **შესაძენად უნივერსიტეტის ბიუ**ჯეტიდან დახარჯულია 150 ათას ლარზე მეტი. სარემონტო სამუშაოები შეასრულა ტენდერში გამარჯვებულმა სამშენებლო კომპანია „მონოლით-მშენ“-მა. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაფინანსებით მიმდინარეობს უნივერსიტეტის XI კორპუსში ზოოლოგიური მუზეუმის სარემონტო სამუშაოები, რომელსაც ასრულებს კონკურსში გამარჯვებული კომპანია „ტაბა+“.

მოგეხსენებათ, რომ აქტიურად მიმდინარეობს I კორპუსის კაპიტალური რემონტი. სარემონტო სამუშაოები, სავარაუდოდ, უნდა დასრულდეს მომავალ წელს, რომელსაც აწარმოებს „ქართუ ჯგუფი“.

ქიმიაში სამუშაო არის, ქიმიკოსები კი აღარ გვყავს!

საერთაშორისო სიმპოზიუმი

მაია ტორაძე





თბილისისსახელმწიფოუნივერსიტეტი მაღალი დონის მეცნიერული კვლევებით და აქტიური სამეცნიერო კონტაქტებით კავკასიის რეგიონში კვლავაც ლიდერია. აქ გამართული საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციები უცხოელთა მაღალ შეფასებას იმსახურებს და ქართველ მეცნიერებს ახალი კონტაქტების დამყარების კარგ საფუძველს აძლევს. ამის დასტურად შეიძლება მივიჩნიოთ 7-10 სექტემბერს გამართული კავკასიის მეორე საერთაშორისო სიმპოზიუმი: „პოლიმერები და თანამედროვე მასალები“, რომელშიც თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ქიმიის მიმართულების პროფესორებთან ერთად გერმანელი, ფრანგი, სომეხი, აზერბაიჯანელი და ირანელი მეცნიერებიც მონაწილეობდნენ.

სიმპოზიუმის ორგანიზატორები იყვნენ თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სრული პროფესორი ომარ მუკბანიანი და ასოცირებული პროფესორი ვაჟა ცხოვრებაშვილი, ასევე, საფრანგეთის მონპელიეს უნივერსიტეტის პროფესორი მარკ აბადი.

სიმპოზიუმი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის, საქართველოს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აკადემიისა და გამომცემლობა „V“-ს მხარდაჭერით გაიმართა.

სიმპოზიუმის გახსნას ესწრებოდნენ თსუ-ის რექტორის მოვალეობის შემსრულებელი ალექსანდრე კვიტაშვილი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელი, პროფესორი რამაზ ბოჭორიშვილი, მოწვეული სტუმრები და ახალგაზრდა მეცნიერები.

ალექსანდრე კვიტაშვილმა მისასალმებელ სიტყვაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისადმი მხარდაჭერა უნივერსიტეტში ერთ-ერთ პრიორიტეტად იქცევა. „ქვეყანას ამ მიმართულებით კვალიფიციური კადრები სჭირდება და უნივერსიტეტი ყველაფერს გააკეთებს ახალგაზრდების მოსაზიდად“, — განაცხადა მან.

სიმპოზიუმის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა ვაჟა ცხოვრებაშვილმა ჩვენთან საუბარში სიმპოზიუმის დაარსების ისტორია გაიხსენა და განაცხადა, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ასეთი დონის სამეცნიერო კონფერენციის ჩატარება საფრანგეთის მონპელიეს უნივერსიტეტის პროფესორის მარკ აბადის დიდი ძალისხმევის შედეგია. ბატონი ვაჟა ცხოვრებაშვილის აზრით, ამ სიმპოზიუმს, გარდა სამეცნიერო მნიშვნელობისა, ის დატვირთვაც აქვს, რომ დაინტერესოს ახალგაზრდა მეცნიერები და, ზოგადად, ახალგაზრდობა, რადგან ბოლო დროს შესუსტდა ინტერესი საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, მათ შორის, ქიმიის მიმართ. „არადა, საქართველოში ძალიან დიდი სამუშაო არეალია და ბუნებრივი საბადოებიც გვაქვს – არის დარიშხანის საბადო, ოქროს საბადოები, მანგანუმის საბადო და სხვა. ამ პატარა ქვეყნისთვის, სადაც სულ 4 მილიონი ადამიანი ცხოვრობს, ეს ცოტა არ გახლავთ. აქედან გამომდინარე, ქიმიაში სამუშაო არის, ქიმიკოსები კი აღარ გვყავს! ამიტომ ახალგაზრდებთან ბევრი უნდა ვიმუშაოთ და კარგი რეკლამაც გავუწიოთ საბუნებისმეტყველო მიმართულებებს, რათა ახალგაზრდობა ქვეყნისთვის მეტად მნიშვნელოვანი საქმით დაკავდეს“, — განაცხადა ვაჟა ცხოვრებაშვილმა.

თემატიკა, რომელიც სამეცნიერო სიმპოზიუმზე იყო წარმოდგენილი, თანამედროვე ქიმიაში მეტად საინტერესო და აქტუალურია. პოლიმერები ჩვეულებრივ ცხოვრებაში ყოველ ფეხის ნაბიჯზე გვხვდება, რადგან მისგან მზადდება მასობრივი მოხმარების უამრავი საგანი, დაწყებული კომპიუტერიდან, დამთავრებული საოჯახო ნივთებითა და ბავშვის სათამაშოებით. თუმცა პოლიმერი, ბუნებრივი სახით, თითქმის არ გამოიყენება. მას უმატებენ სხვადასხვა დანამატს. სწორედ ამ დანამატებისა და თანამედროვე მასალების შექმნაზე მუშაობენ მეცნიერები მთელ მსოფლიოსა და საქართველოშიც. ამდენად, ამ სფეროში მომუშავე მეცნიერების თავმოყრასა და კვლევებში არსებული სიახლეების ერთმანეთისთვის გაზიარებას აქვს ძალიან დიდი მნიშვნელობა. როგორც მაკრომოლეკულების ქიმიის ლაბორატორიის გამგე ელიზა მარქარაშვილი აღნიშნავს, გარდა სამეცნიერო მნიშვნელობისა, ამგვარ კონფერენციას კიდევ ერთი დანიშნულება აქვს – უცხოელებთან ერთობლივი სამეცნიერო პროექტების შექმნა და განხორციელება.

საფრანგეთის მონპელიეს უნივერსიტეტის პროფესორი მარკ აბადი კმაყოფილებას გამოხატავს, რომ შესაძლებელი გახდა ქიმიის ამ დარგში მომუშავე მეცნიერების თბილისში თავმოყრა. მისი აზრით, თბილისი „კავკასიის დედაქალაქია“ და მისი როლი თანდათან მნიშვნელოვანი ხდება არა მხოლოდ პოლიტიკასა და ეკონომიკაში, არამედ მეცნიერებაშიც. „ჩვენ სიმპოზიუმის სათაურში სწორედ ეს მივანიშნეთ, როცა ჩავწერეთ, რომ ეს არის კავკასიის საერთაშორისო კონფერენცია. რაც შეეხება თემატიკის აქტუალობას, სათაურში, გარდა პოლიმერებისა, ნახსენებია თანამედროვე მასალები, რომელიც აფართოებს იმ თემატიკას, რომელიც აქაა წარმოდგენილი — ესაა კერამიკა, მეტალები, ბიომასალები... თემების მრავალფეროვნებამ სიმპოზიუმი მეტად მნიშვნელოვანი და საინტერესო გახადა. მოხარული ვარ, რომ უნივერსიტეტის რექტორი ამ კონფერენციით დაინტერესდა, თუმცა სამწუხაროა, რომ სტუდენტების ნაკლებობა შეინიშნება. მომავალში, ალბათ, ამასაც გავითვალისწინებთ“, — განაცხადა პროფესორმა აბადიმ.

სიმპოზიუმში მონაწილეობდა გერმანიის მაქს პლანკის უნივერსიტეტის პროფესორი კალოიან კოინოვი, რომელმაც საინტერესო მოხსენება წარმოადგინა და განაცხადა, რომ მისთვის ბევრი სამეცნიერო სიახლე გახდა ხელმისაწვდომი. „ამ კონფერენციამ შესაძლებლობა მომცა შევხვედროდი საინტერესო მეცნიერებს. გაოცებული ვარ, რომ ქართველი მეცნიერები ძალიან საინტერესო სამეცნიერო კვლევებით არიან დაკავებულნი და, მიუხედავად მცირე დაფინანსებისა, მნიშვნელოვან შედეგებს იღებენ. ჩვენ დავიწყეთ ქართველ კოლეგებთან ურთიერთობა. მაგალითისთვის გეტყვით, რომ მოლაპარაკებების თანახმად, ბატონი ომარ მუკბანიანის ერთ-ერთი დოქტორანტი მაქს პლანკის ინსტიტუტში ჩემთან გააგრძელებს მუშაობას სადოქტორო თემაზე“, — განაცხადა ჩვენთან საუბარში პროფესორმა კოინოვმა.

სიმპოზიუმის ჩატარებას მაღალი შეფასება მისცა მისმა თავმჯომარემ, თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორმა ომარ მუკბანიანმა. „ეს არის მეორე სიმპოზიუმი, რომელსაც ერთგვარი პოლიტიკური დატვირთვაც აქვს, რადგან მასში მონაწილეობენ სომეხი და აზერბაიჯანელი მეცნიერები. სიმპოზიუმი ხელს შეუწყობს მეცნიერების ერთმანეთთან დაახლოებას და ინფორმაციის გაცვლას, ასევე, ახალი თემატიკის მიგნებას პოლიმერების ქიმიაში. დარწმუნებული ვარ, ამ მიმართულებაში, მოკლე ხანში, სიახლეების და აღმოჩენების მომსწრენიც გავხდებით“, — განაცხადა ომარ მუკბანიანმა. ასეთი კონტაქტების შედეგია ის, რომ დღეს ჩვენი კურსდამთავრებულები უკვე იმყოფებიან მაქს პლანკის პოლიმერების სამეცნიერო კვლევით ცენტრში. ამავე ცენტრში მოღვაწეობს ქიმიის დოქტორი გიორგი ტიტვინიძე, გერმანიის ქალაქ ზიგენის უნივერსიტეტში — მაგისტრი ალექსანდრე დუნდუა, ხოლო ქიმიის მაგისტრი მიხეილ დოროშენკო სადოქტორო პროგრამით მიიწვიეს მაქს პლანკის პოლიმერების ინსტიტუტში (ქ. მაინცი).

თსუ-ის ქიმიის მიმართულებაზე მიღებულია ახალი საერთაშორისო გრანტი, რომლის თანამონაწილეა მაქს პლანკის პოლიმერების ინსტიტუტის ერთ-ერთი თანადირექტორი, პროფესორი ჰანს-იორგენ ბუტი.

პროფესორმა ომარ მუკბანიანმა აღნიშნა, რომ სიმპოზიუმის ჟიურის მიერ სიმპოზიუმზე საუკეთესო სტენდური მოხსენების წარდგენისათვის წამახალისებელი პრემიით და დიპლომით დაჯილდოვდა მაკრომოლეკულების ქიმიის მიმართულების მეორე კურსის მაგისტრი ნათია ჯალაღონია. მანვე აღნიშნა, რომ მომავალში ახალგაზრდა მეცნიერთა დაინტერესების მიზნით ასეთი ტრადიციები გაგრძელდება.

სიმპოზიუმის მონაწილეები შეთანხმდნენ, რომ სამი წლის შემდეგ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ისევ შეიკრიბებიან.

დაიჭირეთ წამი, რომელიც გვაკავშირებს უნივერსიტეტთან

თსუ-ის წარმატებულ კურსდამთავრებულებს უნივერსიტეტთან მჭიდრო ურთიერთობის აღდგენა სურთ — ეს კარგად იგრძნობა მათ დამოკიდებულებაში უნივერსიტეტის მიმართ.

თამარ მარუაშვილი

ზაალ სამადაშვილი, ქ. თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე, მწერალი.

— როგორც უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს, რა მოგონებები გაკავშირებთ უნივერსიტეტთან, რამდენად განსაკუთრებულ გარემოში გიხდებოდათ ცოდნის გაღრმავება?

— ყველაფერი საუკეთესო, ჩემი აქტიურობის თვალსაზრისით, უკავშირდება იმ ხუთ წელიწადს, რომელიც **თსუ-ში გავატარე და ბედნიერი** კაცი ვარ, რადგან ჩემი სტუდენტობისას უნივერსიტეტის რექტორი დიდი ქართველი მეცნიერი ილია ვეკუა გახლდათ. მასწავლიდნენ ქართული მათემატიკური სკოლის ფუძემდებლები — ნიკო მუსხელიშვილი, აგრეთვე ვახტანგ ჭელიძე და სხვები... ასევე, ეს იყო ჩემთვის პირველი ცხოვრებისეული გამოცდილება, გარდა იმისა, რომ ბრწყინვალე მეცნიერები და ბრწყინვალე პედაგოგები მასწავლიდნენ. ასე რომ, ჩემთვის უნივერსიტეტი არის ერთ-ერთი ყველაზე ძვირფასი გარემო, რომელსაც ჩემი ყველაზე გონივრული მოგონებები უკავშირდება.

— რა დამოკიდებულება და ურთიერთობა გაქვთ უნივერსიტეტთან, როგორც უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს, თუ არის საჭირო კონტაქტების გაღრმავება და თქვენი ნების გამოხატვაც ამასთან დაკავშირებით?

— ვცდილობ, ვიყო საქმის კურსში, როცა უნივერსიტეტში რაიმე მნიშვნელოვანი სამეცნიერო მოვლენა ხდება. მართალია, ყოველთვის მპატიჟებენ, მაგრამ, სამწუხაროდ, ხშირი კონტაქტი არ მაქვს ჩემი დღევანდელი სტატუსისა და მოუცლელობის გამო. ამასთან, ვცდილობ, რაც განათლების, მეცნიერებისა და კვლევის თვალსაზრისით საინტერესო და მნიშვნელოვანი კეთდება, მეტ-ნაკლებად, საქმის კურსში ვიყო.

— რამდენად მნიშვნელოვანია, რომ ადამიანები უნივერსიტეტში მხოლოდ პროფესიონალებად კი არ აღიზარდონ, არამედ ღირსეულ მოქალაქეებადაც ჩამოყალიბდნენ?

— უნივერსიტეტის ერთ-ერთი მისია მოქალაქეებად გაზრდის ერთგვარი ვალდებულებაცაა, რათა მათ სახელმწიფოებრივად

იაზროვნონ და თავისი აქტიური პოზიციით მონაწილეობა მიიღონ ქვეყნის მშენებლობაში. ჩემი თაობის თითქმის ყველა კურსდამთავრებული საზოგადოების თვალსაჩინო და აქტიური წევრია. ასეთ მოქალაქეებს ელოდება სწორედ ჩვენი საკრებულოც, სადაც ხშირად ჩვენი დედაქალაქის ბედი წყდება. ვისურვებდი, რომ თსუ-ის **კურსდამთავრებულებმა** რაც შეიძლება მეტად იზრუნონ როგორც თბილისის, ისე თავიანთი მშობლიური უნივერსიტეტის კეთილდღეობისთვის.

დავით ლორთქიფანიძე, საქართველოს ეროვნული მუზეუმის გენერალური დირექტორი, საქართველოს ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.

— ბატონო დავით, თქვენ თსუ-ის კურსდამთავრებული ბრძანდებით, რა მოგონებები გაკავშირებთ უნივერსიტეტთან და რას ნიშნავს თქვენთვის — იყოთ უნივერსიტეტის კურსდამთავრებული?

— ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტობის პერიოდი ჩემი ცხოვრების ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ნაწილია. გუშინდელივით მახსოვს უნივერსიტეტში შესვლის პირველი დღე, მიუხედავად იმისა, რომ მას შემდეგ ზუსტად 30 წელი გავიდა.

— რა დამოკიდებულება და რა ურთიერთობა გაქვთ დღეს უნივერსიტეტთან, როგორც უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს. როგორ ფიქრობთ, არის თუ საჭირო უნივერსიტეტთან კონტაქტების გაღრმავება, მის განვითარებაში მონაწილეობის მიღება?

— სამწუხაროდ, გადატვირთული გრაფიკის გამო, ჩემი უნივერსიტეტთან ურთიერთობა ამჟამად, ფაქტობრივად, შეწყვეტილია, თუმცა, ვისურვებდი მეტი კონტაქტი მქონდეს მასთან. ნებისმიერი კურსდამთავრებულის მოვალეობაა გააგრძელოს ურთიერთობა საკუთარ სასწავლებლებთან. სასურველია, შეიქმნას თბილისის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა ისეთი კლუბი, როგორიც მსოფლიოს თითქმის ყველა წამყვან უნივერსიტეტთან არსებობს და რომელიც აქტიურად მონაწილეობს **სასწავლებლის** განვითარებაში.

ზაზა კორინთელი, მომღერალი.

— რას ნიშნავს თქვენთვის, იყოთ თსუ-ის კურსდამთავრებული?

— ჩემთვის ეს დიდი პატივია. არც ერთ სხვა უმაღლეს სასწავლებელს შეურაცხყოფას არ ვაყენებ, მაგრამ ის, რაც თსუ-მ მომცა, დღემდე მომყვება. პროფესიონალიზმისკენ სწრაფვა, ადამიანებთან ურთიერთობის კულტურა და ხელოვნება გვასწავლა... მიუხედავად იმისა, რომ თსუ-ის სრული კურსი არ დამიმთავრებია, ვთვლი, რომ სრულფასოვანი უნივერსიტეტელი ვარ, რადგანაც ჩემი სტუდენტობის ყველა დეტალი და ნიუანსი უნივერსიტეტის კედლებს უკავშირდება.

— რატომ შეაჩერეთ სწავლის გასაგრძელებლად არჩევანი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტზე?

— ზედმეტი ფიქრის გარეშე გადავწყვიტე, თსუ-ის **ფსიქოლოგიურ ფაკულტეტზე** გამეგრძელებინა სწავლა. **თსუ-ის კულტურის სახლთან** სკოლის ასაკშივე მქონდა ურთიერთობა. აქ ხშირად ეწყობოდა შესანიშნავი კულტურული ღონისძიებები, სადაც ვმონაწილეობდი. **კულტურის** ეს კერა ჩემი ნავსაყუდელი იყო.

— სტუდენტობის პირველი დღე თუ გახსოვთ?

— რა თქმა უნდა, კარგად მახსოვს, თანაკურსელებისა და **პროფესორ-მასწავლებლების** გაცნობის შემდეგ პირდაპირ თსუ-ის კულტურულ ცენტრს მივაკითხე. პირველ დღესვე შევკრიბე ჩემი თანამოაზრეები და გავერთიანდით როგორც თსუ-ის სტუდენტთა შემოქმედებითი ჯგუფი. მივედით რექტორთან და ვთხოვეთ ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოფა, ჩვენ კი სასწავლო წლის განმავლობაში ვაჩვენებდით საკუთარი შემოქმედებითი მუშაობის ნაყოფს.

1992 წლის 5 მაისს ჩვენი ინიციატივითა და ორგანიზებით **თსუ-ის სააქტო დარბაზში** წარმატებით გავმართეთ რესპუბლიკური მუსიკალური ფესტივალი, სადაც ქვეყნის ყველა შემოქმედებითი ჯგუფი მონაწილეობდა. ეს იყო ჩვენი პირველი პროფესიული ნაბიჯი — განაცხადი მუსიკალურ-შემოქმედებით გზაზე. ასე **რომ, უნივერსიტეტმა მხოლოდ** პროფესიული განათლება კი არ მომცა, არამედ დღეს რომ მუსიკალურადაც წარმატებული ვარ, მისი დიდი დამსახურებაა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს საუკეთესო მუსიკალური ტექნიკური საშუალებები ჰქონდა, სწორედ ამან განაპირობა ჩვენი შემოქმედებითი ზრდა.

ბევრი სასაცილო რამეც მახსენდება... 90-იანი წლების სტუდენტების საყვარელი ფრაზა რა იყო, იცით? — „მაკბეჩინე, რა!“ — ფენოვანი ხაჭაპური მაშინ სად იყიდებოდა ასე, ყოველი ფეხის ნაბიჯზე, ხალხი შიმშილობდა... იცით რა მახსოვს კიდევ? უნივერსიტეტის ბუფეტში როგორ იპარავდნენ კატლეტებს. იქვე წვნიანიც მზადდებოდა. ჩუმად ვდებდით თეფშზე ორ კატლეტს და ზემოდან წვნიანს ვასხამდით ისე, რომ დაფარულიყო და ვყიდულობდით როგორც წვნიანს, ასე უფრო იაფი ჯდებოდა.

— რას უსურვებდით პირველკურსელებს?

— ვუსურვებდი, რომ სტუდენტური ცხოვრების წესი გამხდარიყოს მათთვის საინტერესო და ნაყოფიერი. პროფესიული განათლების გარდა, ღირსეული მოქალაქის **უნარ-ჩვევებიც მიიღონ, ჩვენი ქვეყნის მამულიშვილებად** და პატრიოტებად ჩამოყალიბდნენ. კმაყოფილი ვიქნები, თუ ჩვენი უნივერსიტეტი ამ ენერგეტიკას ბოლომდე შეინარჩუნებს, მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს ამ თაობაზეც არის დამოკიდებული, თუ რამდენად მიზანმიმართულია, რამდენად მოახერხებს თვითგამორკვევას და საკუთარი ცოდნის რეალიზებას. ის, რომ ადამიანი თსუ-ის სტუდენტი გახდა, ვთვლი, რომ უკვე სერიოზულ „შარში გაეხვია“, რადგან ვიცი, თუ რა პასუხისმგებლობა ეკისრება მას ერისა და ქვეყნის წინაშე.

ეკა ხოფერია, ჟურნალისტი.

— თქვენ თსუ-ის კურსდამთავრებული ბრძანდებით, დამეთანხმებით, ამ სახელს სულ სხვა დატვირთვა აქვს ქართველი საზოგადოებისთვის...

— ბანალური პასუხი იქნებოდა, მეთქვა, ამ სახელის ტარება დიდი პატივია-მეთქი. ამიტომ გულწრფელად გეტყვით, ძალიან, ძალიან ვამაყობ იმით, რომ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დავამთავრე. თსუ-ში მიღებული ცოდნა ყოველთვის იყო ჩემთვის ხარისხის გარანტი. საუკეთესო ლექტორები მიკითხავდნენ ლექციებს, თუმცა გახსოვთ, რა დრო იყო მაშინ... ლექციები ცდებოდა, არც შუქი იყო და აუდიტორიებში საშინლად ციოდა. ისეთ რამეებს ვიხსენებ, ჩემი თავი რევოლუციამდელი ბებია მგონია, მაგრამ ეს მართლაც ასე იყო, დაახლოებით 20 წლის წინათ.

— რას გაიხსენებდით სტუდენტური წლებიდან?

— ბევრ რამეს გავიხსენებდი... მახსოვს, რომ ყველაზე ბედნიერი და ამაყი ვიყავი მაშინ, როცა ბატონმა ლეო მენაბდემ, როგორც იტყვიან, შემნიშნა — ჩემი ნაშრომი მოიწონა და კონფერენციისთვის თემის მომზადება დამავალა. თუმცა ისიც მახსოვს, რომ ბატონმა ლეომ ლექციიდან ლამის უკან გამომბრუნა იმის გამო, რომ ჯინსები მეცვა. როგორ მეწყინა მაშინ და შემრცხვა, ვერ **აღგიწერთ... ეს ადამიანი** ჩემთვის დღემდე უძვირფასეს ადამიანად რჩება...

— რას უსურვებდით პირველკურსელებს?

— ბევრ რამეს გისურვებთ ყველა **პირველკურსელს**, მაგრამ იქამდე გეტყვით, რომ ძალიან მშურს თქვენი და არა იმიტომ, რომ ასაკით პატარები ხართ, სულაც არა... არამედ იმიტომ, რომ დღეს თქვენ წინაშე სულ სხვა შესაძლებლობებია გადაშლილი: ჯერ ერთი, მთელი მსოფლიოს კარები ღიაა თქვენთვის, მეორეც, მსოფლიო რომ ნახო და „დაიპყრო“, სულაც არ არის საჭირო მამაშენი კომპარტიის მუშაკი იყოს და ასე შემდეგ... აქედან გამომდინარე, გისურვებთ დაიჭიროთ ეს წამი, რომელიც მართლაც მშვენიერია!

— გაიხსენეთ თქვენი სტუდენტობის პირველი დღე თსუ-ში...

— პირველი დღე, მგონი, არ იყო პირველი სექტემბერი. ეს ის წელი იყო, როდესაც სრულიად აბსურდული გადაწყვეტილებით, ყველა აბიტურიენტი ჩარიცხეს უნივერსიტეტში ნიშნებისა თუ ქულების მიუხედავად. სწავლა გვიან დაგვეწყო. კურსზე ვიყავით ძალიან ბევრნი, იყო ქაოსი. ანუ პირველმა შთაბეჭდილებამ ჩემზე დიდი ეფექტი ვერ მოახდინა. უნივერსიტეტი მერე, თანდათან შემიყვარდა...

სტუდენტური ლიტერატურული კონკურსი ყვარელში გაიმართება

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და კომპანია „ჯეოსელის“ **ერთობლივი ორგანიზებით** სტუდენტური **ლიტერატურული კონკურსი სახელ**წოდებით — „შემოდგომის ლეგენდა“, რომლის სლოგანია „სამშობლო მთებო“ — დაბრუნება“, წელს უკვე მეორედ, ამჯერად ყვარელში გაიმართება. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნებისმიერ სტუდენტს, რომელთაგან საუკეთესოს სპეციალურად შერჩეული ჟიური გამოავლენს.

ლიტერატურული კონკურსი სტარტს 20 სექტემბერს აიღებს და ორ ეტაპად ჩატარდება, I ეტაპზე კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ ჩანახატის ტიპის ნებისმიერი ჟანრის ნაშრომი ნაბეჭდი სახით, არანაკლებ ერთი თაბახის გვერდისა. ჟიური შიდა შესარჩევ ტურში გამოავლენს 10 საუკეთესო კანდიდატს, რომლებიც მეორე

ტურში გადაინაცვლებენ და მთავარი კონკურსის მონაწილეები გახდებიან.

ლიტერატურული კონკურსი ყვარელში გაიმართება. წინასწარ შერჩეული სლოგანების მიხედვით კონკურსანტებმა ექვსი საათის მანძილზე უნდა შექმნან ნაშრომი, რომელსაც სპეციალური ჟიური შეაფასებს. ფულადი პრემია გამარჯვებული სამეულისთვის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა დააწესა: პირველ ადგილზე გასულ სტუდენტს 1000 ლარი გადაეცემა, მეორე ადგილის მფლობელი 700 ლარს მიიღებს, მესამე ადგილზე გასული კონკურსანტი კი 500 ლარს მიიღებს. კომპანია „ჯეოსელი“ კონკურსის გამარჯვებულებს სპეციალური პრიზებით დაასაჩუქრებს.

შარშან, სუდენტური ლიტერატურული კონკურსი, სახელწოდებით — „აღმოაჩინე იყალთო შენში“, იყალთოს სამონასტრო კომპლექსის ეზოში, ღია ცის ქვეშ გაიმართა, სადაც 20-მა სტუდენტმა შექმნა ლიტერატურული ნაწარმოები.

ბრძანება № 83/01-01

13.09.2010

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების საჯაროდ გამოცხადების წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 56-ე მუხლის, 54–ე მუხლის პირველი ნაწილის, 55–ე მუხლის, 56–ე მუხლის მე–2 ნაწილის დისპოზიციის ბოლო ნაწილის, 56–ე მუხლის მე–3 ნაწილისა და 57–ე მუხლის, ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22–ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 29 მაისის №490 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე–16 მუხლის მე–2 პუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების საჯაროდ გამოცხადების წესი“ დანართი №1-ის შესაბამისად;
2. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

რექტორის მოვალეობის
შემსრულებელი
ალექსანდრე კვიტაშვილი

დანართი №1

„სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების საჯაროდ გამოცხადების წესი“

პრეამბულა

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში – ,,უნივერსიტეტი“) გაზეთი ,,თბილისის უნივერსიტეტი“ გამოიცემა 1927 წლიდან და წარმოადგენს უნივერსიტეტის სიმბოლოს, მისი წარსულისა და აწმყოს, არსებული რეალობის მაუწყებელ პერიოდულ გამოცემას (საინფორმაციო–ანალიტიკური) ფართო საზოგადოებისათვის. გაზეთი ასრულებს საუნივერსიტეტო ცხოვრების მემატიანის როლსაც. უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2008 წლის 02 ივლისის №14 სხდომის ოქმით დამტკიცდა ,,თბილისის უნივერსიტეტის“ რედაქციის დებულება, რომლითაც დადგენილი არ ყოფილა, რომ გაზეთი ,,თბილისის უნივერსიტეტი“ უნივერსიტეტის ოფიციალური ბეჭდვითი ორგანოა, რაც მისასალმებელია, ვინაიდან უნივერსიტეტის წინაშე ამ პერიოდული გამოცემის მნიშვნელობისა და დამსახურების დამძიმება მასში გამოქვეყნებისათვის სავალდებულო აქტების შინაარსის პირდაპირი გადატანის დავალდებულებით, არ არის მიზანშეწონილი. შესაბამისად, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნათა გათვალისწინებით, აუცილებელი გახდა უნივერსიტეტის მიერ მისაღები აქტების საჯაროდ გამოცხადების ქვემოთმოყვანილი წესის (შემდგომში – ,,წესი“) დამტკიცება.

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

წესის მოთხოვნები ვრცელდება უნივერსიტეტის იმ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტებზე, რომელთა ოფიციალური წესით გაცნობა შეიძლება შეიცვალოს საჯაროდ გამოცხადებით.

მუხლი 2. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საჯაროდ გამოცხადება

1. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტი ცხადდება საჯაროდ, უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდსა (წწწ.ტსუ.ედუ.გე) და ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე, ღიად განთავსების გზით.
2. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტი შეიძლება დამატებით საჯაროდ გამოცხადდეს აგრეთვე სხვა საჯარო ადგილას.

მუხლი 3. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოქვეყნება ბეჭდვით ორგანოში

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შესაძლებელია გამოქვეყნდეს ბეჭდვით ორგანოში.

ბრძანება № 75/01-01

02.09.2010

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2010–2011 სასწავლო წლის სასწავლო პროცესის ვადების განსაზღვრისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2010 წლის 15 ივნისის №135/02–01 ბრძანების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 29 მაისის №490 ბრძანებით დამტკიცებული “საჯარო სამართლის იურიდიული პირის — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების” 16-ე მუხლის მე–2 პუნქტის, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 55-ე მუხლის, 56–ე მუხლის პირველი ნაწილისა და 61–ე მუხლის პირველი ნაწილის მე–3 პუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2010–2011 სასწავლო წლის სასწავლო პროცესის ვადები დამტკიცდეს ახალი რედაქციით:

პირველკურსელთა რეგისტრაცია

ბაკალავრიატი/პროფესიული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა

- ადმინისტრაციული რეგისტრაცია – 10 სექტემბერი – 17 სექტემბერი
- აკადემიური რეგისტრაცია – 10 სექტემბერი – 17 სექტემბერი

შემოდგომის სემესტრი

ბაკალავრიატი/პროფესიული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა

- ადმინისტრაციული რეგისტრაცია – 2 აგვისტო – 15 სექტემბერი
- აკადემიური რეგისტრაცია – 9 აგვისტო – 17 სექტემბერი
- სააუდიტორიო მეცადინეობები – 20 სექტემბერი – 31 დეკემბერი
- სასესიო პერიოდი – 10 იანვარი – 17 თებერვალი
- არდადეგები – 18 თებერვალი – 27 თებერვალი

მაგისტრატურა

- ადმინისტრაციული რეგისტრაცია — 23 აგვისტო — 30 სექტემბერი
- აკადემიური რეგისტრაცია — 30 აგვისტო — 2 ოქტომბერი
- სააუდიტორიო მეცადინეობები —4 ოქტომბერი — 22 იანვარი
- სასესიო პერიოდი –24 იანვარი — 18 თებერვალი
- არდადეგები –19 თებერვალი– 27 თებერვალი

დოქტორანტურა

- ადმინისტრაციული რეგისტრაცია — 23 აგვისტო — 30 სექტემბერი
- სააუდიტორიო მეცადინეობები — 4 ოქტომბერი — 22 იანვარი

გაზაფხულის სემესტრი

ბაკალავრიატი/პროფესიული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა

- ადმინისტრაციული რეგისტრაცია – 8 თებერვალი — 26 თებერვალი
- აკადემიური რეგისტრაცია — 10 თებერვალი — 28 თებერვალი
- სააუდიტორიო მეცადინეობები — 28 თებერვალი — 11ივნისი
- სასესიო პერიოდი – 13 ივნისი — 19 ივლისი

მაგისტრატურა

- ადმინისტრაციული რეგისტრაცია — 8 თებერვალი — 26 თებერვალი
- აკადემიური რეგისტრაცია — 10 თებერვალი — 28 თებერვალი
- სააუდიტორიო მეცადინეობები — 28 თებერვალი — 11 ივნისი
- სასესიო პერიოდი — 13 ივნისი — 19 ივლისი

დოქტორანტურა

- ადმინისტრაციული რეგისტრაცია – 1 თებერვალი — 19 თებერვალი
- სააუდიტორიო მეცადინეობები — 21 თებერვალი — 4 ივნისი

2. ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2010–2011 სასწავლო წლის სასწავლო პროცესის ვადების განსაზღვრის შესახებ“ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2010 წლის 15 ივნისის 135/02–01 ბრძანება.
3. ბრძანების შესრულება უზრუნველყოს სასწავლო დეპარტამენტმა.
4. ბრძანების უნივერსიტეტის ოფიციალურ ბეჭდვით ორგანო – ,,თბილისის უნივერსიტეტში“ გამოქვეყნების უზრუნველყოფა დაევალოს გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ რედაქტორს ნინო კაკულიას.
5. ბრძანების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ–გვერდზე განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების მომსახურების ცენტრს.
6. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
7. წინამდებარე ბრძანება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრებული იქნას კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში (მისამართი: ქ. თბილისი, დ. უზნაძის №52), ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კილომეტრი, №6).

რექტორის მოვალეობის
შემსრულებელი ა. კვიტაშვილი

ბრძანება № 78/01-01

02.09.2010

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე 2010–2011 სასწავლო წელს ჩარიცხულ სტუდენტთა პირადი საქმის გახსნის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 29 მაისის №490 ბრძანებით დამტკიცებული “საჯარო სამართლის იურიდიული პირის — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების” 16-ე მუხლის მე–2 პუნქტის, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 55-ე მუხლის და 56–ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე 2010–2011 სასწავლო წელს ჩარიცხულ სტუდენტთა რეგისტრაცია ჩატარდეს და სტუდენტის პირადი საქმე გაიხსნას შემდეგი დოკუმენტაციის წარმოდგენის საფუძველზე:

ა) საშუალო ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი (ატესტატი);

ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობა (ასლი – დედნის წარმოდგენით);

გ) შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული სერტიფიკატი (ასლი – დედნის წარმოდგენით);

დ) სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტი (ასლი);

ე) ორი ფერადი ფოტოსურათი (ზომით 3X4).

2. ბრძანების შესრულება უზრუნველყოს სასწავლო დეპარტამენტმა.
3. ბრძანების უნივერსიტეტის ოფიციალურ ბეჭდვით ორგანო – ,,თბილისის უნივერსიტეტში“ გამოქვეყნების უზრუნველყოფა დაევალოს გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ რედაქტორს ნინო კაკულიას.
4. ბრძანების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ–გვერდზე განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების მომსახურების ცენტრს.
5. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
6. წინამდებარე ბრძანება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრებული იქნას კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში (მისამართი: ქ. თბილისი, დ. უზნაძის №52), ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კილომეტრი, №6).

რექტორის მოვალეობის
შემსრულებელი
ა. კვიტაშვილი

ბრძანება № 79/01-01

09.09.2010

სსიპ – „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2010–2011 სასწავლო წლის სასწავლო პროცესის ვადების განსაზღვრისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2010 წლის 15 ივნისის №135/02–01 ბრძანების ძალადაკარგულად ცნობის თაობაზე“ რექტორის 2010 წლის 2 სექტემბრის №75/01-01 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 55-ე მუხლის, 56–ე მუხლის პირველი ნაწილისა და 63–ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 29 მაისის №490 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების" 16-ე მუხლის მე–2 პუნქტის, საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. შევიდეს ცვლილება რექტორის 2010 წლის 2 სექტემბრის №75/01-01 ბრძანების პირველ პუნქტში და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველკურსელთათვის 2010–2011 სასწავლო წლის რეგისტრაციის ვადები დამტკიცდეს ახალი რედაქციით:

ბაკალავრიატი/პროფესიული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა

- ადმინისტრაციული რეგისტრაცია – 13 სექტემბერი – 18 სექტემბერი
- აკადემიური რეგისტრაცია – 13 სექტემბერი – 18 სექტემბერი

2. ბრძანების შესრულება უზრუნველყოს სასწავლო დეპარტამენტმა.
3. ბრძანების უნივერსიტეტის ოფიციალურ ბეჭდვით ორგანო – „თბილისის უნივერსიტეტში“ გამოქვეყნების უზრუნველყოფა დაევალოს გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ რედაქტორს ნინო კაკულიას.
4. ბრძანების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ–გვერდზე განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების მომსახურების ცენტრს.
5. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
6. წინამდებარე ბრძანება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრებული იქნას კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში (მისამართი: ქ. თბილისი, დ. უზნაძის №52), ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კილომეტრი, №6).

რექტორის მოვალეობის
შემსრულებელი
ა. კვიტაშვილი

ბრძანება № 80/01-01

09.09.2010

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში რეზიდენტურის ალტერნატიულ დიპლომისშემდგომ (პროფესიული მზადება) საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვასთან დაკავშირებული ორგანიზაციული საკითხების მოწესრიგების თაობაზე

„საექიმო საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 და მე-15 მუხლების; "ჯანმრთელობის დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-17 თავის; 52–ე მუხლის პირველი და მე–2 ნაწილების, 53–ე მუხლის პირველი და მე–3 ნაწილების, 54–ე მუხლის პირველი ნაწილის, 55–ე მუხლის მე–2 ნაწილის, 56–ე მუხლის პირველი ნაწილის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 29 მაისის №490 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე–16 მუხლის მე–2 პუნქტის, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანების (№135/ნ. 08.04.2009 წ.) „რეზიდენტურის ალტერნატიულ დიპლომისშემდგომ განათლებაში (პროფესიულ მზადებაში) მონაწილეობის, მისი წარმართვის და შეფასების წესისა და იმ სამედიცინო დაწესებულებების ან/და სასწავლებლების აკრედიტაციის კრიტერიუმების და წესის დამტკიცების შესახებ, რომლებშიც შესაძლებელია დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მომზადების) კურსის გავლა" – ბრძანების შესაბამისად, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში რეზიდენტურის ალტერნატიულ დიპლომისშემდგომ (პროფესიული მზადება) საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვასთან დაკავშირებული ორგანიზაციული საკითხების მოწესრიგების მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. დამტკიცდეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში რეზიდენტურის ალტერნატიულ დიპლომის შემდგომ საგანმანათლებლო პროგრამებზე (პროფესიული მზადება) ჩარიცხვის წესი;
2. საექიმო სპეციალობის მიხედვით ვაკანტურ ადგილებზე ჩარიცხვა განხორციელდეს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროფესიული განვითარების საბჭოს მიერ მონიჭებული აკრედიტაციის საფუძველზე განსაზღვრული ლიმიტის (კვოტის) ფარგლებში.
3. ბრძანების ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას;
4. ბრძანების უნივერსიტეტის ოფიციალურ ბეჭდვით ორგანო – „თბილისის უნივერსიტეტში“ გამოქვეყნების უზრუნველყოფა დაევალოს გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ რედაქტორს ნინო კაკულიას;
5. ბრძანების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ–გვერდზე განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების მომსახურების ცენტრს;
6. ბრძანების შესასრულებლად გადაცემა მასში მოყვანილ დაინტერესებულ პირთათვის დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას.
7. ბრძანება ძალაში შედის კანონმდებლობით დადგენილი წესით – გამოქვეყნებისთანავე;
8. წინამდებარე ბრძანება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრებული იქნას კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში (მისამართი: ქ. თბილისი, დ. უზნაძის №52), ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კილომეტრი, №6)
9. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის დეკანს.

რექტორის მოვალეობის
შემსრულებელი
ა. კვიტაშვილი

ბრძანება № 81/01-01

09.09.2010

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2010-2011 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში თსუ-ის სარეზიდენტო პროგრამებით მზადებისა და სპეციალობის მაძიებელთა ჩარიცხვასთან დაკავშირებით კონკურსის გამოცხადების შესახებ

„საექიმო საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 და მე-15 მუხლების, „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლის, 52–ე მუხლის პირველი და მე–2 ნაწილების, 53–ე მუხლის პირველი და მე–3 ნაწილების, 54–ე მუხლის პირველი ნაწილის, 55–ე მუხლის მე–2 ნაწილის, 56–ე მუხლის პირველი ნაწილის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 29 მაისის №490 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე–16 მუხლის მე–2 პუნქტის, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანების (№135/ნ. 08.04.2009 წ.) „რეზიდენტურის ალტერნატიულ დიპლომისშემდგომ განათლებაში (პროფესიულ მზადებაში) მონაწილეობის, მისი წარმართვის და შეფასების წესისა და იმ სამედიცინო დაწესებულებების ან/და სასწავლებლების აკრედიტაციის კრიტერიუმების და წესის დამტკიცების შესახებ, რომლებშიც შესაძლებელია დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) კურსის გავლა" – ბრძანების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. გამოცხადდეს თსუ-ის აკადემიური საბჭოს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის რეზიდენტურის ალტერნატიული დიპლომისშემდგომი (პროფესიული მზადების) საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ №67/2010 დადგენილებით და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ დამტკიცებული კვოტის ფარგლებში რეზიდენტურის ალტერნატიულ დიპლომისშემდგომ საგანმანათლებლო პროგრამებზე (პროფესიული მზადება) მიღება:

ა) ენდოკრინოლოგია
ბ) ოფთალმოლოგია
გ) მეანობა-გინეკოლოგია
დ) თერაპიული სტომატოლოგია
ე) ორთოპედიული სტომატოლოგია

2. დამტკიცდეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტზე 2010-2011 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში თსუ-ის რეზიდენტურის ალტერნატიულ დიპლომისშემდგომ საგანმანათლებლო პროგრამებზე (პროფესიული მზადება) საბუთების მიღების და საკონკურსო გასაუბრების თარიღები:

2.1 რეზიდენტურის ალტერნატიულ დიპლომისშემდგომ საგანმანათლებლო პროგრამებზე (პროფესიული მზადება) საბუთების მიღება განხორციელდეს 10.09.2010 – 17.09.2010, ყოველდღე შაბათ-კვირის გარდა 10:00-დან – 17:00 საათამდე, ფაკულტეტის (ი. ჭავჭავაძის გამზ. №5, ოთახი 106) მიმღებ კომისიაში.

2.2 საკონკურსო გასაუბრება სპეციალობებში დაინიშნოს 20-21 სექტემბერს.

2.3 კონკურსის შედეგები გამოცხადდეს 22 სექტემბერს.

3. ბრძანების ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას;
4. ბრძანების უნივერსიტეტის ოფიციალურ ბეჭდვით ორგანო – „თბილისის უნივერსიტეტში“ გამოქვეყნების უზრუნველყოფა დაევალოს გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ რედაქტორს ნინო კაკულიას;
5. ბრძანების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ–გვერდზე განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების მომსახურების ცენტრს;
6. ბრძანების შესასრულებლად გადაცემა მასში მოყვანილ დაინტერესებულ პირთათვის დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას.
7. ბრძანება ძალაში შედის კანონმდებლობით დადგენილი წესით – გამოქვეყნებისთანავე;
8. წინამდებარე ბრძანება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრებული იქნას კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში (მისამართი: ქ. თბილისი, დ. უზნაძის №52), ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კილომეტრი, №6)
9. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის დეკანს.

რექტორის მოვალეობის
შემსრულებელი
ა. კვიტაშვილი

ძველი ეგვიპტის მკვლევართა 150 ათასი აღმოჩენიდან, ერთმა ყველაზე დიდი ყურადღება მიიქცია. ეს არის ხისგან გამოთლილი პატარა ჩიტი, რომელიც ძალიან ჰგავს მფრინავ ობიექტს. მეცნიერთა აზრით, ეს

ჩიტი სწორედ საფრენი აპარატის მოდელია. ხის მოდელი უდაბნოს ქვიშაში აღმოაჩინეს, სწორედ იქ, სადაც პირველი პირამიდა დგას. ეგვიპტელმა მეცნიერმა ჰალილ მესიჰმა მას პლანერის მოდელი უწოდა. აერონავტიკის სპეციალისტებმა ამ ფიგურის პარამეტრები შეისწავლეს და დაადასტურეს, რომ მისი მონაცემები თანამედროვე თვითმფრინავების პარამეტრებს ემთხვევა. ფიგურა აეროდინამიკურ მილში გამოსცადეს და იგი ნამდვილად გაფრინდა. **ჰალილ მესიჰმა ფიგურის მონაცემების მიხედ**ვით ექსპერიმენტული პლანერი ააგო და ისიც გაფრინდა. ამის შედეგად მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ეს ნამდვილად პლანერის მოდელი იყო, 40 საუკუნის წინ დამზადდა, და შესაბამისად, ავიაცია მაშინ უკვე არსებობდა. ყველაზე სენსაციური კი ისტორიკოს უილიამ დეიცეს განცხადება აღმოჩნდა. მისი აზრით, ფარაონი ტუტანჰამონი **3300 წლის წინ, სწორედ ავია კატასტრო**ფაში დაიღუპა.

იელის უნივერსიტეტის მეცნიერებმა შეიმუშავეს მეთოდი, რომელიც „საშუალებას იძლევა სისხლში კიბოს ბიომარკერები სულ რაღაც 20 წუთში აღმოაჩინო“. ეს ნანომოწყობილობა თავისებური ფილტრია, რომელიც

კიბოს ბიომარკერებს ჩიპზე აგროვებს, დანარჩენ სისხლს კი ატარებს. მას შეუძლია ერთ მილიმეტრ სისხლში უმცირესი კონცენტრაციაც კი ვთქვათ, **პიკოგრამი აღმოა**ჩინოს. „ეს იგივეა, რომ უშველებელ აუზში მარილის ერთი მარცვალი იპოვნო“, - აცხადებენ სწავლულები. დღესდღეობით, ამ დაავადების ტესტირება რამდენიმე დღე გრძელდება, ახალ მოწყობილობას კი დიაგნოზისთვის სულ რამდენიმე წუთი დასჭირდება. „ექიმებს შეუძლიათ ეს პორტატიული მოწყობილობა საველე პირობებში ან ავადმყოფების საიტზე ტესტირების დროს გამოიყენონ“, - განაცხადა მკვლევართა ჯგუფის ხელმძღვანელმა ტარეკ ფახმიმ.

როგორი უნდა იყოს მომავალში სასწრაფო დახმარების მანქანა? ავსტრალიელი სტუდენტის, **ამი**ენის აზრით, 2025 წელს ქალაქების ინფრასტრუქტურა

იმდენად იქნება გადატვირთული, რომ დაუსრულებელი საცობების მოწმე გავხდებით. სწორედ ამიტომ შექმნა მან ორიგინალური, მოქნილი მოდელი, რომელიც ჰიდრავლიკური სისტემითაა აღჭურვილი და ნებისმიერ საცობში ლამის „ყალყზე შემდგარს“ შეუძლია გაიაროს. მანქანას არც დაბრკოლებების გადალახვა ან წყალდიდობისას მოძრაობა უჭირს, შიდა სისტემა კი სასწრაფოს სხვა მანქანებთან ან მნიშვნელოვან **სამსახურებთან კავშირს უზ**რუნველყოფს. გარდა ამისა, შიდა დიზაინი ნებისმიერი სასწრაფო სამედიცინო დახმარების შესაძლებლობას და იარაღების სტერილიზაციის საშუალებას იძლევა.

დიდ ბრიტანეთში მომავლის სავარაუდო პროფესიები დაასახელეს. ბიზნესის, **ინოვაციისა და პრო**ფესიული მომზადების სამინისტროს შეკვეთით, მეცნიერთა ჯგუფმა მოთხოვნები გააანალიზა და დაადგინა, რომ 10-20 წელიწადში მოთხოვნა ისეთ პროფესიებზე იქნება, რაც დღეს წარმოუდგენლად გვეჩვენება. ასეთი პროფესიების სიაში მოხვდა კოსმოსური ხომალდის პილოტი, „ვერტიკალური ფერმერი“, გენეტიკურად მოდი-

ფიცირებული მცენარეებისა და ცხოველების გამოყვანის სპეციალისტი, კლიმატური ცვლილებების სპეციალისტი და ქირურგები, რომლებიც ადამიანთა მეხსიერების გაზრდას მოემსახურებიან.

ორმა ბრიტანელმა გამომგონებელმა შექმნა პულტი, რომელსაც ჯადოსნური ჯოხის ფორმა აქვს. **ტელეარხების გად**ართვა ახლა უკვე ხელის ერთი აქნევით შეიძლება. ჯოხს ასევე შეუძლია მართოს ნებისმიერი მოწყობილობა, რომელსაც ინფრაწითელი პორტი აქვს. მომხმარებელს არხის გადართვა, ხმის აწევ-დაწევა ან DVD-ის შეჩერება-ჩართვა **13 სხვადასხვა ჟეს**ტით შეუძლია. ეს ახალი გამოგონება მხოლოდ 30 ევრო ეღირება და ბაზარზე წლის ბოლოსთვის გამოჩნდება.

ოსაკას უნივერსიტეტის თეატრის სცენაზე პირველი ექსპერიმენტული სპექტაკლი წარმოადგინეს, სადაც ადამიანები და რობოტები ერთად მონაწილეობენ. პიესის მოქმედება უახლოეს მომავალში ხდება და მას საკმაოდ მარტივი სიუჟეტი აქვს. ახალგაზ-

რდა ცოლ-ქმარმა დამხმარედ 2 რობოტი შეიძინა. ერთერთ მათგანს კი უცებ, შრომის სურვილი გაუქრა. თავდაპირველად იგი მეპატრონეებთან დაუსრულებლად წუწუნებს — ეს რა მოსაწყენი და დამამცირებელი სამუშაო მაქვსო, შემდეგ კი ყოფიერების აზრსა და ფასეულობაზე იწყებს მსჯელობას. პიესის ავტორი, დრამატურგი ოზირა ხირატა **აცხადებს, რომ წარმოდგენა ადამიანისა და ხე**ლოვნური ინტელექტის ურთიერთობის პრობლემებს ეძღვნება და მომავალში კიდევ აპირებს ასეთი პიესების შექმნას, რათა ახალი ჟანრი სტანდარტულ თეატრალურ ფორმად გადააქციოს. სპექტაკლში ერთი მეტრი სიმაღლის რობოტ-ჰუმანოიდები მონაწილეობენ, რომლებიც მანამდე **დარაჯები და მდივნები იყვნენ. ოსაკას უნივერ**სიტეტის მეცნიერებმა მათში ახალი პროგრამა შეიყვანეს,

ტაივანი შეიძლება მსოფლიოში პირველი ქვეყანა გახდეს, რომელიც, ეგრეთ წოდებული მძიმე საკვე-

ბის გამოყენებაზე სპეციალურ გადასახადებს დააწესებს. ასეთი საკვების სიაში მოხვდა ტკბილი სასმელი, **კამ**ფეტები, ალკოჰოლი **და სწრაფი კვების პროდუქტები. გა**დასახადით ამოღებული თანხებით სახელმწიფო სამედიცინო დაზღვევის გაძლიერებას გეგმავს. „ჭარბი წონის პრობლემა ტაივანში ძალიან მძაფრად დგას, ბავშვების 25-30% უკვე ჭარბი წონით იტანჯება, მომავალში კი ეს ჯანმრთელობის დაცვის სისტემისათვის მძიმე ტვირთი იქნება. იმედი გვაქვს, ამ კანონის წყალობით, მოქალაქეები თავის შეხედულებებს გადახედავენ და ჯანმრთელ კვებას აირჩევენ“, - განაცხადა ადვოკატმა ბერ შუმ.

დიდ ბრიტანეთში კომპანია არტინ ირცრაფტ-მა, ფრენის მოყვარულებს ნამდვილი სიურპრიზი მოუმზადა. მან გადაწყვიტა სერიული წარმოებით გამოუშვას პერსონალური მფრინავი აპარატი, რომელსაც ვერტიკალურად აფრენა და დაჯდომა შეუძლია. წელს 500 ასეთი აპარატის გამოშვება იგეგმება.

აპარატს ორი ძლიერი პროპელერი აქვს, 2500 მეტრის სიმაღლეზე შეუძლია აფრენა და 100 კმ/სთ. **სისწრაფით მოძრაობს.** საწვავის ბაკი დაახლოვებით 50 კილომეტრისთვის საჭირო საწვავის რაოდენობას იტევს. საფრენ აპარატს შეუძლია 115 კილოგრამამდე წონის მქონე ადამიანი აზიდოს, მის გამოყენებას მართვის უფლება არ სჭირდება. და რაც მთავარია, ეს საოცარი ტრანსპორტი სულ **75 000 ეღირება. როგორც ჩანს, მან**ქანებისა და გზების დრო გადის და კაცობრიობა მალე ჰაერში გადაინაცვლებს.

ნიდერლანდების **ქალაქ ზვოლეში ვან გოგის უც**ნობი ტილო აღმოაჩინეს. ტილოს ავტორი **ამსტერ**დამის მუზეუმის ექსპერტებმა გამოავლინეს. ნახატი, რომელსაც „ლე ბლუტ ფენის წისქვილი“ ქვია, ზვოლეს მუზეუმის დამაარსებელმა დირკ ჰანემამ 1975 წელს შეიძინა და დაახლოებით 1000 ევროს **ექვივალენტი გად**-

აიხადა. მფლობელის სიცოცხლეში იგი მის პირად კოლექციაში ინახებოდა, მისი გარდაცვალების შემდეგ კი 1986 წლიდან, მუზეუმის საკავში გადაინაცვლა. მუზეუმის არაერთგზის მოთხოვნის შემდეგ ექსპერტებმა მისი შემოწმება გადაწყვიტეს. მათ ყურადღებით შეისწავლეს ტილოს ზომა, სტრუქტურა, საღებავების ტიპი, ხატვის ტექნიკის თავისებურებები და პარიზის ცნობილი სამხატვრო მაღაზიის შტამპი, რომელიც ტილოს უკანა მხარეს იყო დასმული და ტილოს ორიგინალობა დაადასტურეს.

მთავარი რედაქტორი	**ნინო კაკულია**	რედკოლეგიის წევრები:	მისამართი:
მთავარი სპეციალისტი	**მაია ტორაძე**	**რისმაგ გორდეზიანი, ნოდარ ბელქანია, იაგო კაჭკაჭიშვილი, ლადო მინაშვილი, დიანა ძიძიგური, ნოდარ ხადური, მარინე ჩიტაშვილი, ბესარიონ ზოიძე, ნინო ჩიხლაძე, თემურ ნადარეიშვილი, ნანა ჭიღლაძე, თეა ჯუღელი**	ილია ჭავჭავაძის გამზ. 11ª (თსუ-ის მე-3 კორპუსი)
ტექნიკური რედაქტორი	**მანანა ჯურხაძე**		
ფოტოკორესპონდენტი	**ლიკა პეტრიაშვილი**		
კომპიუტ. უზრუნველყოფა	**გიორგი წიქარიშვილი**		22 36 62